

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა



საკონტაქტო მონაცემები:  
Tel: +995598849095  
[Email: Sophienozadze96@gmail.com](mailto:Sophienozadze96@gmail.com)

მეოთხე სემესტრის სტუდენტი  
სოფიო ნოზაძე

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

კარტელურ გარიგებათა განსაზღვრა-მოწესრიგების შედარებითი ანალიზი  
ევროკავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით

ხელმძღვანელი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

ირაკლი ზურდული

თბილისი

15/07/2019

## სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები -----	6
შესავალი -----	7
თავი I. კონკურენციის სამართლის მნიშვნელობა და მისი განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი -----	11
(I) 1.1. კონკურენციის სამართლის წარმოშობა და განვითარება -----	11
(I) 1.1.1. კონკურენციის სამართლის წარმოშობა და განვითარება ევროპის კონტინენტზე -----	12
(I) 1.2. კონკურენციის სამართლის მნიშვნელობა და მიზნები -----	14
(I) 1.3. „უნაკლო კონკურენციის“ მოდელი -----	15
(I) 1.4. კონკურენციის კანონმდებლობით შეზღუდული ქმედებები -----	16
(I) 1.4.1. კონკურენციის კანონმდებლობა ევროკავშირში -----	16
(I) 1.4.2. კონკურენციის კანონმდებლობა საქართველოში -----	17
თავი II. კონკურენციის სამართალი და საქართველო -----	17
(II) 1.1. კონკურენციის სამართლის საკანონმდებლო განვითარება საქართველოში -----	18
(II) 1.2. ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები -----	18
(II) 1.3. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება და კონკურენციის სფეროში ნაკისრი ვალდებულებები -----	20
თავი III. კარტელური გარიგებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით -----	20
(III) 1.1. კარტელურ გარიგებათა მარეგულირებელი ძირითადი ნორმა ევროკავშირში (TFEU – 101 მუხლი) -----	21
(III) 1.1.1. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლი (1-ლი და მე-2 პუნქტები) -----	21
(III) 1.1.1.1. ეკონომიკური აგენტები და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციები -----	22
(III) 1.1.1.2. ტერმინი „შეთანხმება“ და მისი დეფინიცია -----	23
(III) 1.1.1.3. ტერმინი „გადაწყვეტილება“ და მისი დეფინიცია -----	25

(III) 1.1.1.4. ტერმინი „შეთანხმებული პრაქტიკა“ და მისი დეფინიცია -----	26
(III) 1.1.1.5 „მიზანი“ ან „შედეგი“ -----	31
(III) 1.1.1.6. მიზანი -----	32
(III) 1.1.1.7. შედეგი -----	35
თავი IV. ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეთანხმებათა კლასიფიკაცია და სახეები -----	37
(IV) 1.1. ფასის ფიქსაცია -----	38
(IV) 1.2. წარმოებისა და ინოვაციის შეზღუდვა -----	41
(IV) 1.3. ბაზრის განაწილება -----	43
(IV) 1.4. დისკრიმინაცია -----	44
(IV) 1.5. შებოჭვა-კომპლექტაცია -----	45
(IV) 1.6. კოლუზიური ტენდერი -----	47
(IV) 1.7. ინფორმაციის გაცვლის შეთანხმება ან შეთანხმებული პრაქტიკა -----	48
(IV) 1.8. საწარმოს წარმომადგენელთა მიერ კონკურენციის შემზღუდველ შეხვედრაზე დასწრება -----	50
(IV) 1.9. „ერთი ბრენდის“ შეთანხმება -----	52
(IV) 1.10. ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმება -----	53
(IV) 1.11. სელექციური დისტრიბუციის შეთანხმება -----	54
(IV) 1.12. ფრენშაიზინგის შეთანხმება -----	55
(IV) 1.13. სავაჭრო სივრცეში ფართის გამოყოფის შეთანხმება -----	57
(IV) 1.14. განსაზღვრული პროდუქციის მენეჯმენტის შეთანხმებები -----	57
თავი V. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი -----	57
(V) 1.1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი და მისი შესაბამისობა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან -----	58
თავი VI. კარტელური გარიგებების გათავისუფლება კანონის აკრძალვისაგან -----	60
(VI) 1.1. კარტელურ გარიგებათა აკრძალვისაგან გათავისუფლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლის მიხედვით -----	60

(VI) 1.2. კარტელურ გარიგებათა აკრძალვისაგან გათავისუფლება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით -----	63
(VI) 1.3. შეთანხმებათა ჯგუფური გათავისუფლება ევროკავშირში -----	64
(VI) 1.3.1. კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება -----	65
(VI) 1.3.2. სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმება -----	65
(VI) 1.3.3. ერთობლივი შესყიდვის შესახებ შეთანხმება - -----	66
(VI) 1.3.4. კომერციალიზაციის შესახებ შეთანხმება -----	66
(VI) 1.3.5. სტანდარტიზაციის შესახებ შეთანხმება -----	67
(VI) 1.4. შეთანხმებათა ჯგუფური გათავისუფლება საქართველოში -----	68
(VI) 1.4.1. ხელშეკრულება დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის -----	69
(VI) 1.4.2. ვერტიკალური ხელშეკრულებები ავტოსატრანსპორტო სფეროში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის -----	70
(VI) 1.4.3. ხელშეკრულებები ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ -----	70
(VI) 1.4.4. ხელშეკრულებები სპეციალიზაციის შესახებ -----	70
(VI) 1.4.5. ხელშეკრულებები საერთო კვლევების წარმოების შესახებ -----	71
(VI) 1.5. De minimis წესი ევროკავშირის სამართალში -----	71
(VI) 1.6. De Minimis წესი საქართველოში -----	77
თავი VII. შემწყალებლობის პროგრამა -----	78
(VII) 1.1. შემწყალებლობის პროგრამა ევროკავშირში -----	80
(VII) 1.2. თანამშრომლობის პროგრამა საქართველოში -----	81
თავი VIII. კარტელურ გარიგებაში მონაწილეობისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობა -----	83
(VIII) 1.1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ევროკავშირის სამართლის მიხედვით -----	83
(VIII) 1.2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ევროკავშირის სამართლის მიხედვით -----	84
(VIII) 1.3. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ევროკავშირის სამართლის მიხედვით -----	86

(VIII) 1.4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით -----	86
(VIII) 1.5. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით -----	87
(VIII) 1.6. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით -----	90
(VIII) 1.7. “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევები -----	91
დასკვნა -----	94
ბიბლიოგრაფია -----	99

## აბრევიატურები:

### ქართულ ენაზე:

ა.შ.	ასე შემდეგ
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
იხ.	იხილეთ
თბ.	თბილისი

### უცხოურ ენაზე:

CFI	Court of First Instance
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Area
EC	European Community
ECJ	European Court of Justice
ECSC	European Coal and Steel Community
EEA	European Economic Area
EU	European Union
EURATOM	European Atomic Energy Community
NCAs	National Competition Authorities
OPEC	Organization of the Petroleum Exporting Countries
R&D	Research and Development
RPM	Resale Price Maintenance
TFEU	Treaty on the Functioning of the European Union

## შესავალი

მას შემდეგ, რაც საქართველომ საკუთარ არჩევნად ევროპული მიმართულება განსაზღვრა და დაიწყო მკაფიო და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ევროპასთან დაახლოების კუთხით, დღის წესრიგში დადგა ქართული კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოება და რიგი მიმართულებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. 2008 წლის ომის მოვლენების შემდგომ, აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა, ხოლო ამ ყველაფერმა საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებათა დაწყებას, ქართულ მხარესა და ევროკავშირს შორის.<sup>1</sup> აღნიშნული შეთანხმება 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია და იგი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ დებულებებს მოიცავს. ასე მაგალითად, მასში თავმოყრილი დებულებები საქართველოს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მიიღოს და ისარგებლოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი, მათ შორის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უფლებით.<sup>2</sup> საქმე იმაშია, რომ იქამდე, სანამ ქართულ მხარესთან ევროკავშირი უშუალოდ გააფორმებდა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, მოსამზადებელ პერიოდში, დღის წესრიგში დადგა ევროკავშირის კომისიის მიერ, შეთანხმების გაფორმებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვლევა და ამდენად, საქართველოს მხრიდან მზაობის საკითხის შეფასება. კომისიის წინაშე დასმული ათი შესაფასებელი საკითხიდან, კომისიამ გამოსცა რეკომენდაციები მათ შორის ოთხი საკითხის მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრებით აღინიშნა კონკურენციის კანონმდებლობის დახვეწისა და კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერების მნიშვნელობა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების საკითხში. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს მხარე ცდილობს აღნიშნული მიმართულების დახვეწასა და მოწესრიგებას, რისთვისაც უკანასკნელ წლებში გატარდა კიდევ მასშტაბური საკანონმდებლო რეფორმები.<sup>3</sup>

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში კონკურენციის სამართლის მარეგულირებელი ნორმების პირველი გამოჩენის ისტორია 1996 წელს უკავშირდება. მაშინ როდესაც პირველად, საქართველომ ევროპის გაერთიანებასთან 1996 წელს გააფორმა თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმება, ქართული მხარე

<sup>1</sup> იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 6.

<sup>2</sup> იხ. DCFTA-ის განმარტება

<http://www.moa.gov.ge/Ge/AboutDCFTA>

<sup>3</sup> იხ. შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების წინამოსამზადებელი პერიოდი

<http://www.dcfra.gov.ge/ge/agreement>

იხ. ბენაშვილი გ., ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017, 50.

დადგა ვალდებულების წინაშე, რომ ამ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, მაქსიმალურად დაეახლოვებინა ქართული კონკურენციის კანონმდებლობა ევროპის გაერთიანების მოდელთან. ასე მიიღო საქართველოს პარლამენტმა 1996 წელს საქართველოს კანონები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, ხოლო ამის პარალელურად შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომლის ძირითად ფუნქციას აღნიშნული კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობა წარმოადგენდა.<sup>4</sup>

ამას დაემატა ისიც, რომ 1999 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ამოქმედდა 195-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომას მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასის დაწესების, კონკურენციის შეზღუდვის, ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გავლენის შენარჩუნების, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გამეჯვების, ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნებისათვის. ამდენად, აღნიშნული დებულება ახდენდა 1996 წელს მიღებული, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა დარღვევის კრიმინალიზაციას.<sup>5</sup>

მიუხედავად ამისა, კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, 2005 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა და საქართველოს პარლამენტმა იგი ჩაანაცვლა ახალი, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის შესაბამისი აღსრულება და კონტროლი - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დაეკისრა. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული კანონისა და მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ კანონი ფაქტობრივად მხოლოდ სახელმწიფო დახმარების საკითხებს არეგულირებდა, ხოლო ისეთ უმნიშვნელოვანეს დებულებებს, რითაც კონკურენციის სამართლის სხვა საკითხები უნდა დარეგულირებულიყო, მისი დებულებები უპასუხოდ ტოვებდა.<sup>6</sup>

ამის შემდგომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებამ დღის წესრიგში კონკურენციის სამართლის მოწესრიგება კიდევ ერთხელ დააყენა, რისთვისაც საჭირო გახდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული პროცესი 2012 წელს დაიწყო, როდესაც ძალაში შევიდა ახალი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“

<sup>4</sup> მაგრაქველიძე დ., გრიგოლაია ნ., სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017, 145.

<sup>5</sup> იქვე, 146.

<sup>6</sup> იხ. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644?publication=6>

მაგრაქველიძე დ., გრიგოლაია ნ., სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017, 146.

იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 6.

და პარალელურად, ძალადაკარგულად გამოცხადდა სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი. 2012 წელს მიღებული ეს კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა ქართული კონკურენციის სამართლის მიდგომებს, თუმცა მისი დღეს მოქმედი რედაქციის ფონზე, იგი მაინც საკმაოდ დასახვეწი და არასრულყოფილი იყო. რაც შეეხება კონკურენციის კანონმდებლობის საბოლოო სახეს, უკანასკნელად ცვლილებები ამ მიმართულებით 2014 წელს განხორციელდა. შედეგად, დღეს უკვე საქართველოში, კონკურენციის სამართლის შედარებით სრულყოფილი და ევროკავშირის მოდელთან მაქსიმალურად მიახლოებული მოდელი ფუნქციონირებს. თუმცა, რიგი ხარვეზების გათვალისწინებით, მასში გარკვეული ცვლილებების განხორციელება კვლავ აქტიურად დგას დღის წესრიგში.<sup>7</sup>

ვინაიდან და რადგანაც, 2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად გვავალდებულებს, როგორც კონკურენციის სამართლის საკანონმდებლო სრულყოფას ისე მოქმედი სააგენტოს ინსტიტუციონალურ გაძლიერებას და მათ შორის ეს ვალდებულება ეხება კარტელურ გარიგებათა რეგულირებასაც,<sup>8</sup> ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს კარტელური გარიგებების განსაზღვრა-მოწესრიგების ევროკავშირში შემუშავებული მოდელი და შეადაროს მისი მიდგომები - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში წარმოდგენილ კარტელურ გარიგებათა რეგულირებას. ნაშრომი აგრეთვე ემსახურება კარტელურ გარიგებათა სახეების, შეზღუდვების, აკრძალვიდან გათავისუფლების შემთხვევების, გამოვლენის მექანიზმისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის სახეების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული მიდგომების შედარებას, ევროკავშირში მოქმედ მოდელთან.

კარტელურ გარიგებათა საერთო ფონზე უკეთ აღსაქმელად და მისი შინაარსობრივი დატვირთვის უკეთესი ანალიზისათვის, ნაშრომის განვითარება კონკურენციის სამართლის მნიშვნელობისა და განვითარების ანალიზით იწყება. სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავი მიმოიხილავს ქართული კონკურენციის სამართლის განვითარების ეტაპებს; მესამე თავი მიმოიხილავს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის შინაარსსა და მასში შემავალ ტერმინთა დეფინიციას; მეოთხე თავი ეხება კარტელურ გარიგებათა კლასიფიკაციას და პრაქტიკაში გავრცელებულ სახეებს; მეხუთე თავი განმარტავს ქართულ კონკურენციის სამართალში მოქმედ კარტელურ გარიგებათა მარეგულირებელი ნორმის შინაარსსა და მის შესაბამისობას ევროკავშირის ანალოგთან; მეექვსე თავი მოიცავს კარტელურ გარიგებათა აკრძალვისაგან გათავისუფლების სხვადასხვა შემთხვევას, როგორც ევროკავშირის, ისე ქართული კანონმდებლობის მიხედვით; მეშვიდე თავი განიხილავს შემწყალებლობის პროგრამის მოქმედებასა და როლს კარტელურ გარიგებათა გამოვლენის საქმეში, ასევე, როგორც ევროკავშირის, ისე ქართული კანონმდებლობის კრილში; ხოლო ნაშრომის უკანასკნელი, მერვე თავი,

<sup>7</sup> იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 6.

<sup>8</sup> იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმების სრული ტექსტი, §204.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

მიმოიხილავს კარტელურ გარიგებაში მონაწილეობისათვის დადგენილ სხვადასხვა პასუხისმგებლობის სახეს, ევროკავშირისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით და შეეხება კარტელურ გარიგებებთან მიმართებით არსებული ქართული პრაქტიკის მოკლე სტატისტიკურ ანალიზს.

ჩამოთვლილ საკითხთა სრულყოფილი გამოკვლევისა და შესწავლისათვის, ნაშრომის შესრულებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა სტატისტიკური, ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. სტატისტიკური ანალიზი გამოყენებულ იქნება ქართული პრაქტიკის შესწავლისათვის; ისტორიული მეთოდის საშუალებით შევძლებთ მიმოვიხილოთ კონკურენციის სამართლის განვითარება აშშ-ის, ევროკავშირისა და ქართული სამართლის მაგალითზე; ხოლო ევროკავშირისა და ქართული კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ მკაფიო მსგავსებები და განსხვავებები კარტელურ გარიგებათა რეგულირების საკითხებში და ამასთან, შევიმუშავოთ და წარმოვადგინოთ შესაბამისი რეკომენდაციები, ქართული კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და ევროკავშირის სტანდარტთან მაქსიმალურად დაახლოებისათვის.

## I თავი

### კონკურენციის სამართლის მნიშვნელობა და მისი განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი

#### 1.1. კონკურენციის სამართლის წარმოშობა და განვითარება

კონკურენციის სამართალი სამართლის შედარებით ახლადწარმოშობილი და ახლადგანვითარებული სფეროა, რომლის არსებობის ისტორიაც თანამედროვე სამართლის სისტემებში დაახლოებით ერთ საუკუნეს ითვლის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონკურენციის სამართლის ადრეული ჩანასახები ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან იღებს სათავეს, სადაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 50-იან წლებში მოქმედებდა კანონი სახელწოდებით - ჯულია დე ანონა რომელიც მარცვლეულით ვაჭრობას არეგულირებდა და იცავდა ამ სფეროს გაუმართლებელი შეზღუდვებისაგან.<sup>9</sup>

თანამედროვე სამართალში კონკურენციის სამართლის წარმოშობის ადგილად ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, მართალია კონკურენციის მარეგულირებელი პირველი საკანონმდებლო აქტი სახელწოდებით - „ვაჭრობის შემზღუდავი კომბინაციების თავიდან აცილებისა და აკრძალვის შესახებ“, 1889 წელს კანადაში იქნა შემუშავებული,<sup>10</sup> თუმცა, მიუხედავად ამისა ამ სფეროს თანამედროვეობაში ფართოდ განვითარება მაინც აშშ-სა და 1890 წელს კონგრესის მიერ მიღებულ შერმანის აქტს უკავშირდება. კონკურენციის მარეგულირებელი ნორმების შემუშავების აუცილებლობა არსებული პრეცედენტული სამართლის არაეფექტურობამ გამოიწვია, რომელიც უძლური აღმოჩნდა იმ ეკონომიკური გიგანტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც გამოირჩეოდნენ ანტიკონკურენციული ქმედებებითა და უხეშად სარგებლობდნენ ბაზარზე თავისი გაბატონებული მდგომარეობით.<sup>11</sup>

შერმანის აქტის მიღების აუცილებლობა პირველად სარკინიგზო საწარმოების მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებამ გამოიწვია, რასაც რიგი უარყოფითი შედეგები მოჰყვა, ხოლო მოქმედი სამართლის შეზღუდული ლიმიტები და არაეფექტურობა უფრო მეტად თვალსაჩინო გახადა ნავთობპროდუქტების კომპანიისა და სხვა ე.წ. „ტრასტების“<sup>12</sup> იმ შეთანხმებულმა ტაქტიკამ, რომლის მეშვეობითაც ისინი ახერხებდნენ უზარმაზარი ინდუსტრიების კონტროლს, მათ შორის საწვავის, შაქრის, ბამბის, სელის ზეთის, ტყვიისა და ვისკის ბაზარს.<sup>13</sup>

<sup>9</sup> იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 9.

<sup>10</sup> იქვე, 10.

<sup>11</sup> იხ. Gellhorn E., Kovacic W.E., Antitrust law and economics in a nutshell, 4<sup>th</sup> ed., St.Paul, Minn. : West Pub. Co., 1994, 15.

<sup>12</sup> ტერმინი აშშ-ის მე-18 საუკუნის მრეწველობის სფეროდან იღებს სათავეს. აქციების მფლობელები, კონკურენტ საწარმოებში, საკუთარ აქციებს სამართავად ნდობით აღჭურვილ პირებს “ტრასტებს” გადასცემდნენ, შედეგად ტრასტები უკეთ აკონტროლებდნენ კონკურენტების საქმიანობას და ამცირებდნენ საწარმოთა შორის კონკურენციას.

<sup>13</sup> იქვე, 16.

შექმნილმა ვითარებამ კონგრესი აიძულა სარკინიგზო საწარმოებისა და „ტრასტების“ ქმედებებისათვის 1887 წელს - „შტატთაშორის ვაჭრობის შესახებ“ აქტით, ხოლო 1890 წელს - შერმანის ანტიტრასტული აქტის მიღებით ეპასუხა.<sup>14</sup>

მიუხედავად ამისა, შემუშავებულმა აქტებმა ვერ უზრუნველყო ბოლომდე აღეკვეთა საწარმოთა მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები, რასაც დაემატა სასამართლოთა მიერ ახლადმიღებული აქტის დებულებათა ხშირი არასწორი ინტერპრეტაცია, რამაც საბოლოო ჯამში საკითხის უფრო მეტად გამწვავება გამოიწვია. შექმნილმა ვითარებამ საბოლოოდ გადაწყვეტი როლი ითამაშა 1912 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და კონგრესი აიძულა 1914 წელს, პრობლემის მოსაგვარებლად, კლეიტონისა და ფედერალური სავაჭრო კომისიის აქტი მიეღო.<sup>15</sup> ამასთან, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა ვუდროუ ვილსონმა კონკურენციის მარეგულირებელი დებულებების აღსრულების უზრუნველსაყოფად სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესებას დაუჭირა მხარი. სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობისათვის მისივე ინიციატივით მოხდა კონკურენციის მარეგულირებელი ადმინისტრაციული სააგენტოს, შტატთაშორისი სავაჭრო კომისიის ჩამოყალიბებაც.<sup>16</sup>

#### 1.1.1. კონკურენციის სამართლის წარმოშობა და განვითარება ევროპის კონტინენტზე

კონკურენციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შემუშავების იდეა ევროპის კონტინენტზე პირველად 1890 წელს, ავსტრიაში დაიბადა და მის ძირითად მიზანს კონკურენციული პროცესების სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეგავლენებისაგან დაცვა წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდისათვის ავსტრიამ ამ აქტის მიღება სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შეძლო, თუმცა, მის ნაცვლად მსგავსი იდეის მატარებელი ანტიკარტელური აქტი 1923 წელს გერმანიამ ომის შემდგომ ინფლაციის კრიზისთან გასამკლავებლად შეიმუშავა.<sup>17</sup>

აღნიშნულ აქტს შედეგად მოჰყვა 1925 წელს შვედეთში, ხოლო 1926 წელს ნორვეგიაში მიღებული იმავე შინაარსის აქტები. მიუხედავად ამისა, კონკურენციის მარეგულირებელმა ამ აქტებმა დიდხანს ვერ იმუშავეს და 1929 წლის დიდმა დეპრესიამ და მეორე მსოფლიო ომმა ბოლო მოუღო ევროპულ მისწრაფებას, საკანონმდებლო დონეზე მოეწესრიგებინა კონკურენციის სამართლის სფერო.<sup>18</sup> კონკურენციის მარეგულირებელი აქტების შემუშავება მეორე მსოფლიო ომის

<sup>14</sup> იქვე, 15.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე, 27.

<sup>17</sup> იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 10.

<sup>18</sup> იხ. Papadopoulos A.S., The international dimension of EU competition law and policy, Antitrust and competition law, Cambridge University Press, 2010, 12.

დასრულების შემდგომ პირველად კვლავ გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა მოახერხეს.<sup>19</sup>

რეგიონალურ დონეზე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 1951 წელს, ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ პარიზში ხელი მოაწერა (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი და გერმანია) ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შეთანხმებას, რომლის მთავარი მიზანიც გერმანიის მიერ ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებაზე დომინანტური მდგომარეობის ხელახლა მოპოვების თავიდან აცილება იყო. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ხელმომწერი სახელმწიფოები აღნიშნულ შეთანხმებაში ეხებოდნენ იყო კონკურენციის სამართალიც. კერძოდ, შეთანხმების 65-ე მუხლი ეხებოდა კარტელურ გარიგებათა აკრძალვას, 66-ე მუხლი მოიცავდა დებულებებს კონცენტრაციების შესახებ, დანარჩენი მუხლები კი არეგულირებდა საწარმოთა მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ამასთან, გერმანიის მოსაზრებით მართალია აშშ-ს ოფიციალურად ამ დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მას გარკვეული წვლილი მაინც მიუძღვოდა იმ ძირითადი იდეებისა და მიმართულებების ჩამოყალიბებაში რაც 1951 წლის პარიზის შეთანხმებაში იყო მხარეთა მიერ გატარებული.<sup>20</sup>

პარიზის 1951 წლის შეთანხმება განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმ კუთხით, რომ იგი პირველ მულტილატერალურ რეგიონალურ შეთანხმებას წარმოადგენს, რომელმაც მოიცვა და თავის თავში გააერთიანა კონკურენციის სამართლის მარეგულირებელი ნორმებიც.<sup>21</sup>

ამასთან, აღსანიშნავია რომ 1957 წლის მარტში ხელმოწერილი რომის შეთანხმება (ევროპის საზოგადოების შეთანხმება) მოიცავდა დათქმას, რომელიც კონკურენციის სამართლის დებულებებთან ამოქმედებას ამ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან მიზნად აცხადებდა. ევროპის საზოგადოების შეთანხმების მესამე მუხლის „გ“ პუნქტი აღნიშნავდა რომ მნიშვნელოვანი მიზანი მოიცავდა „ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფდა რომ შიდა ბაზარზე კონკურენცია არ დეფორმირებულიყო“.<sup>22</sup>

მიუხედავად ამისა, კონკურენციის სამართლის მოქმედი კონკრეტული ინსტიტუტები დეტალურად ევროპის საზოგადოების N17/62 რეგულაციაში გაიწერა,

---

<sup>19</sup> ob. Papadopoulos A.S., The international dimension of EU competition law and policy, Antitrust and competition law, Cambridge University Press, 2010, 13, წიგნიდან: Gerber D.J., Law and competition in the twentieth century: protecting Prometheus, Oxford University Press, 2000, 214.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> იქვე, 14.

<sup>22</sup> იქვე.

რომელიც ძალაში 1962 წელს შევიდა და რომელმაც წევრ სახელმწიფოებს შორის, პირველ ეტაპზე, ცხარე კამათი გამოიწვია.<sup>23</sup>

## 1.2. კონკურენციის სამართლის მნიშვნელობა და მიზნები.

თუკი გადავხედავთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მოქმედების არეალს, ერთი შეხედვითვე შესამჩნევია, რომ მათი მოქმედების სფერო საკმაოდ ვრცელია და ესადაგება თითქმის ყველა სახის შეთანხმებას, ფართო მასშტაბის შერწყმებსა<sup>24</sup> და დომინანტური საწარმოების მიერ ბაზარზე არსებული გავლენის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კონკურენციის სამართლის ამგვარი ფართო კომპეტენცია ისე არ უნდა იყოს აღქმული, თითქოს იგი ჩარჩოებში აქცევდეს ეკონომიკური სფეროსათვის დამახასიათებელ ყველა საჭირო (შეთანხმებები), გარდაუვალ (ბუნებრივი მონოპოლიები) და მოთხოვნად (დომინანტურ საწარმოთა ინოვაციები) მოქმედებასა თუ მდგომარეობას. ამის სანაცვლოდ ტერმინი „კონკურენცია“ და „ანტიკონკურენციული ქმედება“ ერთგვარ ფილტრად უნდა იქნეს გამოყენებული, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია მკვეთრი ხაზი გავავლოთ ეკონომიკურ საწარმოთა ჩვეულებრივ ქმედებასა და სხვა იმგვარ ქმედებებს შორის, რომლებიც იწვევენ კონკურენციული პროცესების ერთგვარ დესტრუქციას.<sup>25</sup>

კონკურენციის სამართლისათვის ამოსავალი დებულება საწარმოთა შორის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შენარჩუნებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონკურენციის სამართალი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ კომპანიები (საწარმოები), რომლებიც ოპერირებენ თავისუფალ ბაზარზე, არ ზღუდავდნენ და არც ამახინჯებდნენ კონკურენციას და ამგვარად ხელს არ უშლიდნენ ბაზრის ოპტიმალურ ფუნქციონირებას.<sup>26</sup>

„ჯანსაღი კონკურენცია ხელს უწყობს მომხმარებლების მიერ მომგებიანი გარიგებების დადებას. ის აგრეთვე უზიდავს საწარმოებს ინოვაციისკენ, ფასის შემცირებისა და მოტივირებულობისაკენ, ეფექტური ორგანიზება გაუწიონ საკუთარ

---

<sup>23</sup> იხ. Papadopoulos A.S., *The international dimension of EU competition law and policy*, Antitrust and competition law, Cambridge University Press, 2010, 167, წიგნიდან: Goyder J. Albers-Llorens A., *EC Competition Law*, 5<sup>th</sup> edition, Oxford University Press, 2003, 30.

<sup>24</sup> შერწყმა - კორპორაციული სამართლის ტერმინია და გულისხმობს ორი საწარმოს გაერთიანებას, რომლის შედეგადაც ერთერთი მათგანი წყვეტს არსებობას. შერწყმის გაგება კონკურენციის კანონმდებლობაში უფრო ვრცელია და გულისხმობს შექმნას, შთანთქმას, ერთობლივი საწარმოს შექმნას, კონტროლის მოპოვებას, ან თუნდაც ერთი და იგივე პირებს სხვადასხვა კომპანიების დირექტორატში მონაწილეობას.

ლაფაჩი ქ., კუტივაძე ნ., *კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში*, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო, 2015, 50.

<sup>25</sup> იხ. Dunne N., *Competition Law and Economic Regulation, Making and Managing Markets*, Cambridge University Press, 2015, 26.

<sup>26</sup> იხ. Jones A., Sufirin B., *EU Competition Law Text, Cases, and Materials*, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 1.

წარმოებას“ ნათქვამია გაერთიანებული სამეფოს მთავრობის არგუმენტაციაში.<sup>27</sup> ასე და ამგვარად, ზოგადად კონკურენციის სამართლის ამოსავალ, ძირითად მიზნებს სწორედ მომხმარებელთა კეთილდღეობა და წარმოების ეფექტურობის გაძლიერება წარმოადგენს.

რაც შეეხება უშუალოდ ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიზნებს, მასზე საუბრისას მაიკ ვოკერი ორ ძირითად მიზანს გამოყოფს, რის მიღწევასაც უშუალოდ ევროკავშირის კონკურენციის სამართლის დებულებები ემსახურება. ესენია: კონკურენციის სამართლის ინტეგრირებული და ეკონომიკური მიზანი. ინტეგრირებული მიზანი ემსახურება წევრ-სახელმწიფოთა შორის საერთო ბაზრის არსებობასა და მის დაცვას, ხოლო ეკონომიკური მიზანი ეფექტური კონკურენციის განვითარებასა და შენარჩუნებაზეა ორიენტირებული.<sup>28</sup>

აქედან გამომდინარე, გარდა იმ ეკონომიკური მიზნებისა, რომელიც გააჩნია ზოგადად კონკურენციის სამართალს, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი დამატებით მიზნად ისახავს ერთიანი ბაზრის არსებობის ხელშეწყობასა და მისი მოქმედების გაუმჯობესებასაც.

### 1.3. „უნაკლო კონკურენციის“ მოდელი

კონკურენციის სამართლის მიზნების უკეთ დასახასიათებლად და თვალსაჩინოდ წარმოჩინებისათვის უმჯობესი იქნება მიმოვიხილოთ კონკურენციის სამართალში ჩამოყალიბებული ე.წ. „უნაკლო კონკურენციის“ მოდელი, რომელიც სწორედ იმ ჰიპოთეტურ მდგომარეობას ასახავს, რომლის მიღწევასა და შენარჩუნებასაც ემსახურება ზოგადად კონკურენციის სამართლის დებულებები.

უნაკლო კონკურენცია აღწერს ბაზრის იმგვარ მდგომარეობას როდესაც მომხმარებელთა ინტერესები გაკონტროლებული და დაცულია. მწარმოებლები კი მომხმარებელთა მოთხოვნებს მათთვის სასურველი პროდუქციის წარმოებით, ერთმანეთთან კონკურენციითა და ბაზარზე ყველაზე დაბალი ფასის დაწესებით პასუხობენ. უნაკლო კონკურენციისას ბაზრის ეფექტურობა ყველაზე მაღალ შესაძლო ზღვარს აღწევს და ეს ეფექტურობა იმდენად მაღალია რომ ვერც წარმოებისა და ვერც მიწოდების ხარისხის ვერანაირი ცვლილება ვეღარ შეძლებს უფრო მეტად გააუმჯობესოს მომხმარებლების ანდა მწარმოებლების არსებული მდგომარეობა. ხოლო წარმოებიდან გამომდინარე მოგება მაქსიმალურად არის გაზრდილი, რაც თავის მხრივ, საწარმო რესურსების სწორ გამოყენებასთან არის დაკავშირებული.<sup>29</sup>

<sup>27</sup> იხ. Colino S.M., *Competition law of the EU and UK*, 7<sup>th</sup> edition, Oxford University Press, 2011, 1.

<sup>28</sup> იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 12.

<sup>29</sup> იხ. Gellhorn E., Kovacic W.E., *Antitrust law and economics in a nutshell*, 4<sup>th</sup> ed., St.Paul, Minn. : West Pub. Co., 1994, 52.

ამდენად, უნაკლო კონკურენციის“ მოდელი მოიცავს შემდგომ მახასიათებლებს: ბაზარზე ოპერირებს მრავალი მყიდველი და გამყიდველი; შემენილი ანდა გაყიდული პროდუქციის რაოდენობა შესამჩნევად მცირეა შედარებით პროდუქციის ჯამურ რაოდენობასთან, ხოლო ამ რიცხვის ზრდას ან შემცირებას არ შეუძლია გამოიწვიოს საბაზრო ფასზე ზეგავლენა; პროდუქცია ერთგვაროვანია; ყოველი გამყიდველი და მყიდველი სრულად ინფორმირებულია საბაზრო ფასებისა და გაყიდული პროდუქციის მახასიათებლების შესახებ; და ამასთან, არსებობს ბაზარზე შესვლის ან/და ბაზრიდან გამოსვლის სრული თავისუფლება.<sup>30</sup>

#### 1.4. კონკურენციის კანონმდებლობით შეზღუდული ქმედებები

იმ მიზნების გათვალისწინებით, რის მიღწევასაც კონკურენციის სამართლის არსი ემსახურება, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და გამოიყო რამდენიმე ცალკეული ქმედება, რითაც ეკონომიკურმა აგენტებმა<sup>31</sup> შესაძლოა ზიანი მიაყენონ ბაზარზე არსებულ კონკურენციას. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ტიპის ქმედებები მოქცეულია საკანონმდებლო რეგულირების სფეროში.

##### 1.4.1. კონკურენციის კანონმდებლობა ევროკავშირში

კონკურენციის პოლიტიკა საკმაოდ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ევროკავშირის ეკონომიკისათვის და მას დიდი როლი აკისრია, ერთი მხრივ ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნების, ხოლო მეორე მხრივ ერთიანი ბაზრის არსებობისა და წევრ-სახელმწიფოთა ერთიან ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხში. კონკურენციის პოლიტიკის მარეგულირებელი დებულებები თავმოყრილია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების მეშვიდე ნაწილის პირველ თავში. (საუბარია TFEU, 101-109 მუხლებზე).<sup>32</sup>

აღნიშნული ნორმები ძირითადად ოთხი ტიპის ქმედებას აქცევენ რეგულირების ქვეშ. ესენია: უპირველეს ყოვლისა, კარტელური გარიგებები და ანტიკონკურენციული პრაქტიკა (რეგულირდება შეთანხმების, TFEU 101-ე მუხლით); ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (რეგულირდება შეთანხმების, TFEU 102-ე მუხლით); შერწყმის/კონცენტრაციის რეგულირება (მოწესრიგებულია რეგულაციით (EC) No 139/2004) სახელმწიფო დახმარებები და ლიბერალიზება (რეგულირდება შეთანხმების, TFEU 107-108-ე მუხლებით).

<sup>30</sup> იქვე, 53.

<sup>31</sup> ეკონომიკური აგენტი - ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (ECJ) განმარტებით ეს ცნება ყველა წარმონაქმნს მოიცავს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობაშია ჩართული, მიუხედავად სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა. საქმე C-41/90 .

<sup>32</sup> იხ. ლაფაჩი ქ., კუტივამე ნ., კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო, 2015, 7.

#### 1.4.2. კონკურენციის კანონმდებლობა საქართველოში

რაც შეეხება უშუალოდ ქართულ კანონმდებლობაში კონკურენციის მარეგულირებელი თანამედროვე დებულებების თავმოყრას, მათი რეგულირება მოცემულია “კონკურენცის შესახებ” 2014 წლის საქართველოს კანონის II და III თავებში. აღნიშნული კანონის რეგულირების სფეროში ექცევა: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა (მე-5; მე-6 მუხლები); კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების აკრძალვა (მე-7; მე-8 და მე-9 მუხლები); კონცენტრაციის რეგულირება (მე-11; მე-11<sup>1</sup> და მე-11<sup>2</sup> მუხლები); არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა (მე-11<sup>3</sup> მუხლი); და სახელმწიფო დახმარება (მე-12; მე-13; მე-14 და მე-15 მუხლები).

ევროკავშირისა და ქართული კონკურენციის მარეგულირებელი დებულებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ერთი შეხედვით ცხადია, რომ მათი რეგულირების არეალი ერთმანეთის მსგავსია, თუმცა, ამის მიუხედავად, ცალკეული მუხლების ანალიზისას, თვალსაჩინო ხდება ის განსხვავებებიც, რომლებიც გააჩნიათ ერთი მხრივ ევროკავშირს, ხოლო მეორე მხრივ ქართულ კანონმდებლობას. ამგვარ განსხვავებებს კი, თავის მხრივ, ქართულ საკანონმდებლო სივრცეში კონკურენციის სფეროს სიახლე და მისი განვითარების ხანმოკლე ისტორია განაპირობებს.

## II თავი

### კონკურენციის სამართალი და საქართველო

#### შესავალი

ევროპული თანამეგობრების წევრებს დასაწყისშივე გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ მათ მიერ დასახულ ბაზრის თავისუფლებისა და ბაზრის ერთიანობის გეგმებს დიდ საფრთხეს სავარაუდოდ სწორედ მონოპოლისტი საწარმოები ანდა კარტელური გარიგებები შეუქმნიდა. აქედან გამომდინარე, მათთვის იმთავითვე პრიორიტეტულად იქცა კონკურენციის პოლიტიკის მიზანმიმართულად განვითარება და მომხმარებელთა უფლებების ამგვარად დაცვა. კონკურენციის პოლიტიკის დაცვის შესაბამისად უზრუნველყოფა კი ევროკომისიას დაევალა.<sup>33</sup> ვინაიდან სამართლის ამ სფეროს განვითარება ევროკომისიისათვის პრიორიტეტულია, იგი ევროკავშირში მიღებული სამართლებრივი ნორმების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის პარალელურად ცდილობს კონკრეტული დახმარება ევროკავშირის სხვა არაწევრ ქვეყნებსაც აღმოუჩინოს, რაც საბოლოო ჯამში კვლავ ბიზნესის წარმოების დაცულობასა და ეფექტურობას უწყობს ხელს.<sup>34</sup>

<sup>33</sup> იხ. ბენაშვილი გ., ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017, 49-50.

<sup>34</sup> იქვე.

### 1.1. კონკურენციის სამართლის საკანონმდებლო განვითარება საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1992 წლის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოში მალევე იქნა შემოღებული ანტიმონოპოლიური რეგულირება, ხოლო იმავე წელს ეკონომიკის სამინისტროში პირველად შეიქმნა ანტიმონოპოლიური რეგულირების მომხმარებელთა დაცვის და მეწარმეთა მხარდაჭერის სამმართველო. ამის შემდგომ, 1996 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონები „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, 1998 წელს კი საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ 1999 წლისათვის, ქართული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.<sup>35</sup>

2005 წელს გაუქმდა საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და იგი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმა ჩაანაცვლა, რომელიც, კონკურენციის სამართლის განვითარების საკითხში კანონმდებლობის მიერ უკანგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, იქიდან გამომდინარე, რომ იგი არეგულირებდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო დახმარების სეგმენტს და არ შეიცავდა არც საბაზისო პრინციპებს, არც დეფინიციებსა და არც ძირითად პროცედურებს, მათ შორის არც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების, გადაწყვეტილებისა და პრაქტიკის რეგულირებას.<sup>36</sup> ასევე, კონკურენციის შემზღუდველი ქმედებებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლით დადგენილი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ხოლო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159<sup>2</sup> და 159<sup>3</sup> მუხლები ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მუხლის დისპოზიციაში გაწერილი შემთხვევების დადგომისას.<sup>37</sup>

### 1.2. ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების შეთანხმება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე მორგებული ასოცირების შეთანხმებების „ახალ თაობად“ განიხილება და ამასთან, ქმნის ერთგვარ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელსაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში საქართველოსა და ევროკავშირის სამომავლო თანამშრომლობა ეფუძნება.

<sup>35</sup> იხ. მაგრაქველიძე დ., გრიგოლაია ნ., სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017, 145.

<sup>36</sup> იქვე, 146.

<sup>37</sup> იქვე.

აღნიშნული ხელშეკრულების ეკონომიკური ნაწილის ბირთვად კი ე.წ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება უნდა მივიჩნიოთ (DCFTA), რასაც უკავშირდება კონკურენციის სამართლის სფეროს ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებიც.<sup>38</sup>

კერძოდ, უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ DCFTA-ის თაობაზე მოლაპარაკების დასაწყებად 2009 წელს ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა შეაფასა და ქართულ მხარეს გადმოსცა მზადყოფნის შეფასებისა და რეკომენდაციების პაკეტი, სადაც განსაზღვრული ათი მიმართულებიდან ევროკავშირმა გამოყო ოთხი შედარებით პრობლემატური სფერო, რომელთა შორის იყო კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების საკითხიც.<sup>39</sup>

ამ მიზნით 2012 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც სამწუხაროდ მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა. აღნიშნულის პარალელურად, გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლიც. აღნიშნული კანონი მართალია შეიცავდა მითითებებს კონკურენციის შემზღვეველი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების, ე.წ. კარტელური გარიგებების შესახებ, თუმცა ეს დებულებები შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს. 2012 წლის კანონში არსებულმა ხარვეზებმა ეკონომიკის სამინისტრო აიძულა შეემუშავებინა კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის მარტიდან. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული კონკურენციის კანონმდებლობა ევროპულთან მეტნაკლებად შესაბამისობაში, 2014 წლის ივნისამდე, ანუ უშუალოდ ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე მოვიდა.<sup>40</sup> კანონის ამ საბოლოო რედაქციის მე-7 - მე-9 მუხლებში გათვალისწინებულია კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების შესახებ დებულებები, რომელთაც გარკვეული მსგავსებები, თუმცა ამასთანავე, შესამჩნევი განსხვავებებიც ახასიათებს ევროკავშირის სამართალში გაწერილ კარტელურ გარიგებათა რეგულაციებთან მიმართებით.

დღესდღეობით, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია შექმნას კონკურენციის დაცვის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ევროპის კონკურენციის ქსელში იქნება გაერთიანებული და მონაწილეობას მიიღებს ინფორმაციის გაცვლასა და საქმეთა გამოკვლევისას ურთიერთდახმარებაში.<sup>41</sup> აქედან გამომდინარე, 2014 წლის ცვლილებათა პაკეტმა გაითვალისწინა ვალდებულება, მაქსიმალურად დახვეწილ კანონმდებლობასთან ერთად ჩამოეყალიბებინა შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოც. შედეგად, 2014 წლის აპრილში ბაზრის

<sup>38</sup> იხ. ბენაშვილი გ., ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017, 48.

<sup>39</sup> იქვე, 50.

<sup>40</sup> იქვე, 50-51.

<sup>41</sup> იქვე, 50.

ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში შეიქმნა კონკურენციის სააგენტო.<sup>42</sup>

### 1.3. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება და კონკურენციის სფეროში ნაკისრი ვალდებულებები

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მე-10 თავი მოიცავს კონკურენციის სამართლის დებულებებს. შეთანხმების 204-ე მუხლის თანახმად, საქართველოში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა ეფექტურად უნდა იყოს მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე.<sup>43</sup> ამდენად, ამ მუხლის რეგულირებაში უპირველესად ჩვენს მიერ განსახილველი კარტელური გარიგებები ექცევა. ამასთანავე, ქართული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, კონკურენციის შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. მოცემული მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, საქართველო ასევე იღებს ვალდებულებას შექმნას კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო.<sup>44</sup>

ქართული კანონმდებლობის მიერ კარტელურ გარიგებათა რეგულირების ეფექტურობის შესაფასებლად, უპირველესად მიმოვიხილოთ ევროკავშირის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო მოდელი.

## III თავი

### კარტელური გარიგებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით

#### შესავალი

კარტელური გარიგებები ეკონომიკური აგენტების მიერ მიღწეული შეთანხმებებია, რომლებიც მომგებიან პირობებს მხოლოდ გარიგების მხარეთათვის აწესებს, თუმცა

<sup>42</sup> იქვე, 51.

<sup>43</sup> იხ. მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბ., 2018, 179.

<sup>44</sup> იხ. ასოცირების შეთანხმების სრული ტექსტი

<http://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A%E1%83%98%E1%83%90/Association-Agreement.aspx>

საბაზრო კონკურენციასა და მომხმარებლებზე ამ გარიგებათა ზეგავლენა საბოლოო ჯამში, მკაფიოდ ნეგატიურია.

კონკურენციის შემზღუდავი ამ გარიგებების სახელწოდების წარმოშობა პირდაპირ უკავშირდება ამ გარიგებათა შინაარსს. სიტყვა „კარტელი“ მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე (გერმანულად: Kartell) დუელში წერილობით გამოწვევას და შემდგომ მხარეთა შორის დროებით მორიგებას, დუელის შეჩერებას ნიშნავს, მსგავსად ამერიკული ე.წ. „ტრასტების“ ანდა ე.წ. „კომბინაციებისა“.<sup>45</sup>

ტერმინის დეფინიციიდან გამომდინარე, მარტივი მისახვედრია, რომ კარტელური გარიგებები მხარეთა შორის მიღწეული ისეთი შეთანხმებებია, რომლებიც იძლევა მხარეთა შორის რიგ ეკონომიკურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევის საშუალებას, რის შედეგადაც ეკონომიკურ ბაზარზე შეთანხმების მხარეები მოგებულ პოზიციას ინარჩუნებენ. კარტელური გარიგებები თავისი არსით დიდ საფრთხეს უქმნის როგორც საბაზრო კონკურენციას, ისე ეკონომიკურ კეთილდღეობას და მნიშვნელოვნად აზარალებს მომხმარებელთა უფლებებს.

#### 1.1. კარტელურ გარიგებათა მარეგულირებელი ძირითადი ნორმა ევროკავშირში (TFEU – 101 მუხლი)

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლი კარტელურ გარიგებათა ამკრძალავი დებულებაა. აღნიშნული დებულება სულ 3 პუნქტად არის გაწერილი და მოიცავს როგორც კარტელურ გარიგებათა დეფინიციას (პირველი პუნქტი) და დათქმას ამგვარ გარიგებათა ბათილობის შესახებ (მეორე პუნქტი), ისე ამ მუხლის აკრძალვისაგან გათავისუფლების შესაძლებლობასა და წინაპირობებს (მესამე პუნქტი).

##### 1.1.1. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლი (1-ლი და მე-2 პუნქტები)

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის 1-ლი პუნქტი შიდა ბაზართან შეუთავსებლობის საფუძველით, აკრძალულად აცხადებს: “ყველა შეთანხმებას ეკონომიკურ აგენტებს შორის, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ისეთ შეთანხმებულ პრაქტიკას, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე, და რომელიც მიზნად ისახავს, ანდა შედეგად იწვევს კონკურენციის პრევენციას, შეზღუდვას ანდა დამახინჯებას შიდა ბაზარზე. განსაკუთრებით მათ, რომლებიც: (ა)პირდაპირ ან

<sup>45</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 14, წიგნიდან: Harding C., Joshua J., *Regulating Cartels in Europe*, 2nd Ed., Oxford University Press, 2010, 13.

არაპირდაპირ განსაზღვრავენ შესასყიდ ან გასაყიდ ფასს ანდა სხვა სავაჭრო პირობას; (ბ) ზღუდავენ ანდა აკონტროლებენ პროდუქციას, ბაზარს, ტექნიკურ განვითარებას ან ინვესტიციას; (გ) ინაწილებენ ბაზარს ანდა მომარაგების წყაროს; (დ) აწესებენ არაერთგვაროვან პირობებს ექვივალენტური ტრანზაქციებისათვის ზოგიერთ სავაჭრო პარტნიორთან მიმართებაში და ამგვარად აყენებენ მათ არაკონკურენტულ მდგომარეობაში; (ე) გარიგებათა მოქმედებისათვის აწესებენ იმგვარ პირობას, რომელიც მეორე მხარეს აკისრებს ისეთ დამატებითი ვალდებულებას, რომელსაც არც მისი ბუნებითა და არც კომერციული დანიშნულებით, არ აქვს არანაირი საერთო უშუალოდ ამ გარიგების შინაარსთან.“<sup>46</sup>

რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 პუნქტს, იგი ავტომატურად ბათილად აცხადებს ნებისმიერ აკრძალულ შეთანხმებასა თუ გადაწყვეტილებას, რომლებიც მოექცევა მუხლის 1-ლი პუნქტის აკრძალვის ფარგლებში.<sup>47</sup>

ცალ-ცალკე გამოვყოთ და განვიხილოთ ამ მუხლის დეფინიციამი შემავალი კომპონენტები.

#### 1.1.1.1. ეკონომიკური აგენტები და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციები

კარტელურ გარიგებათა შესახებ ზემოთგანხილული მუხლის ტექსტი არ იძლევა მასში ნახსენები ტერმინი „ეკონომიკური აგენტის“ ანდა „ეკონომიკური აგენტების ასოციაციის“ არავითარ დეფინიციას <sup>48</sup> , მიუხედავად ამ ტერმინთა სწორად გამოყენების საკითხის აუცილებლობისა. დროთა განმავლობაში, აღნიშნულ ტერმინთათვის ზუსტი დეფინიციის მინიჭება უშუალოდ ევროკავშირის სასამართლოს კომპეტენციად იქცა, იმდენად რამდენადაც ერთ-ერთ საქმეზე მსჯელობისას, სასამართლომ დაადგინა, რომ ცნებების „ეკონომიკური აგენტისა“ და „შეთანხმების“ განმარტებას, ევროპული საზოგადოების შიგნით სამართალწარმოებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.“ <sup>49</sup>

<sup>46</sup> იხ. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ტექსტი, §101(1)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT>

<sup>47</sup> იხ. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ტექსტი, §101(2)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT>

<sup>48</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების დამაარსებელი შეთანხმების მე-80 მუხლი და ევროპის ატომური ენერჯის კომისიის შეთანხმება მოიცავს ამ ტერმინთა მიზნობრივ დეფინიციებს, ისევე როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პროტოკოლის 22(1) მუხლი, თუმცა ეს დეფინიციები ზუსტად ვერ შეესაბამება 101-ე მუხლის მიზნებს.

ECSC treaty: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:11951K:EN:PDF>

EURATOM treaty: <https://www.consilium.europa.eu/media/29775/qc0115106enn.pdf>

EEA Agreement: <https://www.efta.int/sites/default/files/documents/legal-texts/eea/the-eea-agreement/Protocols%20to%20the%20Agreement/protocol22.pdf>

<sup>49</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს (CFI) გადაწყვეტილება - T-9 9/04, AC-Treuhand v Commission [2008], § 144.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?sessionid=C1427BC2B2D0827C631609EB8A7AAA72?text=&docid=67382&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=837875>

სასამართლომ სხვადასხვა საქმეებზე მსჯელობისას ტერმინი „ეკონომიკური აგენტი“ განმარტა როგორც: (1) ყოველი პირი, რომელიც ჩართულია ეკონომიკურ აქტივობაში, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა;<sup>50</sup> (2) ნებისმიერი აქტივობა რომელიც მოიცავს საქონლის ანდა სერვისის ბაზარზე შეთავაზებას;<sup>51</sup> (3) სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კონკურენციის სამართლის დებულებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმგვარ აქტივობებთან მიმართებით, რომლებიც თავისი ბუნებითა და მიზნით არ წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობის სფეროს. აგრეთვე, კონკურენციის სამართლის დებულებები არ ვრცელდება არც ისეთ აქტივობებზე, რომლებიც უკავშირდა სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების გამოყენებას.<sup>52</sup>

რაც შეეხება „ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას“, ამგვარი ასოციაციისათვის არ არის აუცილებელი, იგი მისდევდეს კომერციულ ან ეკონომიკურ საქმიანობას, იმისათვის რომ დაექვემდებაროს შეთანხმების 101-ე მუხლის რეგულირებას.<sup>53</sup> ეს იმით არის განპირობებული, რომ 101-ე მუხლის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და არა მათ ეკონომიკურ შეთანხმებებზე, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს ასოციაციათა ბუნებიდან, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ უშუალოდ ეკონომიკურ აგენტებს და ამდენად თავად არ ძალუძთ შევიდნენ „საფრთხის შემცველ“ ეკონომიკურ გარიგებებში.<sup>54</sup>

#### 1.1.1.2 ტერმინი „შეთანხმება“ და მისი დეფინიცია

ეკონომიკის სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტებისათვის, მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მათი მოქმედების თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი ბიზნესის სტრატეგიები და გეგმები, გააუმჯობესონ წარმოება, ისწრაფვოდნენ ინოვაციისაკენ და ამ გზით ზრდიდნენ საკუთარი

<sup>50</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-41/90, Klaus Höfner and Fritz Elser v Macrotron GmbH, [1991] §1.

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990CJ0041\\_SUM&from=LT](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990CJ0041_SUM&from=LT)

<sup>51</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - C-180/98, C-181/98, C-182/98, C-183/98 და C-184/98, Pavel Pavlov and Others v Stichting Pensioenfonds Medische Specialisten, [2000] §75.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?jsessionid=F54BB69165BA76ACDC70A886A813FDA?text=&docid=45608&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=850418>

<sup>52</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-309/99, Wouters v Algemene Raad van de Nederlandsche Orde van Advocaten, [2002] § 57.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=46722&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=852241>

<sup>53</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-25/95 etc., Cimenteries CBR and Others v Commission of the European Communities, [2000] § 1320.

<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?num=T-25/95&language=en>

<sup>54</sup> იხ. გენერალური ადვოკატის [GORDON SLYNN] მოსაზრება საქმეზე - C-123/83, BNIC v Clair [1985] § 396; §442.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=92606&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1051164>

წარმოების ეფექტურობას. ამასთან, ისინი თავისუფალნი არიან, კონკურენტ საწარმოებსა და უშუალოდ წარმოების სფეროზე დაკვირვებით, შეიმუშავონ კონკრეტული მიზნები და ამ მიზნებისკენ სვლით ეცადონ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას კონკურენტულ ბიზნეს გარემოში. ამისგან განსხვავებით, ის რაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის 1-ლი პუნქტითაა აკრძალული, წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა შორის მათი სამოქმედო გეგმების შესახებ მიღწეულ შეთანხმებას, რითაც ისინი გარკვეული დროით „ზავდებიან“ და უარს ამბობენ ურთიერთკონკურენციაზე, შედეგად კი აღწევენ შეთანხმების ყოველი მხარისათვის მომგებიან შედეგს. ეკონომიკურ აგენტთა მოქმედება რომ „შეთანხმებად“ კვალიფიცირდეს, უპირველესად აუცილებელია მასში ჩართული იყოს, როგორც მინიმუმ, ორი სხვადასხვა მხარე. ამდენად, ერთი საწარმოს მიერ განხორციელებული რაიმე სახის ცალმხრივი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღეულ „შეთანხმებად“.<sup>55</sup>

ქმედების „შეთანხმებად“ კვალიფიცირებისათვის მეორე კრიტერიუმად მხარეთა საერთო, თანმხვედრი ნების არსებობა უნდა განვიხილოთ. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა მხარეები წერილობითად გააფორმებენ თუ არა ხელშეკრულებას და ექნება თუ არა მათ შორის დადებულ გარიგებას სამართლებრივად მბოჭავი ძალა.

საქმეზე Bayer AG v Commission მსჯელობისას, პირველი ინსტანციის სასამართლო შეეხო „შეთანხმების“ ცნების დეფინიციასაც და განმარტა, რომ შეთანხმების კონცეფცია „ეყრდნობა მხოლოდ არსებობას იმ თანმხმობი სურვილებისა, რომლებიც წარმოიქმნება სულ მცირე ორ მხარეს შორის. ხოლო ფორმას, რომელშიც ეს სურვილთა თანხმობა გამოხატული, არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება“.<sup>56</sup>

იმავე პრინციპს ეყრდნობა ევროკომისია, ერთ-ერთ გახმაურებულ, პოლიპროპილენის საქმეზე მსჯელობისას. როდესაც კომისიამ აღმოაჩინა პოლიპროპილენის მწარმოებელთა კომპლექსური სქემა, მათი შეთანხმებები და გარკვეული ზომები, გარიგების ეს მხარეები აპელირებდნენ არგუმენტზე, რომ საქმის მოკვლევისას, მათ შორის დადებული არავითარი გარიგება კომისიას არ დაუდასტურებია. ხოლო კომისიამ გადაწყვიტა, რომ მხარეთა შორის სამართლებრივად მბოჭავი გარიგების არსებობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, იმდენად რამდენადაც, მხარეთა შორის „შეთანხმება“ არსებობს იმ მომენტიდან რა მომენტიდანაც მხარეები მიაღწევენ საჭირო კონსენსუსს, ბაზარზე მათი საერთო ქმედებების განხორციელების ანდა მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ და სრულებით არ არის საჭირო, მხარეთა შორის არსებობდეს წერილობითი ფორმით დადებული, მბოჭავი სახის გარიგება.<sup>57</sup>

<sup>55</sup> Colino S., M., Competition law of the EU and UK, Oxford University Press, 7<sup>th</sup> edition., 2011, 154.

<sup>56</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-4 1/96, Bayer AG v Commission, [2000] § 69.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61996TJ0041&from=EN>

<sup>57</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 86/398/EEC, Polypropylene, [1986] § 81.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31986D0398&from=EN>

ასე და ამგვარად, კარტელური გარიგების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შესაძლებლობა აქვთ მიაღწიონ შეთანხმებას ნებისმიერი ფორმით, წერილობით ან ზეპირად, შეთანხმების ცნება კი არ შეიძლება შემოფარგლულ იქნეს მარტოდენ „ხელშეკრულების“ სამართლებრივი ბუნებით. კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის იგი ბევრად უფრო ფართოდ და ვრცლად განიშარტება. ასე მაგალითად, როგორც სოლომონ მენაბდიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, ეკონომიკურ აგენტებს შორის „შეთანხმებად“ შესაძლოა კვალიფიცირდეს: „ჯენტლმენური“ შეთანხმება<sup>58</sup>, არაფორმალური შეთანხმება, პროტოკოლის ფორმით მიღწეული წინასწარი შეთანხმება, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ასევე განვიხილოთ სტანდარტული სახელშეკრულებო პირობებიც. შეთანხმებად შეიძლება განვიხილოთ ასევე ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის წესდებაც, ანდა მათ შორის გაფორმებული გარიგებები, ასევე სახელმძღვანელო პრინციპები და დირექტივებიც, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კორესპონდენციის ერთმანეთს შორის გაცვლაც კი შესაძლოა წარმოადგენდეს შეთანხმებას.<sup>59</sup> შეთანხმებად შესაძლოა დაკვალიფიცირდეს ისეთი შეხვედრაც, რომელზეც თუნდაც მხოლოდ ერთი მხარე გაამჟღავნებს თავის სამომავლო ეკონომიკურ განზრახვას.<sup>60</sup> ამდენად, შეთანხმების განმარტება პრაქტიკაში საკმაოდ ვრცელია და იგი ეკონომიკური აგენტების სხვადასხვა ტიპის მოქმედებას შესაძლოა აერთიანებდეს.

### 1.1.1.3. ტერმინი „გადაწყვეტილება“ და მისი დეფინიცია

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველი პუნქტი თავისი აკრძალვის ფარგლებქვეშ აქცევს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც, თუკი იგი ვნებს ანდა საფრთხეს უქმნის ბაზარზე არსებულ კონკურენციას. ამდენად, თუკი ამგვარი ასოციაცია მონაწილეობას მიიღებს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილების მიღებაში, მას შესაძლოა დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა და დაჯარიმდეს კიდევ.<sup>61</sup>

ეკონომიკურ ბაზარზე წარმოდგენილი ბევრი ინდუსტრიისათვის უკვე კარგად ნაცნობი და დამკვიდრებული პრაქტიკაა, მათი მოქმედების სფეროში, შესაბამის

---

Colino S., M., Competition law of the EU and UK, Oxford University Press, 7<sup>th</sup> edition., 2011, 154.

<sup>58</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-53/03, BPB plc v Commission of the European Communities, [2008] § 82.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=67378&pageIndex=0&doclang=EN&%20mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=126886>

<sup>59</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 28-29.

<sup>60</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე - T-202/98, T-204/98 და T-207/98, British Sugar plc and Napier Brown & Co. Ltd v Commission of the European Communities [2001] §54.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=46523&pageIndex=0&doclang=EN&%20mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=134786>

<sup>61</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 82/896/EEC, AROW v BNIC, [1982]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31982D0896&from=en>

Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 111.

ასოციაციაში გაწევრება. ამგვარი ასოციაციები როგორც წესი ასრულებენ: სარეკლამო კამპანიების, საჯარო ინფორმირებულობის, ბაზრის კვლევის, სტანდარტების შემუშავებისა და ზოგ შემთხვევაში, საქველმოქმედო ფუნქციებსაც საკუთარი წევრებისათვის. თუმცა, ამას გარდა, ამგვარი ასოციაციები შესაძლოა ერთგვარი კოლუზიური აქტივობების „თავშესაფრად“ იქნეს გამოყენებული. ასე მაგალითად, ასოციაციის მიმართვა მისი წევრების მიმართ, რომელშიც იგი გამოხატავს სურვილს ფასების სტაბილურობისა, რომელსაც შედეგად მოსდევს კონკრეტული ნაბიჯები, გადადგმული მისი წევრების მიერ, შესაძლოა დაკვალიფიცირდეს სწორედ სავაჭრო ასოციაციის მიერ მიღებულ კონკურენციის შემზღვეველ „გადაწყვეტილებად“.<sup>62</sup>

აღნიშნული დეფინიციის კლასიკურ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროკომისიის მიერ 1986 წელს მიღებული გადაწყვეტილება, სადაც საქმე ეხებოდა ბელგიის ასფალტის მწარმოებელთა კოოპერატიულ ასოციაციას, რომელიც აერთიანებდა ამ ინდუსტრიაში მოღვაწე შვიდ სხვადასხვა კომპანიას. მონაწილე კომპანიებს შორის მოქმედებდა ხელშეკრულება, რომელიც დამატებით მოიცავდა დათქმას ფასთა ჩამონათვალის შემუშავების შესახებ და ადგენდა მინიმალურ ფასებს, ბელგიაში მიწოდებული ასფალტის საფარისათვის. ამასთან, ანაწილებდა კვოტას წევრ კომპანიებს შორის და ადგენდა ჯარიმას წევრი საწარმოსათვის, ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევაში. კომისიამ მოცემულ საქმეზე მსჯელობისას მიუთითა აღნიშნული სავაჭრო ასოციაციის ბრალზე, რომელიც მრავალმხრივად იყო ჩართული ამ ხელშეკრულების მოქმედებისა და აღსრულების საკითხში.<sup>63</sup>

სავაჭრო ასოციაციები, როგორც წესი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთი კარტელების მოქმედებაში, რომლებშიც საწარმოთა დიდი რაოდენობაა ჩართული, ვინაიდან მათი საშუალებით საწარმოებს უადვილდებათ კარტელის პირობების შესრულებაზე კონტროლი.<sup>64</sup>

სავაჭრო ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა არსებობდეს ასოციაციის მიერ გაცემული რეკომენდაციების სახითაც კი, თუკი ამგვარი რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდა ასოციაციაში გაწევრებული საწარმოების მიერ და თუკი ამ რეკომენდაციების გათვალისწინებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.<sup>65</sup>

#### 1.1.1.4. ტერმინი „შეთანხმებული პრაქტიკა“ და მისი დეფინიცია

<sup>62</sup> Colino S., M., Competition law of the EU and UK, Oxford University Press, 7<sup>th</sup> edition., 2011, 154.

<sup>63</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 86/399/EEC, Roofing felt, [1986] § 75. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31986D0399&from=EN>

<sup>64</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 110-111.

<sup>65</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 32-33 წიგნიდან: Ezrachi A., EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases, 3rd Ed., Oxford Hart Publishing, 2012, 78.

შეთანხმებული პრაქტიკა წარმოადგენს შეთანხმების 101-ე მუხლში გათვალისწინებული სამი კატეგორიიდან ყველაზე უფრო ბუნდოვან და კომისიისათვის ყველაზე უფრო „რთულ“ შემთხვევას. შეთანხმებული პრაქტიკა გულისხმობს ეკონომიკურ აგენტთა ქმედებას, რომელიც არ უკავშირდება არც მათ შორის დადებულ შეთანხმებასა და არც მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ იგი გამოხატულია უშუალოდ ეკონომიკურ აგენტთა თანხმობა ქცევაში, თუნდაც მას წინ არ უძღვოდეს მხარეთა სიტყვიერი შეთანხმება, რომ განახორციელებენ კონკრეტულ ქმედებებს, ანდა პირიქით, თავს აარიდებენ კონკრეტული ქმედებების განხორციელებას. ევროკავშირის კომისიამ შეთანხმებული პრაქტიკის მნიშვნელობის შესახებ მოამზადა სახელმძღვანელო, რომელიც ეხება ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებებში მხარეთა მიერ ინფორმაციის გაცვლას. აღნიშნულ სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ კონკურენტ საწარმოებს შორის ინფორმაციის გაცვლამ შესაძლოა გამოიწვიოს საწარმოთა შეთანხმებული ქმედება, იმდენად რამდენადაც ინფორმაციის გაცვლით მცირდება კონკურენტებს შორის არსებული ე.წ. „სტრატეგიული გაურკვევლობა“ ბაზარზე, რასაც შესაძლოა შედეგად კონკურენცია შეთანხმება მოჰყვეს.<sup>66</sup>

აქვე კომისია აქცენტს აკეთებს ევროკავშირის გენერალური სასამართლოს მიერ განხილულ ცემენტის საქმის დეტალებზე,<sup>67</sup> სადაც სასამართლომ დაადგინა იმ მხარის მონაწილეობა შეთანხმებულ პრაქტიკაში, რომელიც მხოლოდ ესწრებოდა ისეთ შეხვედრას, სადაც გაჟღერებულ იქნა მისი კონკურენტი საწარმოს მომავალი სამოქმედო გეგმა. ამასთან, სასამართლომ უარყო მხარის ის არგუმენტი, რომ იგი მხოლოდ ინფორმაციის პასიურ მიმღებს წარმოადგენდა და უშუალოდ არ გაუჟღერებია საკუთარი გეგმა.<sup>68</sup> ამავე სახელმძღვანელოში კომისია ციტირებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებასაც T-mobile-ის საქმეზე<sup>69</sup> და აღნიშნავს, რომ მხარის მიერ უბრალოდ დასწრებაც კი იმ შეხვედრაზე, სადაც კონკურენტი საწარმო მას უმხელს თავის სამომავლო გეგმებს ფასების დადგენასთან დაკავშირებით, დიდი ალბათობით მოექცევა 101-ე მუხლით აკრძალულ სფეროში, მაშინაც კი თუ ამ შეხვედრაზე მხარეებს მკვეთრად და

---

<sup>66</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენების შესახებ – [2011] § 61.

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2011:011:0001:0072:EN:PDF>

<sup>67</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - T-25/95 etc., Cimenteries CBR and Others v Commission of the European Communities, [2000]

<sup>68</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენების შესახებ – [2011] § 62.

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2011:011:0001:0072:EN:PDF>

<sup>69</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-8/08, T-Mobile Netherlands BV and Others, [2009]

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=74817&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6767688>

გასაგებად არ გამოუხატავთ შეთანხმება სამომავლო ფასების ზრდის შესახებ.<sup>70</sup> აღნიშნული კი გამომდინარეობს პრეზუმფციიდან, რომლის თანახმადაც კონკურენტ საწარმოებს შორის ხშირ კონტაქტს ხშირ შემთხვევაში მივყავართ ბაზარზე მათ შეთანხმებულ ქმედებებამდე, სადაც არა თუ თითოეული საწარმო ცდილობს დამოუკიდებლად გათვალისწინოს მისი კონკურენტის სამომავლო ქმედება და შეიმუშავოს მისი ბიზნესისათვის მომგებიანი და კონკურენტუნარიანი გეგმა, არამედ მან დაზუსტებულად იცის მისი კონკურენტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული პოლიტიკა და მოქმედებს ისე, რომ საკუთარი კონკურენტუნარიანობის ზრდის ნაცვლად, მარტივად უსაბამებს გეგმებს მისი კონკურენტის ქცევას. საბოლოო ჯამში, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ორივე საწარმო მოგებული რჩება, ხოლო სანაცვლოდ, მცირდება ბაზარზე არსებული კონკურენცია და ზიანი ადგება მომხმარებელთა უფლებებს.

პირველი ყველაზე გახმაურებული საქმე რომელშიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო შეთანხმებულ პრაქტიკას დაუპირისპირდა, ე.წ. საღებავების საქმეა.<sup>71</sup> საქმე მნიშვნელოვანია იმით, რომ მასზე მსჯელობისას სასამართლო შეთანხმებულ პრაქტიკას მიჯნავს მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმებისაგან. სასამართლოს მოსაზრებით შეთანხმებული პრაქტიკის 101-ე მუხლის რეგულირების ქვეშ მოქცევა ემსახურება მხარეთა შორის იმგვარი კოორდინაციის აღმოფხვრას, რომელიც მართალია ვერ აღწევს „შეთანხმების“ დადების საზიანო ხარისხს, მაგრამ მხარეთა გაცნობიერებული თანამშრომლობით ამცირებს მათ შორის კონკურენციის რისკს.<sup>72</sup>

შეთანხმებული პრაქტიკის მეორე მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ე.წ. „შაქრის კარტელის“ საქმეზე.<sup>73</sup> მოცემული საქმე ეხება რამდენიმე შაქრის მწარმოებელი კომპანიის მონაწილეობას შეთანხმებულ პრაქტიკაში, ორი ჰოლანდიური საწარმოს პოზიციის შიდა ბაზარზე შესანარჩუნებლად. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარეთა არაუმენტი, მათ შორის შეთანხმებული ქმედების შესახებ წინასწარი გეგმის არარსებობაზე და განმარტა, რომ მიუხედავად გეგმის არსებობა-არარსებობისა, 101-ე მუხლი მკაცრად კრძალავს: „ნებისმიერი პირდაპირი ანდა ირიბი ქმედების განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს, არსებული ან

---

<sup>70</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენების შესახებ – [2011] § 62.

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2011:011:0001:0072:EN:PDF>

<sup>71</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 48/69, ICI v Commission, [1972]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61969CJ0048&from=EN>

Re Aniline Dyes Cartel, [1969]

<sup>72</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 48/69, ICI v Commission, [1972] §64.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61969CJ0048&from=EN>

<sup>73</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - 40/73 etc., SUIKER UNIE AND OTHERS v COMMISSION [1975]

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=88485&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=frst&part=1&cid=6780987>

პოტენციური კონკურენტის ქმედებაზე ზეგავლენის მოხდენას, ანდა ასეთი კონკურენტებისათვის საკუთარი სამოქმედო კურსის გამხელას, რომლის მსგავს სამოქმედო კურსსაც ეს კონკურენტი გადაიღებს ანდა განიზრახავს რომ გადაიღოს.<sup>74</sup>

ზემოთ წარმოდგენილი ეს ორი საქმე ადგენს ერთგვარ სამართლებრივ ტესტს იმის დასადგენად, თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარეთა შეთანხმებულ პრაქტიკად, 101-ე მუხლის მიზნებისათვის. ტესტი შეიცავს ორ ელემენტს. ესენია: მხარეთა შორის მენტალურ დონეზე არსებული კონსენსუსი, თანამშრომლობაზე და ამგვარი შეთანხმების თავისუფალი ფორმა, რაც შეიძლება გამოიხატოს მხარეთა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კონტაქტით.<sup>75</sup>

ამასთან, მხარეთა კომუნიკაციის სიხშირის განსაზღვრასთან მიმართებით, გასათვალისწინებელია პრეზუმფცია, რომელიც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას - განხორციელებულ თანმხმობ ქცევასა და კონკურენტების კონტაქტს შორის. ეს პრეზუმფცია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გაავრცელა T-mobile-ის საქმეზეც, კონკურენტთა ერთჯერადი შეხვედრის შემთხვევაში. ამდენად, დადგენილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზარზე კონკურენტების თანმხმობი ქცევის აღმოჩენის შემთხვევაში, თუკი მათ შორის ადგილი ჰქონდა პირდაპირ ან არაპირდაპირ თუნდაც ერთჯერად კონტაქტს, პრეზუმფციის საშუალებით პირდაპირ შეგვიძლია ვივარაუდოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა კონტაქტსა და თანმხმობ ქცევას შორის.<sup>76</sup>

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ განსხვავებით კონკურენტთა შეთანხმებისაგან, რომელიც შეთანხმების დადების მომენტიდანვე ექცევა 101-ე მუხლის რეგულირების სფეროში, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა პრაქტიკაში მისი განხორციელება, შეთანხმებული პრაქტიკა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარეც გამოხატავს, რომ თავის თავში აუცილებლად ქმედებას გულისხმობს. ანუ, იმისათვის რომ სახეზე იყოს მხარეთა შეთანხმებული პრაქტიკა, აუცილებელი და გადამწყვეტი ელემენტია, რომ იგი რეალურად, პრაქტიკაში განხორციელდეს.<sup>77</sup>

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს დამდგარი შედეგის აუცილებლობის საკითხი, მხარეთა შეთანხმებულ პრაქტიკაში. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ პოლიპროპილენის გაერთიანებულ საქმეზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ შეთანხმებული პრაქტიკა, ექცევა 101-ე მუხლის რეგულირების ქვეშ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზარზე ეკონომიკურ აგენტთა მიერ განხორციელებულ ქმედებას ანტიკონკურენციული ეფექტები თან არ ახლავს.<sup>78</sup>

<sup>74</sup> ob. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 113.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> იქვე, 114.

<sup>77</sup> ob. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 34.

<sup>78</sup> ob. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-199/92 P, Hüls AG v Commission [1999] §163.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია განიმარტოს ისიც, თუ რატომ წარმოადგენს 101-ე მუხლში მოცემულ სამ კატეგორიათა შორის ყველაზე რთულ ცნებას შეთანხმებული პრაქტიკა. ამას კომისიისათვის მისი პრაქტიკაში აღმოჩენის და დადგენის სირთულე განაპირობებს. კომისიისათვის შეთანხმებული პრაქტიკის არსებობის დადგენის არსებითად ორი გზა არსებობს. პირველი და ყველაზე უფრო დამაკმაყოფილებელი გზა ფიზიკური მტკიცებულებების აღმოჩენაა, მაგალითად, როგორებიცაა შეხვედრის ჩანაწერები, წერილების ასლები, საწარმოს პერსონალის განცხადებები ანდაც მომხმარებელთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მართალია ამგვარი მტკიცებულებები შესაძლოა სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ მტკიცებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, თუმცა ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შეთანხმებული პრაქტიკის აღმოჩენის საქმეში.<sup>79</sup> ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ რამდენად რთულია კომისიისათვის პრაქტიკაში მოიძიოს და ხელთ იგდოს ჩამოთვლილი მტკიცებულებები. კარტელის მონაწილე კომპანიები ერთმანეთთან კონტაქტისათვის როგორც წესი ისეთ ხერხებს იყენებენ რისი საშუალებითაც ისინი თავიდან აირიდებენ მტკიცებულებათა შექმნას ანდა გაანადგურებენ უკვე შექმნილ მტკიცებულებებს. ამგვარი უსაფრთხოებისათვის ისინი, როგორც წესი, შეხვედრის ადგილად ძვირადღირებულ სასტუმროებს, არაჩაწერად სატელეფონო ზარებსა და ელექტრონულ ფოსტას იყენებენ, აგრეთვე ანადგურებენ მათ შორის კონტაქტის დამადასტურებელ ყველა სახის ფაქსს, წერილსა თუ კორესპონდენციას. ერთი სიტყვით ისინი იყენებენ მათ ხელთ არსებულ და თანამედროვე საუკუნეში ხელმისაწვდომ ყველა ტიპის საშუალებას, იმისათვის რომ კომისიას გაურთულონ კარტელის აღმოჩენა და შეუძლებელი გახადონ მათი ამ მტკიცებულებებზე წვდომა.<sup>80</sup>

ამის ალტერნატიულად, მეორე და უფრო რთულ გზას შეთანხმებული პრაქტიკის აღმოჩენისათვის, კომისიის მიერ საექვო ბაზრის ანალიზი წარმოადგენს. ბაზრის ანალიზისას შეთანხმებული პრაქტიკის აღმოჩენა უკავშირდება არგუმენტაციას, რომ ეკონომიკურ აგენტთა მიერ ბაზარზე განხორციელებული ქმედება არ არის თანხმობაში მოცემულ გარემოში ლოგიკურად მოსალოდნელ ქცევასთან და აღნიშნული განსხვავების ერთადერთი ახსნა არ შეიძლება იყოს სხვა რამ, გარდა მათ შორის არსებული შეთანხმებული პრაქტიკისა.<sup>81</sup> სწორედ ამ არგუმენტაციას ეყრდნობა ევროკავშირის კომისიის მიერ 1985 წელს გამოტანილი გადაწყვეტილება ხის მერქნის მწარმოებელთა შორის შეთანხმებული პრაქტიკის საქმეზე.<sup>82</sup>

უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ბაზრის ანალიზი და ეკონომიკური აგენტების მოსალოდნელი ქცევის კრიტერიუმით შეფასება კომისიისათვის შესაძლებელია

---

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61992CJ0199&from=EN>

<sup>79</sup> იხ. Colino S., M., Competition law of the EU and UK, Oxford University Press, 7<sup>th</sup> edition., 2011, 157.

<sup>80</sup> იქვე, 156.

<sup>81</sup> იხ. Colino S., M., Competition law of the EU and UK, Oxford University Press, 7<sup>th</sup> edition., 2011, 157.

<sup>82</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 85/202/EEC, Wood Pulp, [1985]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31985D0202&from=EN>

რთულდება, მაშინ როდესაც საქმე ეხება ოლიგოპოლურ ბაზარზე<sup>83</sup> მოქმედ საწარმოებს. საქმე იმაშია, რომ ოლიგოპოლური ბაზრისათვის დამახასიათებელი თვისებაა კონკურენტთა ერთგვაროვანი ქმედებები, მაგალითად ფასის ზრდის ანდა კლების საერთო ტენდენცია. ასეთ შემთხვევაში კომისიას ევალუება ამტკიცოს, რომ საწარმოთა რომელიმე ქმედება სხვა მიზეზით იყო გამოწვეული და არ ეფუძნებოდა მათ მიერ მარკეტინგული ძალების ჩვეულებრივ გამოყენებას.<sup>84</sup> ამდენად, შეთანხმებული პრაქტიკის აღმოჩენა კომისიისათვის არც თუ ისე იოლია და როგორც წესი ეს პროცესი საკმაოდ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული.

#### 1.1.1.5 „მიზანი“ ან „შედეგი“

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის ტექსტის სიტყვასიტყვითი ანალიზისას გვხვდება დათქმა, რომ აღნიშნული მუხლი კრძალავს შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს, ან შედეგად იწვევს კონკურენციის პრევენციას, შეზღუდვას ან დამახინჯებას შიდა ბაზარზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, მოცემული მუხლის ანალიზისას, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ და გავანალიზოთ მიზნისა და შედეგის კრიტერიუმები აკრძალულ შეთანხმებებში.

ამ ორ კრიტერიუმზე მსჯელობა მათ შორის მიმართების დადგენით უნდა დავიწყოთ. 101-ე მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე, აშკარაა რომ ისინი ერთმანეთის ალტერნატივას წარმოადგენენ და მათი გამოყენება კუმულაციურად არ ხდება. ამავე აზრს იზიარებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოც, რომელმაც საქმეზე „Société Technique Minière v Maschinenbau Ul“<sup>85</sup> ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ მიზნისა და შედეგის კრიტერიუმების განსაზღვრა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როდესაც საქმე ეხება ისეთ შეთანხმებას, რომლის მიზანიც არის ბაზარზე არსებული კონკურენციის შეზღუდვა, მის მიერ რეალურად გამოწვეული შედეგების დადგენა და ანალიზი ყოველგვარ აზრს კარგავს. თუმცა ის თუ რამდენად შეეძლო შეთანხმებას არსებულ კონკურენციაზე ზეგავლენის მოხდენა იმ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, როდესაც ზუსტად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ჰქონდა თუ არა ამ შეთანხმებას კონკურენციის შეზღუდვის გამოკვეთილი მიზანი.<sup>86</sup> აღნიშნულ მოსაზრებას ავითარებს უკანასკნელ წლებში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, თავის არაერთ გადაწყვეტილებაში.<sup>87</sup> სასამართლოს მოსაზრებას

<sup>83</sup> ოლიგოპოლური ბაზარი - ბაზარი, რომელზეც მცირე რაოდენობის ეკონომიკური აგენტი ოპერირებს. ამასთან ბაზრის ოლიგოპოლურობა არ არის გარანტია უნაკლო კონკურენტული გარემოს არსებობისა. იგი არ ამცირებს საწარმოთა მიერ კონკურენციის პრევენციის, შეზღუდვისა და დამახინჯების რისკს.

<sup>84</sup> Colino S., M., Competition law of the EU and UK, Oxford University Press, 7<sup>th</sup> edition., 2011, 156.

<sup>85</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 56/65, Société Technique Minière v Maschinenbau Ul [1966] § 249.

<sup>86</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 118.

<sup>87</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-209/07, Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd, [2008] §15-16.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62007CJ0209&from=GA>

იზიარებს გენერალური ადვოკატი ჯულიან ქოქოტიც, რომელსაც ამ მოსაზრების დასადასტურებლად T-mobile-ის საქმეზე მაგალითად ალკოჰოლური თრობის ქვეშ მანქანის მართვის შემთხვევა მოჰყავს. მისი მოსაზრებით, ისევე როგორც ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანის მიერ საჭის მართვა თავისთავად წარმოადგენს სამართალდარღვევას და ეს ქმედება დამატებით არ მოითხოვს, ზიანის დადგომის ფაქტის არსებობასაც, ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე როდესაც განვიხილავთ შეთანხმებებს, რომლის მიზანიც ბაზარზე არსებული კონკურენციის შეზღუდვაა. ამიტომ, საჭირო არ არის ამგვარ შეთანხმებებს თან ახლდეს კონკრეტული ნეგატიური შედეგი.<sup>88</sup> ამასთან, აღსანიშნავია ისიც რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მიზანსა და შედეგს შორის არსებული განსხვავებები სასამართლოს მიერ მკვეთრად არ ყოფილა გამიჯნული და განმარტებული.<sup>89</sup> ბრიტანელი პროფესორის ოქიოჯინ ოდუდუს აზრით, კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და შედეგი სწორედ ის მექანიზმებია, რომლის საშუალებითაც ირკვევა არღვევს თუ არა არსებულ კონკურენციას კონკრეტული შეთანხმება. ამასთან, ამ მექანიზმთა გათვალისწინებით, ზოგჯერ მხედველობაში არ მიიღება რამდენად ჰქონდათ კონკურენციის შეზღუდვის სუბიექტური მიზანი შეთანხმების მხარეებს.<sup>90</sup> ამ უკანასკნელში პროფესორი ოდუდუ უნდა გულისხმებოდეს ისეთი შეთანხმებებს, რომლებსაც ნებისმიერ შემთხვევაში შედეგად მოსდევთ არსებულ კონკურენციაზე ზეგავლენა, მიუხედავად იმისა რამდენად ჰქონდათ მხარეებს კანონსაწინააღმდეგო მიზანი. შემდგომ თავებში ცალ-ცალკე განვიხილავთ შეთანხმების მიზნისა და შედეგის მნიშვნელობასა და მათ მახასიათებლებს.

#### 1.1.1.6. მიზანი

როგორც სასამართლოს პრაქტიკამ აჩვენა, არსებობს ზოგიერთი ტიპის შეთანხმებები, რომელთა ანტიკონკურენციული ხასიათის დადგენა მათი მიზნებიდან გამომდინარეა შესაძლებელი. GlaxoSmithKline-ის საქმეზე მსჯელობისას, სასამართლო ციტირებს ადრეულ გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ფრაზებს და განმარტავს, რომ იმის დასადგენად შეთანხმება მიზნით შეზღუდულია

---

იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-8/08, T- Mobile Netherlands, [2009] § 28, §30.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=74817&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6921189>

იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - C-501/06 P etc., GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission, [2009] § 55.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=77866&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6921524>

<sup>88</sup> იხ. გენერალური ადვოკატის [Juliane Kokott] მოსაზრება საქმეზე - C-8 /08, T- Mobile Netherlands, [2009] § 47.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=76997&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6921788>

<sup>89</sup> იხ. Slot P., Johnson A., An Introduction to Competition Law, Hart Publishing, 2006, 59.

<sup>90</sup> იხ. Odudu. O., The Boundaries of EC Competition Law: The Scope Of Article 81, Oxford University Press, 2006, 107.

თუ არა, ყურადღება უნდა მიექცეს დამატებით მასში შემავალ დებულებებს, იმ მიზნებს რომლის მიღწევასაც ის ცდილობს და ამასთან, იმ ეკონომიკურ და სამართლებრივ კონტექსტსაც რომელსაც იგი მოიცავს.<sup>91</sup> T- Mobile-ს საქმეზე კი სასამართლომ განმარტა, რომ იმისათვის რომ მხარეთა შეთანხმებული პრაქტიკა ანტიკონკურენციული მიზნით იყოს შეზღუდული, საკმარისია მას ჰქონდეს პოტენციური არსებულ კონკურენციაზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენისათვის. ხოლო ამგვარი პრაქტიკის განხორციელებით გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრა მხოლოდ ჯარიმის ოდენობის გამოანგარიშების ანდა დაზარალებულ პირთათვის ზიანის ანაზღაურების მომენტისათვის უნდა იყოს რელევანტური.<sup>92</sup> მნიშვნელოვანი თვისება რითაც კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმება ხასიათდება, არის ის, რომ სიტყვა „მიზნის“ ქვეშ არ არის საჭირო ვიგულისხმოთ კონკრეტული შედეგები რომელიც დადგა მხარეთა შეთანხმების შედეგად და არც იმას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ რამდენად წარმატებით განხორციელდა შემდგომში იგი.<sup>93</sup> აქვე აღნიშნოთ მიზნით შეზღუდული შეთანხმების შესახებ გაკეთებული სხვა მნიშვნელოვანი კომენტარებიც.

უპირველესად, სიტყვა „მიზნის“ ქვეშ არ უნდა მოვიანოთ მხარეთა სუბიექტური მიზნები გარიგებაში შესვლისას, არამედ არამედ მისი ობიექტური მნიშვნელობა და გარიგების მიზანი ეკონომიკურ კონტექსტში. თუმცა ეს დათქმა ავტომატურად არც მხარეთა სუბიექტური მიზნის გათვალისწინებას არ გამორიცხავს.<sup>94</sup> აღნიშნული მოსაზრებები გამომდინარეობს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებებიდან, რომელიც აღნიშნავს, რომ მხარეთა სუბიექტური მიზნები ერთადერთ კრიტერიუმს არ წარმოადგენს შეთანხმების

<sup>91</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - C-501/06 P etc., GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission, [2009] § 58. <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=77866&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6921524>

<sup>92</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-8/08, T- Mobile Netherlands, [2009] §31. <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=74817&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6921189>

<sup>93</sup> იხ. Deringer A., The Competition Law of the European Economic Community on the EEC rules of competition (Articles 85 to 90) Including the Implementing Regulations and Directives, Commerce Clearing House, 1968, 131.

<sup>94</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - 29/83 და 30/83, Compagnie Royale Asturienne des Mines SA and Rhein zinc GmbH v Commission, [1984] § 25, §26. <http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=92431&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6938921>

იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-2 77/87, Sandoz Prodotti Farmaceutici v Commissio, [1990] <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61987CJ0277&from=GA>

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-148/89, Tréfi lunion v Commissio, [1995] § 79 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61989TJ0148&from=GA>

იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-551/03 P, General Motors v Commission, [2006] §77, §78. <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=55681&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6940361>

არაკონკურენციული მიზნის დასადგენად. არარელევანტურია იმის მტკიცება, რომ შეთანხმება არ პასუხობდა რომელიმე მხარის კომერციულ ინტერესებს<sup>95</sup> და თუკი შეთანხმებას ობიექტურად არაკონკურენციული მიზანი გააჩნია, მასში მონაწილე მხარეთა სუბიექტური მიზნები მართლზომიერი რომც იყოს, შეთანხმება მაინც ანტიკონკურენციული მიზნის მქონედ უნდა განვიხილოთ.<sup>96</sup>

მეორე და ყურადსაღები თვისება რაც მიზნით შეზღუდულ შეთანხმებებს ახასიათებს არის ის, რომ კონკურენციის ორგანო გათავისუფლებულია შეთანხმების მიერ გამოწვეული შედეგების მტკიცების ვალდებულებისაგან, რომელიც სხვა შემთხვევაში სწორედ მას დააწევბოდა.<sup>97</sup> გენერალური ადვოკატის ჯულიენ ქოქოთის აზრით, ამგვარი მიდგომა გონივრულად ზოგავს კონკურენციის ორგანოებისა და მართლმსაჯულების სფეროს რესურსებს,<sup>98</sup> ამასთან განამტკიცებს სამართლებრივ რწმენას ეკონომიკურ აგენტთათვის და აიძულებს მათ, იმოქმედონ ბაზარზე ამ მოთხოვნათა შესაბამისად.<sup>99</sup>

მესამე, აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების მხარეები ცდილობენ ამტკიცონ რომ მათ შორის არსებული შეთანხმება ზრდიდა ბაზარზე ეფექტურობას, მაშინ აუცილებელია მათ დაასაბუთონ ის ფაქტი, რომ მათი შეთანხმება ერგება და აკმაყოფილებს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირობებს.<sup>100</sup> ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd“, სადაც საქმე ეხებოდა ირლანდიელი მწარმოებლების მიერ მათი კონკურენტების ბაზრიდან გაძევების მცდელობას,

---

<sup>95</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-403/04 P, Sumitomo Metal Industries Ltd v Commission, [2007] §45, §46.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=65454&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6941629>

<sup>96</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-551/03 P, General Motors BV v Commission of the European Communities, [2006] § 64;

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=55681&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6942021>

იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-209/07, Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd, [2008] § 21;

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=68784&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6942218>

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - T-49/02, T-50/02 და T-51/02, etc Brasserie Nationale SA v Commission, [2005] § 85.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=58221&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6942476>

<sup>97</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 119.

<sup>98</sup> იხ. გენერალური ადვოკატის მოსაზრება საქმეზე - C-8/08, T-Mobile Netherlands and Other, [2009] § 43. <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=76997&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6945157>

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 119.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული შეთანხმების დაცვა 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის ქვეშ უნდა განხორციელებულიყო.<sup>101</sup>

და ბოლოს, რიჩარდ ვიშის აზრით უმნიშვნელოვანესია იმის აღნიშვნა, რომ მიზნით შეზღუდული შეთანხმება მოიცავს რაოდენობრივ კომპონენტსაც. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კონკურენციის შემზღუდველი ყოველი ქმედება არსებითად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მაშასადამე, კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებაც კი შესაძლოა გათავისუფლდეს 101-ე მუხლის შეზღუდვისაგან, თუკი მისი მოსალოდნელი გავლენა ბაზარზე მინიმალურია. ამასთან, შეთანხმება არღვევს 101-ე მუხლის დებულებას მხოლოდ მაშინ, თუკი მას თან ახლავს არსებითად მნიშვნელოვანი ზეგავლენა წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე და ამდენად, რაოდენობრივი ტესტის მიხედვით მხარეთა შეთანხმების ანალიზი აუცილებელია, იმისათვის რომ დადგინდეს ადგილი აქვს თუ არა 101-ე მუხლის დებულებების დარღვევას. ხოლო, საბოლოოდ, არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგის დასამტკიცებლად, კომისია მაინც ვალდებულია მოახდინოს ბაზრის განსაზღვრება, მაშინაც კი, თუკი მხარეთა შორის არსებული შეთანხმება ატარებს კონკურენციის შემზღუდველ მიზანს.<sup>102</sup>

#### 1.1.1.7. შედეგი

იქ სადაც სახეზე არ გვაქვს შეთანხმება რომელიც მიზნად ისახავს კონკურენციის შეზღუდვას, იმისათვის რომ ეს შეთანხმება მოექცეს 101-ე მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია წარმოჩინდეს ჰქონდა თუ არა მას შესაძლო ნეგატიური ეფექტები, ეს კი კომისიისათვის არც თუ ისე იოლი შესასრულებელია. აღნიშნული პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბა პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე „European Night Services v Commission“.<sup>103</sup>

სასამართლოს განმარტებით, შეთანხმებათა 101-ე მუხლის მიხედვით შეფასებისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ რეალური პირობები, რომელშიც ეს შეთანხმებები ფუნქციონირებს, განსაკუთრებით კი ეკონომიკური კონტექსტი, რომელშიც ეკონომიკური აგენტები ოპერირებენ, პროდუქტები ან სერვისები, რომლებსაც აღნიშნული შეთანხმებები ფარავს და ამასთან ერთად, შესაბამისი ბაზრის

---

<sup>101</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-209/07, Competition Authority v Beef Industry Development Society Ltd, [2008] §21, §39; <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=68784&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6942218>

<sup>102</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-199/08, Ziegler SA v Commission, [2011] § 41–45. <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=85097&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1597267>

<sup>103</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - T-374/94, T-375/94, T-384/94 და T-388/94, European Night Services and Others v Commission, [1998] § 136. <http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=44079&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1603344>

სტრუქტურაც. შეფასების ეს ნაწილი ეხება შეთანხმებებს, რომლებიც არ მოიცავენ კონკურენციის აშკარა შეზღუდვის მიზნებს, მაგალითად, როგორებიცაა ფასის ფიქსაცია, ბაზრის განაწილება, გასაღების კონტროლი. მოგვიანებით, კი ამ შეთანხმებათა თანმდევი შეზღუდვა შესაძლოა განეიტრალებულ იქნეს თუკი მხარეები დაამტკიცებენ მათ შორის არსებული შეთანხმების პოზიტიურ ეფექტებს, არსებულ კონკურენციაზე, 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულების კონტექსტში.<sup>104</sup>

შეთანხმების 101-ე მუხლი, ევროკავშირის სასამართლოთა მიერ მიცემული განმარტებების მიხედვით, ჩამოთვლის განსაკუთრებით მავნე ტიპის შეთანხმებებს, რომელთაც სავარაუდოდ დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ მომხმარებელთათვის. ეს კი წინასწარ გათვლილი პოლიტიკის ნაწილია: ზოგიერთი შეთანხმება იმდენად დიდი რისკის მატარებელია ევროკავშირისათვის, რომ მათი დასაშვებად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი ის შეთანხმებები, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული 101-ე მუხლში, შეფასებულ უნდა იქნეს მისი ანტიკონკურენციული შედეგების გათვალისწინებით.<sup>105</sup>

მსგავსი მიდგომა შეინიშნება აშშ-ში 1890 წელს მიღებულ შერმანის აქტის პირველ სექციაშიც. კერძოდ, საქმე ეხება გარკვეული კატეგორიის შეთანხმებებს, რომლებიც ითვლებიან ე.წ. *per se*<sup>106</sup> შემზღუდველ შეთანხმებებად, მაშინ როდესაც სხვა შეთანხმებები ექვემდებარებიან გონივრული განსჯის წესს. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც რომელიმე შეთანხმება მიეკუთვნება *per se* შემზღუდველ შეთანხმებათა კატეგორიას, სამართლებრივად ეს შეთანხმება ყოველთვის კონკურენციის შემზღუდველად ითვლება, მიუხედავად მხარეთა მტკიცებისა რომ შეთანხმებას ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა არ გამოუწვევია. სწორედ ამ თვალსაზრისით ჩნდება დიდი განსხვავება აშშ-სა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიდგომებში. ევროკავშირის სამართალში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეთანხმებები რომლებიც მიზნად ისახავენ ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას და ჩვენ ვიცით რომ ასეთი შეთანხმებები დასაწყისშივე ითვლება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, ანალოგია სწორედ აშშ-ის სამართლით გათვალისწინებული *per se* შემზღუდველ შეთანხმებათა კატეგორიისა, თუმცა ევროკავშირის სამართალი ამგვარ შეთანხმებებს მაინც უტოვებს გათავისუფლების შანსს, თუკი მხარეები დაამტკიცებენ მათ შესაბამისობას 101-ე მუხლის მე-3 პუნქტთან. ხოლო, იმდენად რამდენადაც ეს მუხლი აშშ-ის იურისდიქციაში არ არსებობს, ამგვარი გათავისუფლების შანსი *per se* შემზღუდველ შეთანხმებებს არ აქვთ. ამ კუთხით, ევროკავშირის კანონმდებლობა გაცილებით უფრო ლიბერალურ და ჩემი აზრით

<sup>104</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 121.

<sup>105</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 121.

<sup>106</sup> *Per Se* - შეთანხმებათა ან პრაქტიკათა კატეგორია, რომელიც ავტომატურად მიიჩნევა უკანონოდ, რამდენადაც მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია ხოლო მისი პოზიტიური ეფექტი იმდენად მცირეა, რომ ნაციონალურ კონკურენციის ორგანოებს (NCAs) შეუძლიათ მისი ნეგატიური ეფექტების დადგენის გარეშე სცნონ იგი კონკურენციის საწინააღმდეგოდ.

უფრო მისაღებ მიდგომას ამკვიდრებს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც შესაძლოა შეთანხმება ატარებდა ობიექტურად შემზღვეველ მიზანს, თუმცა რეალურად მან გაზარდა ბაზრის ეფექტურობა მისი პრაქტიკაში განხორციელებით.<sup>107</sup>

ამის მაგალითად, რიჩარდ ვიშს ევროკავშირის სამართლის მიდგომა მოჰყავს, სადაც შეთანხმების, რომელიც ეხება გადასაყიდი ფასის შენარჩუნებას (RPM) და თავისთავად კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მატარებელია, მორგება 101-ე მუხლის მე-3 პუნქტთან და მისი შეზღუდვიდან გათავისუფლება მაინც შესაძლებელია. რაც აშშ-ის შერმანის აქტის შესაბამისად ასე არ არის.<sup>108</sup> თუმცა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ერთგვარად გაიზიარა ევროკავშირის ეს ლიბერალური მიდგომა და ამ კატეგორიის შეთანხმება, მიუხედავად per se შემზღვეველობისა, გონივრული ანალიზის წესს დაუქვემდებარა, რაც თითქოს ერთგვარი ტენდენციის დასაწყისადაც იქნა მიჩნეული.<sup>109</sup>

და ბოლოს, აღნიშვნას იმსახურებს კომისიის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო შეთანხმების 101(3) მუხლის მოქმედებასთან დაკავშირებით,<sup>110</sup> სადაც კომისია ციტირებს ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას<sup>111</sup> და აცხადებს, რომ არცერთი ტიპის შეთანხმება არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც აპრიორი 101(3) მუხლთან შეუსაბამო, ხოლო 101(3) მუხლთან შესაბამისობაზე დაყრდნობით, ისეთი შეთანხმებებიც კი შეიძლება გათავისუფლდნენ შეზღუდვებიდან, რომლებსაც თან ახლავთ კონკურენციის შეზღუდვის მიზნები, თუკი მხარეები ამას დაადასტურებენ შესაბამისი მტკიცებულებების ძალით.<sup>112</sup>

## IV თავი

### ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეთანხმებათა კლასიფიკაცია და სახეები

#### შესავალი

კონკურენციის სამართალში კარტელური შეთანხმებები ორ კატეგორიად კლასიფიცირდება, რაც მასში მონაწილე სუბიექტთა განსაზღვრაზეა

<sup>107</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 121.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> იხ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - Leegin Creative Leather Products Inc v PSKS Inc 551 US 877 [2007]

<https://supreme.justia.com/cases/federal/us/551/877/>

<sup>110</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო შეთანხმების 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით [2004] § 46.

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0427\(07\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0427(07)&from=EN)

<sup>111</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-17/93, Matra Hachette v Commission, [1994]

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?jsessionid=3BA84C8FFBA8F2CC4785B4B0C9E17007?text=&docid=103314&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=7073741>

<sup>112</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 121.

დამოკიდებული. თუ შეთანხმების მონაწილე მხარეები პროდუქციის წარმოების ან დისტრიბუციის ერთსა და იმავე დონეზე ოპერირებენ, ანუ წარმოადგენენ ერთმანეთისათვის კონკურენტ საწარმოებს, მაშინ მათ შორის დადებული შეთანხმება ჰორიზონტალური იქნება ხოლო პირიქით, თუ ისინი წარმოების ან დისტრიბუციის სხვა და სხვა დონეს მიეკუთვნებიან და ამდენად, არ წარმოადგენენ კონკურენტ მხარეებს, ამ შემთხვევაში მათ შორის დადებული შეთანხმება ვერტიკალურ შეთანხმებათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა შეთანხმება იმდენად კომბინირებულად აერთიანებდეს ორივე ტიპის ბუნებას, რომ რთული გახდეს მისი კლასიფიკაცია. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(1) მუხლი მოიცავს ორივე, როგორც ჰორიზონტალურ ისე ვერტიკალურ შეთანხმებათა ამკრძალავ რეგულირებას.<sup>113</sup>

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შორის არსებული ჰორიზონტალური ან ვერტიკალური შეთანხმება ყოველთვის შეიძლება არ იყოს ზიანის მომტანი და პირიქით, მხარეებმა გარკვეულ სავაჭრო პირობებზე შეთანხმებით შესაძლოა შეძლონ წარმოების ან მიწოდების გაუმჯობესება, ხელი შეუწყონ ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს ან გაზარდონ მომხმარებელთა კეთილდღეობა. ასეთ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმება არ განიხილება საზიანოდ და იგი შესაძლოა გათავისუფლდეს 101(1) მუხლის ამკრძალავი რეგულირებისაგან. შემდგომ თავებში ცალ-ცალკე განვიხილოთ და დავახასიათოთ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეთანხმებათა ძირითადი სახეები.

### 1.1. ფასის ფიქსაცია

ფასის ფიქსაცია კონკურენციის სამართალში მძიმე შეზღუდვათა კატეგორიას მიეკუთვნება, იმდენად რამდენადაც მას თან ახლავს კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და მნიშვნელოვანი ნეგატიური ეფექტი. ფასის ფიქსაცია შეზღუდვათა შორის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. მისი განხორციელება საწარმოთათვის უმეტესწილად საკმაოდ მომგებიანია და აქედან გამომდინარე, საკითხის საკანონმდებლო რეგულირება აუცილებელი ხდება ამ მომეტებული რისკის გასანეიტრალებლად.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(1) მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7(1) მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსაკუთრებით საზიანო შეზღუდვად მიიჩნევენ პირდაპირ ან არაპირდაპირ, შესასყიდი ან გასაყიდი ფასის ანდა სხვა სავაჭრო პირობის ფიქსაციას. 101(1) მუხლში მოცემული აღნიშნული დეფინიცია, შესაბამისად, ფართოა და მოიცავს ფასის არაპირდაპირი შეზღუდვის შემთხვევებსაც. ასე მაგალითად, მინის კონტეინერების

<sup>113</sup> იხ. <https://www.eucomplaw.com/horizontal-and-vertical-cooperation/>

საქმეზე<sup>114</sup> ევროკავშირის კომისიამ გამოავლინა ის მწარმოებლები, რომლებსაც შესაძლოა შეეზღუდათ ფასთა კონკურენცია, ერთმანეთს შორის მიღწეული შეთანხმებით, ფასდაკლების შეუთავაზებლობაზე, ინფორმაციის ღიაობისა და საერთო საანგარიშო პროცედურათა შემუშავების თაობაზე. ხოლო ანალოგიურად, იტალიური მინის მწარმოებელი კარტელისტი კომპანიები<sup>115</sup> დაჯარიმდნენ როგორც ფასის ფიქსაციის, ისე იდენტური ფასდაკლებების შეთავაზების შეთანხმების შემთხვევაშიც. აკრძალვაში ექცევა ფასის დადგენამდე საწარმოთა შორის ფასთან დაკავშირებული კონსულტაციის გავლაც.<sup>116</sup> შეზღუდვები პროდუქციის რეკლამირებასთან დაკავშირებით შესაძლოა აგრეთვე მოექცეს ფასის ფიქსაციის აკრძალვაში. ანალოგიურად, შეზღუდულია შეთანხმება წესებსა და პირობებზე რომლებიც ირიბად ზღუდავს ფასზე კონკურენციას. შეზღუდულია შეთანხმებები სარეკომენდაციო ფასებზე,<sup>117</sup> მაქსიმალურ ფასებსა<sup>118</sup> და კოლექტიური გადასაყიდი ფასების შენარჩუნებაზე.<sup>119</sup> აკრძალულია ფასის ფიქსაცია ქვეყნის შიდა ბაზრის ჩაკეტვის მიზნით.<sup>120</sup> ფასის ფიქსაციის აკრძალვა მოქმედებს როგორც მწარმოებელთა ისე დისტრიბუტორთა შეთანხმებების მიმართ.<sup>121</sup> 101(1) მუხლის დარღვევად მიიჩნევა შეთანხმებაც, რომელიც უზრუნველყოფს ორ გეოგრაფიულ ბაზარს შორის ერთსა და იმავე პროდუქტზე განსხვავებული ფასების დადგენას.<sup>122</sup> აკრძალვის ქვეშ ექცევა ფასებთან დაკავშირებით განხორციელებული მანიპულაციები, ევროკავშირში განხორციელებულ იმპორტსა<sup>123</sup> და ექსპორტზე.<sup>124</sup>

---

<sup>114</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 74/292/EEC, Manufacturers of glass containers [1974]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31974D0292&from=GA>

<sup>115</sup> კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, T-68/89.

<sup>116</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 83/546/EEC, Re Cast Iron Steel Rolls [1983]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31983D0546&from=EN>

<sup>117</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 8/72, Cementhandelaren v Commission [1972]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61972CJ0008&from=HR>

<sup>118</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 74/292/EEC, European Glass Manufacturers [1974]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31974D0292&from=GA>

<sup>119</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - 43/82 და 63/82, VBVB & VBBB v Commission [1984]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61982CJ0043&from=EN>

<sup>120</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 41/69, ACF Chemiefarma NV v Commission [1970]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61969CJ0041&from=EN>

<sup>121</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - 100/80, 101/80, 102/80 და 103/80, Musique Diffusion Française SA v Commission [1983]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61980CJ0100&from=HR>

<sup>122</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 92/444/EEC, Scottish Salmon Board [1992]

<sup>123</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილებები საქმეებზე - 74/634/EEC, Franco-Japanese Ballbearings Agreement, [1974]

75/77/EEC, French and Taiwanese Mushroom Packers [1975]

85/202/EEC, Wood Pulp [1984]

85/206/EEC, Aluminum Imports [1984]

<sup>124</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 85/76/EEC, Milchförderungsfonds [1985]

ფასის ფიქსაციასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ბრიტანული შაქრისმწარმოებელი კომპანიების საქმე,<sup>125</sup> რომლებსაც მართალია ფასის ფიქსაცია არ მოუხდენიათ, თუმცა შეთანხმების მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაყრდნობოდნენ ფასის დადგენის საერთო მიმართულებას, რამდენადაც ისინი სარგებლობდნენ ურთიერთგარკვეულ ატმოსფეროში ამ საკითხთან მიმართებით.<sup>126</sup> ამასთან, კომისიამ ბანანის მწარმოებელი სამი კომპანია 60.3 მილიონი ევროს ოდენობით დააჯარიმა, იმის გამო რომ მათ პერიოდულად ჰქონდათ სატელეფონო კომუნიკაცია, რის ფონზეც ახდენდნენ ფასებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და ურთიერთგამხელას. კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ მხარეთა შორის დისკუსიები ამცირებდა ბაზარზე კონკურენტთა შორის ფასების დადგენის შესახებ დაურწმუნებლობას და ხელს უწყობდა ფასების ფიქსაციას.<sup>127</sup> ამასთან, ფაქტი რომ რომელიმე მხარე არ იყო აქტიურად ჩართული ფასის ფიქსაციის გარიგებაში, არ გამოირიცხავს ზოგადად მის მონაწილეობას კარტელურ გარიგებაში.<sup>128</sup> კარტელში პასიური მონაწილეობა არ იცავს ამ მხარეებს შესაბამისი პასუხისმგებლობებისაგან.<sup>129</sup> თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პასუხისმგებლობის განსაზღვრის კუთხით, კომისიამ შესაძლოა გაითვალისწინოს აღნიშნული საწარმოს მინიმალური მონაწილეობაც კარტელურ გარიგებაში.<sup>130</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ფასის ფიქსაციის შეთანხმებებს მხარეთათვის საკმაოდ დიდი ფინანსური სარგებელი მოაქვს, ამ შეთანხმებათა შესრულებაზე დაკვირვებასა და მის შენარჩუნებას, კარტელის მონაწილეთა მხრიდან გარკვეული რესურსებიც გაღებაც სჭირდება. მაგალითად მხარეთა შეხვედრებისა და კომუნიკაციისათვის. ამასთან, ხანდახან საქმეს ართულებს ფასის ფიქსაციის შეთანხმების ხანგრძლივი მოქმედებაც და მასში დიდი რაოდენობით ეკონომიკურ აგენტთა მონაწილეობაც. ამდენად, პრაქტიკული თვალსაზრისით, ეკონომიკურ აგენტებისათვის ფასის ფიქსაციის შეთანხმებაზე მეტად მომგებიანი და მარტივი, შესაძლოა ბაზრის გეოგრაფიული კრიტერიუმით დანაწილების შეთანხმება აღმოჩნდეს. თუმცა ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ფასის ფიქსაციის შეთანხმება პრაქტიკაში იშვიათი იყოს. გამოცდილება აჩვენებს, რომ ზოგიერთი ინდუსტრია განსაკუთრებით არის მიდრეკილი ფასის ფიქსაციის შეთანხმებისაკენ. ამის

---

<sup>125</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 1999/210/EC, British Sugar plc [1999]

<sup>126</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის მე-18 მოხსენება კონკურენციის პოლიტიკაზე [1998] §138-140. [http://ec.europa.eu/competition/publications/annual\\_report/1998/en.pdf](http://ec.europa.eu/competition/publications/annual_report/1998/en.pdf)

<sup>127</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 525.

<sup>128</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-99/04, AC-Treuhand AG v Commission [2008]

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=67382&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1184358>

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-29/05, Deltafi na SpA v Commission [2010]

<sup>129</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე - T-308/94, Cascades v Commission [1998];

T- 377/06, Comap SA v Commission [2011]

<sup>130</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 526.

მაგალითად შეგვიძლია ცემენტის, სამშენებლო და ქიმიური ინდუსტრიები მოვიყვანოთ.<sup>131</sup>

გარდა ჩამოთვლილი სახეებისა, ფასის ფიქსაციის შეთანხმებაში შესაძლოა მოიაზრებოდეს მხარეთა შეთანხმება, ფასდაკლებების გამოცხადებისაგან თავის შეკავებაზე, ფასების დარეკლამებისაგან თავის შეკავებაზე, ფასების დადგენაზე წინასწარ ერთმანეთში შეთანხმებაზე, ანდა იდენტური ფასის საანგარიშო მეთოდის შემუშავებაზე. კონკურენციის შესახებ კანონმდებლობამ კი უნდა უზრუნველყოს ამ შეთანხმებათა ღირსეული პრევენცია ეკონომიკურ სივრცეში.<sup>132</sup>

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(1) მუხლის „ა“ ქვეპუნქტი თავის თავში მოიცავს და აერთიანებს ამ ყველა ზემოაღნიშნულ შეთანხმებას. მიუხედავად ამისა, იმისათვის რომ რომელიმე ტიპის ფასის ფიქსაციის შეთანხმებამ დაარღვიოს 101(1) მუხლი, აუცილებელია მას შესამჩნევი ეფექტი ჰქონდეს კონკურენციაზე ანდა წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მუხლს ახასიათებს ექსტრატერიტორიულობის პრინციპი იმ გარიგებათა მიმართ, რომლებიც დაიდო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუმცა მისი მოქმედება გავრცელდა ევროკავშირის შიგნით.<sup>133</sup>

## 1.2. წარმოებისა და ინოვაციის შეზღუდვა

შეთანხმების 101(1) მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ცალკეულად გამოყოფს როგორც პროდუქციისა და ბაზრის, ისე ტექნიკური პროგრესისა და ინვესტიციების შეზღუდვას, როგორც კონკურენციაზე განსაკუთრებით მავნე შედეგის მქონე შეზღუდვის სახეს. პრაქტიკაში ხშირად პროდუქციის შეზღუდვის შესახებ შეთანხმება შესაძლოა ფასის ფიქსაციის შეთანხმებასაც მოიცავდეს, თუმცა მიუხედავად იმისა მოიცავს თუ არა იგი ფასის დადგენის შესახებ მხარეთა ნების გამომხატველ რაიმე სახის დათქმას, პროდუქციის შეზღუდვა თავისი ხასიათიდან გამომდინარე ლოგიკურად ისედაც იწვევს პროდუქციაზე ფასების ზრდას, რაც სწორედ პროდუქციის რაოდენობის შემცირებიდან გამომდინარეობს.

პროდუქციის შეზღუდვის შეთანხმება მხარეთათვის ფინანსურად მომგებიანია. ეს შეთანხმება ეკონომიკურ აგენტებს შესაძლებლობას აძლევს, მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ლიმიტის დაწესებით, გაზარდონ მასზე მოთხოვნადობა და შესაბამისად ფასებიც, რაც ლოგიკურია, რომ აზარალებს მომხმარებელს და ართმევს მას კეთილდღეობას.<sup>134</sup>

მომგებიანობასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარმოების შეზღუდვის შესახებ შეთანხმება მხარეთათვის, ფასის ფიქსაციის შეთანხმების მსგავსად

<sup>131</sup> იქვე, 522-523.

<sup>132</sup> იქვე, 523.

<sup>133</sup> იქვე, 524.

<sup>134</sup> ob. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 533-534.

რთულად მისაღწევ შეთანხმებას წარმოადგენს და მოითხოვს მათ შემდგომ ძალისხმევას მისი შესრულების მონიტორინგისათვის. მონიტორინგი მიზნად ისახავს შეთანხმების ყოველი მხარის ქმედების კონტროლს, რათა რომელიმე საწარმომ არ მოახდინოს პროდუქციის შეთანხმებულზე მეტი რაოდენობით წარმოება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შეთანხმება აზრს დაკარგავს. იმდენად რამდენადაც ზოგიერთი საწარმო მეტად ფართო, ეფექტური ანდა უფრო სწრაფად მზარდია, მათი ქმედებების კონტროლი განსაკუთრებულ მონიტორინგს მოითხოვს, რისთვისაც როგორც წესი შეთანხმების მხარეებს შემუშავებული აქვთ ერთგვარი პრევენციული მექანიზმები. მაგალითად, საწარმოთა მიერ პერიოდულად ინფორმაციისა და მონაცემების ურთიერთგაცვლა. ხოლო შეთანხმების დამრღვევ საწარმოს შესაძლოა დაეკისროს სხვა მონაწილე საწარმოთა მიმართ კომპენსაციის სახით გარკვეული ანაზღაურების გადახდა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ნავთობპროდუქტების ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანება, ე.წ. “OPEC” მართალია არ ახდენს ფასის ფიქსაციას, მაგრამ სწორედ იმ საკითხს ადგენს, თუ რა რაოდენობის ნავთობის ექსპორტირება უნდა მოახდინოს თითოეულმა ქვეყანამ.<sup>135</sup>

პეროქსიდების პროდუქციის საქმეზე კომისიამ დაადგინა, რომ ეკონომიკური აგენტები გარდა გეოგრაფიული მარკეტის დანაწილებისა, შეთანხმდნენ ბაზრის გარკვეული კვტის მიხედვით დანაწილებაზეც.<sup>136</sup> მნიშვნელოვანია ტყვიის მწარმოებელთა საქმის აღნიშვნაც, სადაც კომისიამ დაადგინა მხარეთა შორის დანაწილების სქემის არსებობა. აღნიშნულ საქმეზე, ტყვიის მწარმოებელი საწარმოები რომლებიც ოპერირებდნენ დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და ნიდერლანდებში, შეთანხმდნენ რომ თითოეული მათგანი მოახდენდა მხოლოდ პროდუქციის ერთი მესამედის მიწოდებას ევროკავშირის ქვეყნებს გარეთ ექსპორტირებისათვის.<sup>137</sup> ხოლო იტალიურ მინის მწარმოებელთა საქმეზე, კომისიამ დაადგინა კარტელური შეთანხმების არსებობა მწარმოებელთა შორის, რომლებიც მიზნად ისახავდა ურთიერთშეთანხმებით წარმოებაზე ლიმიტის დადგენას და აღნიშნა, რომ ამგვარი შეთანხმების არსებობა ეჭვგარეშეა, რომ ზღუდავს კონკურენციას.<sup>138</sup>

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი შეთანხმება რომელიც მოიცავს პროდუქციაზე ლიმიტის დადგენას, შესაძლოა არ იყოს ზიანის მომტანი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სპეციალიზაციის შეთანხმებები, საზიარო წარმოების, კვლევისა და ინოვაციის შეთანხმებები, კარტელის რესტრუქტურისა და სტანდარტიზაციის

<sup>135</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 533-534.

<sup>136</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 85/74/EEC, Peroxygen Products [1985] <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:1985:035:FULL&from=EN>

<sup>137</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 79/90/EEC, Associated Lead Manufacturers [1979] <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31979D0090&from=PT>

<sup>138</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 89/93/EEC, Italian Flat Glass [1989] <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31989D0093:EN:HTML>

შეთანხმებები რომლებიც შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ჩაითვალოს სარგებლის მომტანად.<sup>139</sup>

რაც შეეხება მხარეთა შეთანხმებას, რომლითაც ისინი ზღუდავენ წარმოების განვითარებასა და ინვესტიციას, ასეთი შეთანხმება ცხადია აფერხებს ბაზრის განვითარებას, რაც თავის მხრივ კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია.<sup>140</sup>

წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა კონკურენციისათვის საზიანო შემთხვევად არის გათვალისწინებული და ცალკეულად გამოყოფილი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7(1) მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში. ამდენად, ამგვარი პრაქტიკის პრევენცია და აღკვეთა ქართული კონკურენციის კანონმდებლობითაც პრიორიტეტულად არის მიჩნეული.

### 1.3. ბაზრის განაწილება

ბაზრის ან მომარაგების წყაროს განაწილება მხარეთა შორის 101(1) მუხლისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიერ ერთ-ერთ მძიმე კატეგორიის შეზღუდვად არის დასახელებული. მისი შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული შეთანხმება ყველაზე უფრო ზიანის მომტან შეთანხმებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან იგი ხშირ შემთხვევაში ბოლომდე აღმოფხვრის ბაზარზე არსებულ კონკურენციას, მათ შორის ფასზე, მომსახურებასა და ხარისხზე და ამდენად, უკიდურესად აზიანებს მომხმარებლის ინტერესებს, მაშინ როდესაც ფასის ფიქსაციაზე შეთანხმებისას, მხარეები აღმოფხვრიან ფასზე კონკურენციას, ხოლო მათ შორის კონკურენცია ხარისხსა და მომსახურებაზე კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. გარდა ამისა, ბაზრის განაწილების შეთანხმება მხარეთათვის მეტად მომგებიანია, შედარებით ფასის ფიქსაციის შეთანხმებასთან, ვინაიდან ბაზრის განაწილებისას თავიდან არის აცილებული ფასის ფიქსაციისა და მონიტორინგისათვის საჭირო სირთულეები და დანახარჯები. ამასთან, ბაზრისა და მომარაგების წყაროს განაწილებაზე მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისე მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვითაც. ასე მაგალითად შეთანხმდნენ, რომ ერთი საწარმო მოამარაგებს მხოლოდ საცალო სავაჭრო პუნქტებს, ხოლო მეორე საწარმო სხვა საჯარო ინსტიტუციებს.<sup>141</sup>

პრაქტიკაში ბაზრისა და მომარაგების წყაროს განაწილება ეკონომიკურ აგენტთა შორის საკმაოდ ხშირია. წინა თავში განხილულ პეროქსიგენის პროდუქციის საქმეზე, რომელზეც ევროკავშირის კომისიამ ხუთი მწარმოებელი საწარმო დააჯარიმა ცხრა მილიონი ევროთი, კომისიამ დაადგინა მხარეთა შორის

<sup>139</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 534.

<sup>140</sup> იხ. Bishop S., Walker M., The Economics of EC Competition Law: Concepts, Application and Measurement, 3rd Ed., Sweet & Maxwell, 2010, 45.

<sup>141</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 530-531.

გეოგრაფიული ბაზრის განაწილების შემთხვევაც, სადაც მხარეები ე.წ. „მშობლიური ბაზრის“ პრინციპით ნაწილდებოდნენ ბაზარზე და შედეგად იწვევდნენ სხვადასხვა გეოგრაფიულ ბაზარზე არსებული პროდუქციის ფასებს შორის მკაფიო განსხვავებას.<sup>142</sup> მნიშვნელოვანია ლუქსემბურგის ლუდის მწარმოებელთა საქმეც, რომელზეც კომისიამ ხუთი მწარმოებელი დააჯარიმა ლუქსემბურგის შიდა ბაზრის იმგვარად „დაცვისათვის“, სადაც ხელი ეშლებოდა ლუდის სხვა პროდუქციის ამ ბაზარზე იმპორტირებას. ეს საქმე ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ კომისიამ მხარეთა დაჯარიმებისას არ გაითვალისწინა საწარმოს წილი ბაზარზე და არც მისი სიმცირე და ე.წ. De Minimis წესის გვერდის ავლით მაინც დააკისრა მწარმოებლებს ჯარიმა, ვინაიდან მათ შორის არსებული შეთანხმება ატარებდა კონკურენციის შეზღუდვის მიზანს და ამდენად, წარმოადგენდა მძიმე დარღვევას.<sup>143</sup>

დასასრულს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის განაწილება ყოველთვის არ არღვევს კონკურენციას და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მას დადებითი ეფექტებიც ჰქონდეს. ამდენად, ასეთ შემთხვევებში, ეს შეთანხმებები შესაბამისი შეზღუდვებისაგან შესაძლოა გათავისუფლდეს კიდევ.<sup>144</sup>

#### 1.4. დისკრიმინაცია

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(1) მუხლის „დ“ და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7(1) მუხლის „დ“ ქვეპუნქტები ეხება და კრძალავს ეკონომიკური აგენტების მიერ დისკრიმინაციული პირობების მისადაგებასა და გამოყენებას მათი სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორების მიმართ. ამდენად, სავარაუდოა რომ ის ზიანი, რომელიც ამგვარ შეთანხმებებს მოაქვთ, მეორე მხარეთათვის, შესამჩნევად დიდია.

101(1) მუხლის „დ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული დისკრიმინაციული შეთანხმების შინაარსი, როგორც სოლომონ მენაბდიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, ორი კონკრეტული მიმართულებით უნდა გავიგოთ. პირველ რიგში, დისკრიმინაცია შესაძლოა გულისხმობდეს, ეკონომიკური აგენტის მიერ, იდენტურ პროდუქციაზე ან მომსახურებაზე, განსხვავებული ფასის დაწესებას ორი სხვადასხვა კონტრაქტისათვის, რაც თავისთავად გულისხმობს იმას რომ ამ ეკონომიკური აგენტის ერთი კონტრაქტისათვის ეს გარიგება სარგებლის მომტანია, ხოლო მეორისათვის ზიანის მომტანი. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მეორე

<sup>142</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 85/74/EEC, Peroxygen Products, [1985] <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:1985:035:FULL&from=EN>

<sup>143</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 2002/759/EC, Luxembourg Brewers, [2002] ; <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32002D0759&from=EN>

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - T-49/02 - T-51/02, Brasserie National SA v. Commission, [2005] <http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=58221&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1187718>

<sup>144</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 531.

კონტრაქტს, პროდუქციის გადაყიდვისას მოუწევს შესყიდვის მაღალი ფასის გათვალისწინება და საქონლის უფრო მაღალ ფასად გაყიდვა, რის შედეგადაც იგი პირველ კონტრაქტთან შედარებით კონკურენციულად წამგებიან პოზიციაში ხვდება. ამ გარემოებას ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვეს ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე. მეორე მხრივ, დისკრიმინაცია შესაძლოა იმაშიც გამოიხატოს რომ ეკონომიკურმა აგენტმა, ორ სხვადასხვა სუბიექტს, განსხვავებული ფასის მქონე პროდუქცია ან მომსახურება იდენტურ ფასად მიყიდოს. ესეც, იგივენაირად შესაძლოა არღვევდეს მხარეთა შორის ბალანსს და იმავე სახის ზიანის მომტანი იყოს, რაც პირველ შემთხვევაში განვიხილეთ. აღნიშნული ტიპის განსხვავებები სახელშეკრულებო პირობებში, ზიანს აყენებს როგორც ბაზარზე არსებულ კონკურენციას, ისე სახელმწიფოთა შორის ვაჭრობას.<sup>145</sup>

### 1.5. შებოჭვა-კომპლექტაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკურ სფეროში მოქმედ სუბიექტებს, თანასწორად გააჩნიათ მტკიცე თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთარი წარმოების სტრატეგიები, შეიმუშაონ გეგმები, გამოიციონ მათი კონკურენტი საწარმოების სამომავლო ქმედებები და შეუსაბამონ მათ საკუთარი პროდუქციის ხარისხი, კონკურენტული ფასი, სწრაფვა ინოვაციისაკენ და ასე შემდეგ, იმ დათქმით, რომ მათი ეს თავისუფლება უნდა ესადაგებოდეს სამართლის ნორმატიულად დადგენილ ჩარჩოებს. იმდენად, რამდენადაც მხარეები თავისუფალნი არიან საკუთარი სტრატეგიების შემუშავებაში, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მათ მიმართონ შებოჭვა-კომპლექტაციის გავრცელებულ ტაქტიკას, რაც საერთო ჯამში საზიანოა კონკურენციული გარემოსათვის და რაც მძიმე კატეგორიის შეზღუდვას წარმოადგენს როგორც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(1) მუხლის „ე“, ისე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7(1) მუხლის „ე“ ქვეპუნქტების მიხედვით.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(1) მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, იკრძალება ეკონომიკურ აგენტთა მიერ გარიგებათა მოქმედებისათვის იმგვარი პირობების დაწესება, რომლებიც მეორე მხარეს აკისრებენ ისეთ დამატებით ვალდებულებებს, რომლებსაც არც მათი ბუნებითა და არც კომერციული დანიშნულებით, არ აქვთ საერთო უშუალოდ ამ გარიგების შინაარსთან. მარტივად რომ ვთქვათ, შებოჭვა-კომპლექტაცია ეს არის სიტუაცია, როდესაც მომხმარებელი რომელიც იძენს ერთი სახის პროდუქტს, იძულებულია შეიძინოს მასთან ერთად მეორე სახის სხვა პროდუქტიც, რაიმე სახის ტექნიკური

<sup>145</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 50.

მიზეზით, ან ხელშეკრულების ძალით. ამდენად, როგორც სოლომონ მენაბდიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, ერთმანეთისაგან შეგვიძლია გამოვყოთ ორი სახის შებოჭვა-კომპლექტაცია. ესენია: ჩვეულებრივი და შერეული სახის შებოჭვა-კომპლექტაციის შემთხვევები. შებოჭვა-კომპლექტაცია ჩვეულებრივია, როდესაც ტექნიკური პირობების გამო, ანდა დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით, ორი სხვადასხვა პროდუქტის გაყიდვა, როგორც წესი, ერთობლივად ხორციელდება. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაჯის საათისა და ელემენტების შემთხვევა. საათის ამ ელემენტების შექმნა მომხმარებელს საათისგან დამოუკიდებლად შეუძლია, თუმცა აღნიშნულ პროდუქტებზე ვაჭრობა პრაქტიკაში ერთობლივად ხორციელდება. რაც შეეხება შერეული შებოჭვა-კომპლექტაციის შემთხვევას, აქ ის ეკონომიკური აგენტის ერთგვარად არაჯანსაღი სტრატეგიის სახეს იღებს, იმდენად რამდენადაც მას სურს გაზარდოს მისი ერთი სახეობის პროდუქციის გაყიდვათა რაოდენობა, მეორე სახის პროდუქციაზე მიხედვით. ამ შემთხვევაში იგი მომხმარებელს გაცილებით ნაკლებ ფასს სთავაზობს, თუკი იგი პროდუქტებს ერთობლივად შეიძენს.<sup>146</sup> აღნიშნულის საილუსტრაციოდ ყველაზე მარტივი მაგალითი სწრაფი კვების ობიექტების, მაგალითად მაკ დონალდსის მენიუებიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ, სადაც შემავალი თითოეული პროდუქტის ფასი ცალ-ცალკე გაცილებით მაღალია იმ ფასთან შედარებით, რასაც მომხმარებელი მათი მენიუს სახით, ერთობლივი შესყიდვისას იხდის. აგრეთვე, ყველაზე გახმაურებული საქმე ევროკავშირში, რომელიც ეხებოდა შებოჭვა-კომპლექტაციის შემთხვევას არის სწორედ გიგანტი კომპანია Microsoft-ისა და Windows Media Player-ის გაერთიანების შემთხვევა.<sup>147</sup>

იმის დასადგენად, არის თუ არა შებოჭვა-კომპლექტაცია კონკურენციისათვის საზიანო, არსებობს ერთგვარი ტესტი, რომელიც მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: (ა) არის თუ არა პროდუქტთა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა ტექნიკურად შესაძლებელი; (ბ) არსებობს თუ არა მომხმარებელთა ლოგიკური სურვილი ეს პროდუქტები შეიძინონ ერთად; (გ) იწვევს თუ არა შებოჭვა-კომპლექტაცია კონკურენციის დახურვის ეფექტს; (დ) და აქვს თუ არა ობიექტური და პროპორციული გამართლება პროდუქტების შებოჭვა-კომპლექტაციის შემთხვევას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენადაც შებოჭვა-კომპლექტაციას, როგორც წესი, დომინანტური პოზიციის მფლობელი საწარმოები მიმართავენ პრაქტიკაში,<sup>148</sup> იგი წარმოადგენს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების შემთხვევასაც და ამდენად, რიგ შემთხვევებში ექცევა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ

<sup>146</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 50-51.

<sup>147</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-201/04, Microsoft Corp. v Commission of the European Communities, [2007] <http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?jsessionid=0BDEEC028B39EDD2C182B59C6D9234CA?text=&docid=62940&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=8081914>

<sup>148</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 50.

შეთანხმების 102-ე მუხლის „დ“ და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6(1) მუხლის „დ“ ქვეპუნქტის რეგულირების ფარგლებშიც.

### 1.6. კოლუზიური ტენდერი

ეკონომიკურ აგენტთა მიერ განხორციელებული მანიპულაციები გამოცხადებულ ტენდერებზე მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია და როგორც წესი იგი მნიშვნელოვნად არღვევს კონკურენციას. კოლუზიური ტენდერების აკრძალვა გათვალისწინებული არ არის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(1) მუხლში, თუმცა მიუხედავად ამისა, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7(1) მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი მოიცავს აკრძალვას ეკონომიკურ აგენტთა მიერ კოლუზიურ ტენდერში მონაწილეობის შესახებ.

კოლუზიური ტენდერი, როგორც წესი, რამოდენიმე განსხვავებული სახით შესაძლოა არსებობდეს. მათ შორის ყველაზე მარტივი და უფრო გავრცელებული ფორმით, საწარმოები წინასწარ თანხმდებიან ტენდერში ინდეტური ფასების შეთავაზებაზე, რის შედეგადაც იმედოვნებენ შეკვეთათა თანაბარი რაოდენობით მიღებას. კოლუზიური ტენდერის სხვა, ასევე გავრცელებული სახეა როტაციის პრინციპზე დაფუძნებული მანიპულაცია, რომლის მიხედვითაც, შეთანხმებული საწარმოები მორიგეობით აკეთებენ ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზებას და შესაბამისად, მორიგეობით იმარჯვებენ ტენდერებში.<sup>149</sup>

კოლუზიური ტენდერის მოქმედება შედეგობრივად ზღუდავს მხარეთა შორის ფასზე კონკურენციას და შესაძლოა ამავედროულად იწვევდეს ბაზრის განაწილებასაც. ყველა ტიპის კოლუზიური ტენდერი ემყარება საფუძველს იმისა, რომ ნაცვლად თითოეული საწარმოს მცდელობისა, შეიმუშავოს საუკეთესო წინადადება ტენდერში გასამარჯვებლად, შეთანხმებული საწარმოები თანხმდებიან ერთ ყველაზე დაბალ ფასზე, რომელიც უნდა შესთავაზონ მათ ტენდერს ან თანხმდებიან საწარმოზე, რომელიც უნდა იყოს წარმატებული კონკრეტულ ტენდერში. ამდენად შეთანხმებული ტენდერი ემყარება არა მხარეთა ინდივიდუალურ ეკონომიკურ კალკულაციას, არამედ მათ შორის წინასწარ გაზიარებულ და შეთანხმებულ ინფორმაციას, რომლითაც მხარეთა შორის კონკურენცია აღმოფხვრილი, დაზიანებული ან შეზღუდულია. კოლუზიური ტენდერი არღვევს 101(1) მუხლის დანაწესს იმდენად, რამდენადაც მას შედეგად მოსდევს ფასის ფიქსაცია ან ეკონომიკურ აგენტთა შორის ბაზრის განაწილება.<sup>150</sup>

კოლუზიური ტენდერის საკითხთან მიმართებით, ელისონ ჯონსსა და ბრენდა სუფრინს საილუსტრაციოდ ერთ-ერთი გახმაურებული საქმე მოჰყავთ, რომელიც ეხება ლიფტებისა და ესკალატორების კომპანიებს. ამ საქმეზე კომისიამ ჯარიმის

<sup>149</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 536.

<sup>150</sup> იხ. Jones A., Sufirin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 812-813.

სახით ეკონომიკურ აგენტებს ჯამში 992 მილიონი ევროს გადახდა დააკისრა. საქმე ეხება ოთხ ეკონომიკურ აგენტს, რომლებიც რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩართულები იყვნენ იმ კოლუზიურ ტენდერებში, რომლებიც უკავშირდებოდა ბელგიაში, ნიდერლანდებში, გერმანიაში და ლუქსემბურგში ლიფტებისა და ესკალატორების დამონტაჟებას.<sup>151</sup> გარდა იმისა, რომ აღნიშნულმა კოლუზიურმა ტენდერმა უდიდესი ზიანი მიაყენა ბაზარზე არსებულ კონკურენციას მისი გრძელვადიანი ეფექტიდან და ბაზრის იმ უდიდესი წილიდან გამომდინარე, რასაც აღნიშნული ოთხი ეკონომიკური აგენტი ფარავდა, კომისია განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ამ გარიგებათა ქსელის აღმოჩენით, ვინაიდან სწორედ ამ კომპანიებს ეკუთვნოდათ მთლიანად ევროკავშირის ინსტიტუციებსა და ლუქსემბურგის სასამართლოების შენობებში დამონტაჟებული ლიფტები და ესკალატორები.<sup>152</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ევროკავშირის კომისიამ თავის ისტორიაში ყველაზე მაღალი რაოდენობის ჯარიმა ერთი გადაწყვეტილების ფარგლებში, კერძოდ კი ჯამში 1,3 მილიარდი ევრო დააკისრა სამანქანო შუშების მწარმოებელ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კოლუზიურ ტენდერში.<sup>153</sup> ამ გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთი მხრივ ევროკავშირის კომისია საკმაოდ უარყოფითად აფასებს ეკონომიკურ აგენტთა მიერ შეთქმულ ტენდერებში მონაწილეობის საკითხს, ხოლო მეორე მხრივ, მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტიც, რომ დიდია ამგვარი ტენდერების მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგებიც, რაც თავისთავად ჯარიმათა იმ რაოდენობაშიც არის ასახული, რომელთა გადახდაც ევროკავშირის კომისიამ, ამ საქმეებზე, კოლუზიურ ტენდერებში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს დააკისრა.

### 1.7. ინფორმაციის გაცვლის შეთანხმება ან შეთანხმებული პრაქტიკა

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმებისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები არ მოიცავს ცალკეულ მითითებას, მხარეთა მიერ ინფორმაციის გაცვლის განსაკუთრებული არაკონკურენციული ხასიათის შესახებ. თუმცა, ევროკავშირის კომისიის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შესახებ მოიცავს მითითებებს, ზოგ შემთხვევაში, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის თანმდევი კონკურენციის შემზღვევა მიზნის ან შედეგის შესახებ.<sup>154</sup>

<sup>151</sup> ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - COMP/E-1/38.823, PO/Elevators and Escalators, [2007]

[http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec\\_docs/38823/38823\\_1340\\_4.pdf](http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec_docs/38823/38823_1340_4.pdf)

<sup>152</sup> იხ. Jones A., Sufrin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 814.

<sup>153</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - COMP/39.125, Car glass, [2008] [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52009XC0725\(02\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52009XC0725(02)&from=EN)

<sup>154</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენებაზე.

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN)

ინფორმაციის გაცვლის შეთანხმებას ან შეთანხმებულ პრაქტიკას შესაძლოა რამოდენიმე ფორმა ჰქონდეს. ინფორმაცია მხარეებმა შესაძლოა პირდაპირ ან მესამე მხარის მეშვეობით გაცვალონ, იქნება იგი სავაჭრო ასოციაცია თუ მათი საერთო მიმწოდებელი. ამასთან, ინფორმაციის გაცვლისას, არ არის სავალდებულო მხარეებმა თანხმობას მიაღწიონ რომელიმე ვთქვათ, ფასთან დაკავშირებულ პირობაზე. ცალკეული ფაქტი რომ მხარეებმა გაცვალეს სამომავლო ფასის შესახებ მათი სტრატეგიული ინფორმაცია, უკვე საეჭვოს ხდის რომ მხარეებმა მიაღწიეს ფასზე შეთანხმებას. ასე მაგალითად, გავისხენოთ ზემოაღნიშნული და გახმაურებული ბანანის მწარმოებელი კომპანიების საქმე,<sup>155</sup> რომელზეც ევროკავშირის კომისიამ დაადგინა მწარმოებელთა შორის, სამომავლო ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებული, შეთანხმებული პრაქტიკის არსებობა, რამდენადაც ისინი აწარმოებდნენ სატელეფონო კომუნიკაციას და უზიარებდნენ ერთმანეთს გარკვეულ მონაცემებს.<sup>156</sup>

კომისიის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების შესახებ, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ინფორმაციის გაცვლის შესახებ კომისიის თვალთახედვაზე. ამ სახელმძღვანელოს თანახმად, შეთანხმების 101(1) მუხლთან წინააღმდეგობაშია ისეთი სტრატეგიული ინფორმაციის გაცვლა, რომელიც ამცირებს მხარეთა შორის არსებულ სტრატეგიულ გაურკვევლობას.<sup>157</sup> ამასთან დაკავშირებით, არსებობს პრეზუმფცია, რომ ამგვარი ინფორმაციის მიღება კონკურენტისაგან, მიუხედავად იმისა რომ შესაძლოა მეორე საწარმო ინფორმაციის მხოლოდ პასიური მიმღებია და თავად არ გაუცია მსგავსი მონაცემები, საფრთხეს უქმნის სამართლიან კონკურენციას, რადგან არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ინფორმაციის პასიური მიმღები საწარმო მიღებულ ინფორმაციას პრაქტიკაში გამოიყენებს და დაეყრდნობა ამ მონაცემებს, თავისი სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრისას.<sup>158</sup>

აღნიშნული სახელმძღვანელო გამოკვეთს ორ კრიტერიუმს, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ინფორმაციის გაცვლის ტიპი და მისი ანტიკონკურენციული ხასიათი. ესენია: გაცვლილი ინფორმაციის ხასიათი და არსებული ბაზრის ეკონომიკური პირობები. სახელმძღვანელოს თანახმად, როგორც რიჩარდ ვიში აღნიშნავს, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინირებული მოქმედება მეტად მოსალოდნელია გამჭვირვალე, კონცენტრირებული, არაკომპლექსური, სტაბილური და სიმეტრიული

---

<sup>155</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - COMP/39188, Bananas, [2008] [http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec\\_docs/39188/39188\\_2291\\_2.pdf](http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec_docs/39188/39188_2291_2.pdf)

<sup>156</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 541-542.

<sup>157</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენებაზე, §86. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN)

<sup>158</sup> იქვე, § 62.

ბაზრებისათვის.<sup>159</sup> ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გაცვლილი ინფორმაციის სიხშირეც.<sup>160</sup>

კომისიის აზრით, ინფორმაცია რომელიც მეტი სიხშირით იცვლება, რა თქმა უნდა ატარებს კონკურენციის შეზღუდვის მომეტებულ რისკს.<sup>161</sup> მომეტებულ რისკს ატარებს აგრეთვე უახლესი ინფორმაციის გაცვლაც, შედარებით წარსული მონაცემების გაცვლასთან.<sup>162</sup> ამასთან, გაერთიანებული ფორმით, საჯაროდ გაცვლილი ინფორმაციაც მიიჩნევა ნაკლები რისკის შემცველად. მაგალითად, ნაკლებ რისკს ატარებს საწარმოთა ან სავაჭრო ასოციაციათა მიერ გაერთიანებული, სტატისტიკური სახით ინფორმაციის გავრცელება, სადაც საწარმოთა ინდივიდუალური მონაცემების დადგენა რთული ან შეუძლებელია.<sup>163</sup> კონკურენციის დარღვევის რისკს, თავის მხრივ, საწარმოთა დიდი მოცულობის საბაზრო წილის ფლობაც ზრდის.<sup>164</sup>

და ბოლოს, ელისონ ჯონსისა და ბრენდა სუფრინის აზრით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა სახის ინფორმაციის გაცვლა ნამდვილად არ შეიძლება მიიჩნეოდეს ანტიკონკურენციული მიზნის ან ეფექტის მქონედ და ამდენად იწვევდეს შეთანხმების 101(1) მუხლის დარღვევას. ცალკეულ შემთხვევებში, მხარეთა მიერ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას შესაძლოა განსაკუთრებით მომგებიანი და დადებითი ზეგავლენა ჰქონდეს ეკონომიკური ბაზრის სტრუქტურაზე, რაც შესაძლოა უშუალოდ ეკონომიკური ეფექტურობის ზრდაში გამოიხატოს.<sup>165</sup>

#### 1.8. საწარმოს წარმომადგენელთა მიერ კონკურენციის შემზღუდველ შეხვედრაზე დასწრება

რამდენადაც წინა თავის ფარგლებში მიმოვიხილეთ ინფორმაციის გაცვლის შესაძლო ანტიკონკურენციული შედეგები, კარგი იქნება თუ შევეხებით ანტიკონკურენციული ხასიათის მქონე შეხვედრაზე მხარეთა დასწრების საკითხსაც, რადგან ხშირ შემთხვევაში, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა სწორედ ამგვარ შეხვედრებზე დასწრებით ხორციელდება.

თემის განხილვა იმის აღნიშვნით უნდა დავიწყოთ, რომ სარწმუნო არგუმენტს არ წარმოადგენს საწარმოს მიერ იმის გამოცხადება, რომ იგი დაესწრო აღნიშნულ

<sup>159</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 543-544.

<sup>160</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენებაზე, §58. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN)

<sup>161</sup> იქვე, § 91.

<sup>162</sup> იქვე, § 90.

<sup>163</sup> იქვე, § 89.

<sup>164</sup> იქვე, § 87.

<sup>165</sup> იხ. Jones A., Sufirin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 821.

შეხვედრას, თუმცა ამ შეხვედრაზე იგი ინარჩუნებდა სიჩუმეს და უშუალოდ მას ინფორმაცია არ გაუცია. მართლმსაჯულების სასამართლომ T-mobile-ის საქმეზე<sup>166</sup> მსჯელობისას განმარტა, რომ თუნდაც მხოლოდ ერთ შეხვედრაზე დასწრება საკმარის საფუძველს წარმოადგენს მხარეთა მიერ სამომავლოდ შეთანხმებული პრაქტიკის განხორციელებისათვის, სანამ მხარე რომელსაც არ სურს კარტელში მონაწილეობის მიღება, თავის მხრივ არ გადადგამს პოზიტიურ ნაბიჯებს ამ კარტელისგან საჯარო დისტანცირებისათვის.<sup>167</sup> ამ მკაფიო მესიჯიდან გამომდინარე, რომელიც მართლმსაჯულების სასამართლომ გააჟღერა, იგულისხმება რომ საწარმოთათვის უმჯობესი იქნება, თუკი მისი წარმომადგენლები არ დაესწრებიან ისეთ შეხვედრას, სადაც განიხილება კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებები.

თუმცა, მაშინაც კი თუ რომელიმე საწარმო დაესწრება ამგვარ შეხვედრას, მას შანსი აქვს გამოასწოროს მდგომარეობა, შეხვედრისგან საჯარო დისტანცირებით. საჯარო დისტანცირების საკითხებს ეხება თავის ნაშრომში სოლომონ მენაბდიშვილიც, სადაც იგი აღნიშნავს რომ საჯარო დისტანცირება საწარმომ აქტიური ქმედებით უნდა განახორციელოს. საწარმოს წარმომადგენლის დუმილი განიხილება, როგორც თანხმობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რისი განხილვაც შეხვედრაზე მოხდა და თანხმობა, სხვა საწარმოებთან ერთად შეთანხმებაში მონაწილეობაზე. ზოგადად, მითითება იმის შესახებ, რომ ამგვარ შეხვედრაზე დასწრების შემდგომ, ეკონომიკურმა აგენტმა აუცილებლად უნდა განუცხადოს ამის შესახებ კომისიას ანდა ადმინისტრაციულ ორგანოებს, არ არსებობს. თუმცა, საჯარო დისტანცირება ამგვარი შეხვედრისაგან მან აუცილებელია უმაღლვე მოახდინოს. საჯარო დისტანცირება ეკონომიკურ აგენტს შეუძლია წერილობითადაც განახორციელოს, სადაც იგი მკვეთრად გამოხატავს თავის პოზიციას, რომ არ სურს განიხილებოდეს შეხვედრაზე გაჟღერებული საკითხების მონაწილედ. რაც მთავარია, დისტანცირება უნდა მოხდეს მკაფიოდ და აშკარად გამოხატული პოზიციით, ისე რომ შეხვედრაში მონაწილე სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის ეს განცხადება მკაფიო და არაორაზროვანი იყოს. რაც შეეხება ისეთ შეხვედრებზე დასწრებას, რომელმაც დაუგეგმავად და უეცრად მიიღო ანტიკონკურენციული სახე, აქ მოსაზრებები ორ ნაწილად იყოფა. ზოგიერთი მოსაზრებით ეკონომიკურ აგენტს შეუძლია ეს შეხვედრა უსიტყვოდ, ნებისმიერი ქმედების განხორციელების გარეშე დატოვოს, ხოლო ავტორთა მეორე ნაწილის აზრით, ეკონომიკურმა აგენტმა საჭიროა კვლავ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, რომ იგი ემიჯნება ამ შეხვედრის ანტიკონკურენციულ ხასიათს.<sup>168</sup>

<sup>166</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-8/08, T-Mobile v Nma, [2009] §58–61.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?jsessionid=EEE755FB19C4EEF87E460470B7C9C028?text=&docid=74817&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=2868379>

<sup>167</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 543.

<sup>168</sup> იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 82, წიგნიდან: Bailey D., Publicly Distancing Oneself from a Cartel, World Competition 31(2), 2008, 193.

რაც შეეხება ისეთ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ამგვარ შეხვედრაში და ავრცელებდა კონკურენციის საწინააღმდეგო ინფორმაციას, მისთვის საჯარო დისტანცირება ამ შემთხვევაში უფრო რთული იქნება. პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევა მას ამ დროს მხოლოდ შესაბამის ორგანოებში კარტელური გარიგების დასმენით შეუძლია, რითაც მას შეეძლება სრული იმუნიტეტი მოიპოვოს ან ნაწილობრივ მაინც გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.<sup>169</sup> ამდენად, გამოდის რომ პასუხისმგებლობის თავიდან აცილება შედარებით მარტივი ხდება იმ საწარმოთათვის, რომელთა წარმომადგენლებიც მართალია ესწრებოდნენ შეხვედრას, თუმცა შეხვედრის განმავლობაში რაიმე სახის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათ არ გაუჟღერებიათ.

### 1.9. „ერთი ბრენდის“ შეთანხმება

ტერმინი „ერთი ბრენდის“ შეთანხმების განმარტებას ეთმობა ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინთა ლექსიკონის 42-ე გვერდი. აღნიშნული შეთანხმება, ზოგადი განმარტებით გულისხმობს დისტრიბუტორსა და მწარმოებელს შორის გაფორმებულ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს კონკურენციაში არ შესვლის დათქმასა და შეთანხმებული რაოდენობის პროდუქციის შესყიდვაზე მორიგებას.<sup>170</sup>

ერთი ბრენდის შეთანხმება მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის დადებული, ვერტიკალური ტიპის, განსაკუთრებული შეთანხმებაა, რომლის მიხედვითაც დისტრიბუტორს შესაძლოა დაევალოს შეიძინოს მისთვის საჭირო პროდუქტის სრული ან დიდი რაოდენობა, ან უბრალოდ მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული რაოდენობა და არ შეიძინოს სხვა კონკურენტი საწარმოს პროდუქცია, რის სანაცვლოდაც მწარმოებელი თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას, გარკვეული სახის დახმარება გაუწიოს დისტრიბუტორს, მაგალითად ჩაუტაროს მას შესაბამისი გადაამზადება, მისცეს მას ფინანსური და სტრატეგიული რჩევები. აქ პრობლემას ქმნის მხარეთა შორის შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც უკრძალავს დისტრიბუტორს სხვა კონკურენტი საწარმოსგან პროდუქციის შექმნას. ამ გარემოებამ შესაძლოა ავნოს კონკურენციას და შექმნას ბაზრის დახურვის ეფექტი, სადაც ზოგიერთ საწარმოს რეალურად ხელი არ მიუწვდება ბაზარზე. თუ აღნიშნული შეთანხმება შესამჩნევად ხურავს ბაზარს და ამდენად ზღუდავს კონკურენციას, იგი არღვევს კონკურენციის სამართლის ნორმებს, რისი შანსიც შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილის პროპორციულად იზრდება.<sup>171</sup> მართლმსაჯულების სასამართლოს

<sup>169</sup>იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 82.

<sup>170</sup>იხ. ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინთა ლექსიკონი, 2002, §42. [http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary\\_competition\\_archived\\_en.pdf](http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary_competition_archived_en.pdf)

<sup>171</sup>იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 92-93.

მოსაზრებით, ასეთი ტიპის გარიგებები როგორც წესი ატარებენ ანტიკონკურენციულ სახეს და იწვევენ ნეგატიურ ეფექტებს, თუმცა აკრძალვისგან გათავისუფლების შანსი მას უნარჩუნდება, თუკი შესაბამისი საწარმო დაამტკიცებს კონკურენციაზე დადებითი ეფექტებისა და კანონით განსაზღვრული ოთხი წინაპირობის არსებობას.<sup>172</sup>

#### 1.10. ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმება

ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებაც ვერტიკალურ შეთანხმებათა ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. როგორც ელისონ ჯონსი და ბრენდა სუფრინი განმარტავენ, აღნიშნული შეთანხმებით, მწარმოებელი ერთ რომელიმე დისტრიბუტორს ანიჭებს ექსკლუზიური გაყიდვის უფლებამოსილებას კონკრეტულ ტერიტორიაზე, ხოლო ამავდროულად ამ დისტრიბუტორს შესაძლოა შეეზღუდოს, სხვა დისტრიბუტორისათვის მინიჭებულ ექსკლუზიურ ტერიტორიაზე, როგორც აქტიური, ისე პასიური, ნებისმიერი სახის გაყიდვის წარმოება. აღნიშნულ შეთანხმებას მხარეთათვის თან ახლავს გარკვეული სახის ბენეფიტები, მაგალითად იგი ზოგ შემთხვევაში ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯს ან მწარმოებლისთვის ადვილად დასამუშავებელს ხდის მომხმარებელთა შეფასების სტატისტიკას, თუმცა მეორე მხრივ როგორც წესი იგი იწვევს კონკურენციის შეზღუდვასაც. აქვე სახელმძღვანელოს ავტორები აღნიშნავენ, რომ კომისიის ვერტიკალურ შეზღუდვებზე შექმნილი სახელმძღვანელოს განმარტებით, აღნიშნული შეთანხმებები, განსაკუთრებით მაშინ თუ ისინი მოიცავს შეზღუდვას სხვა ექსკლუზიურ ტერიტორიაზე გაყიდვასთან დაკავშირებით, ამცირებენ ბრენდს შიგნით კონკურენციას და იწვევენ ბაზრის დანაწილებას, რაც შედეგად იწვევს ფასის დისკრიმინაციასაც.<sup>173</sup> ამის საპირისპიროდ, მართლმსაჯულების სასამართლომ Société Technique Minière -ის საქმეზე განმარტა, რომ ექსკლუზიური დისტრიბუცია არ ზღუდავს კონკურენციას, მაშინ როდესაც მწარმოებელი ამ გზით ცდილობს პირველად ახალ ბაზარზე შესვლას.<sup>174</sup>

აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ექსკლუზიური შეთანხმებები ხშირად კომბინაციაში გხვდება ერთი ბრენდის შეთანხმებასთან, რაც თავის მხრივ იწვევს ბაზრის დახურვას სხვა მიმწოდებელთათვის. ნეგატიური ეფექტების სიდიდიდან

---

<sup>172</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-234/89, Delimitis v Henninger Bräu, [1991]  
<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=96846&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=8298596>

<sup>173</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვერტიკალურ შეზღუდვებზე, [2015], § 151-167.  
[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519(04)&from=EN)

<sup>174</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 56/65, Société Technique Minière (L.T.M.) v Maschinenbau Ulm GmbH (M.B.U.), [1966]  
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61965CJ0056&from=HR>

გამომდინარე, აღნიშნული საკითხები განსაკუთრებული სიფრთხილით რეგულირდება ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელოების მიერ.<sup>175</sup>

### 1.11. სელექციური დისტრიბუციის შეთანხმება

სელექციური დისტრიბუცია ვერტიკალურ შეთანხმებათა სახეს წარმოადგენს და ელისონ ჯონსისა და ბრენდა სუფრინის აზრით, მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მწარმოებელს სურს მისი პროდუქციისათვის განსაკუთრებულად კარგი იმიჯის შექმნა ან მის გაყიდვასთან ერთად, რამე განსაკუთრებული სერვისის უზრუნველყოფა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული შეთანხმება ზოგჯერ შეიძლება არღვევდეს კონკურენციას, მითუმეტეს თუ ბაზარზე ადგილი აქვს ერთდროულად რამდენიმე მსგავსი შეთანხმების არსებობას და ამდენად მათ კუმულაციურ ეფექტს. უარყოფით შემთხვევებში, სელექციურმა დისტრიბუციამ შესაძლოა დახუროს ბაზარი ზოგიერთი კატეგორიის დისტრიბუტორისათვის, შეარბილოს კონკურენცია ან ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აგენტთა შორის კოლუზიას.<sup>176</sup>

სელექციური დისტრიბუციის შეთანხმებისას მწარმოებელი ზოგადად ორი სახის კრიტერიუმს შესაძლოა ეყრდნობოდეს, ესენია, პირველ რიგში ხარისხობრივი კრიტერიუმი და მასთან ერთად რაოდენობრივი კრიტერიუმიც. მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ სელექციური დისტრიბუციის შეთანხმება თუკი ის ეყრდნობა მხოლოდ ხარისხობრივ კრიტერიუმს, შესაძლოა გათავისუფლდეს 101(1) მუხლის აკრძალვისაგან, მიუხედავად იმისა რომ შეთანხმებას შესაძლოა თან ახლდეს ფასზე კონკურენციის შეზღუდვა.<sup>177</sup> აგრეთვე, ამ ავტორთა მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და კომისიის სახელმძღვანელოების ერთობლივ ანალიზზე დაყრდნობით მარტივი შესამჩნევია, რომ მათი ერთობლივი პოზიციით, სელექციური დისტრიბუციის შეთანხმება შესაძლოა გათავისუფლდეს 101(1) მუხლის აკრძალვისაგან, თუკი იგი დააკმაყოფილებს შემდგომ პირობებს. (1) სელექციური დისტრიბუცია გამართლებული უნდა იყოს პროდუქციის განსაკუთრებული ხასიათით ან ბუნებით; (2) დისტრიბუტორები შერჩეულ უნდა იქნენ ხარისხობრივ-თვისობრივი კრიტერიუმის საფუძველზე, ობიექტურად და ეს კრიტერიუმები არ უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ დისტრიბუტორთა დისკრიმინაციას (3) და დაწესებული კრიტერიუმები არ უნდა სცილდებოდეს პროდუქციის მხოლოდ აუცილებელ მოთხოვნებს<sup>178</sup>

<sup>175</sup> იხ. Jones A., Sufrin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 667.

<sup>176</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვერტიკალურ შეზღუდვებზე [2015], § 175.  
[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519(04)&from=EN)

<sup>177</sup> იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 26/76, SB-Großmärkte GmbH & Co. KG v Commission of the European Communities, [1977]  
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61976CJ0026&from=EN>

<sup>178</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 31/80, L'Oréal v De Nieuwe AMCK, [1980]  
<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?jsessionid=A97432341583C3210558E1BC9F50AC4C?text=&docid=90787&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=3098755>

ამის საპირისპიროდ, ცალკეული შეთანხმებები შესაძლოა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებს, მაგრამ თუ ბაზარზე რამდენიმე ასეთი შეთანხმება ერთობლივად არსებობს, მათმა კუმულაციურმა ეფექტმა შესაძლოა 101(1) მუხლის დარღვევა მაინც გამოიწვიოს.<sup>179</sup>

ამავე ავტორების აზრით, სასამართლოს განმარტებით, სელექციური დისტრიბუციის შეთანხმების დადებას ობიექტურად მხოლოდ ორი კატეგორიის პროდუქცია ამართლებს. ესენია, რთული ტექნიკური მახასიათებლების მქონე პროდუქტები და ლუქს კატეგორიის პროდუქტები. პირველი ტიპის პროდუქციის კონტექსტში საჭიროა დადგინდეს, ამართლებს თუ არა პროდუქციის ტექნიკური სირთულე მისი გაყიდვისათვის სპეციფიური საბითუმო და საცალო სავაჭრო ობიექტების შერჩევას,<sup>180</sup> ხოლო მეორე კატეგორიის პროდუქციის კონტექსტში საჭიროა შეფასდეს მწარმოებლის სურვილი შეინარჩუნოს მისი ბრენდის განსაკუთრებული იმიჯი და პრესტიჟულობა.<sup>181</sup> ასეთი კატეგორიის პროდუქტების მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ტელევიზორები, კამერები, პერსონალური კომპიუტერები, საათები, პარფიუმერია, მანქანები და ა.შ.<sup>182</sup> მაგრამ ჩამოთვლილ პროდუქციასთან ერთად, გამომდინარე მათი ხანმოკლე გასაღების შესაძლებლობიდან, სასამართლომ დაშვებულად მიიჩნია სელექციური დისტრიბუციის შეთანხმების დადება გაზეთებსა და პერიოდულ გამოცემებზეც.<sup>183</sup>

რაც შეეხება რაოდენობრივ კრიტერიუმს, ელისონ ჯონსისა და ბრენდა სუფრინის აზრით, ევროკავშირის კომისია მას ნეგატიურად აფასებს, იმდენად რამდენადაც იგი ამცირებს პოტენციურ დისტრიბუტორთა რაოდენობას, მაგალითად, როდესაც საწარმო ითხოვს გაყიდვათა კონკრეტულ რაოდენობას დისტრიბუტორისაგან, ან ითხოვს დისტრიბუტორთა შეზღუდულ რაოდენობას კონკრეტულ ტერიტორიაზე გაყიდვების წარმოებისათვის. უარყოფითად არის შეფასებული აგრეთვე დისტრიბუტორთათვის რაიმე დადგენილი წლიური ბრუნვის რაოდენობის მოთხოვნაც.<sup>184</sup>

## 1.12. ფრენშიაზინგის შეთანხმება

<sup>179</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 75/84, Metro SB-Großmärkte GmbH & Co. KG v Commission of the European Communities, [1986]

[https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:20b1d5f8-745d-416b-ba07-4ba70f331cca.0002.06/DOC\\_1&format=PDF](https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:20b1d5f8-745d-416b-ba07-4ba70f331cca.0002.06/DOC_1&format=PDF)

<sup>180</sup> იქვე.

<sup>181</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-19/92, Groupement d'achat Edouard Leclerc v Commission of the European Communities, [1996]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61992TJ0019&from=GA>

<sup>182</sup> იხ. Jones A., Sufrin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 670.

<sup>183</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 243/83, SA Binon & Cie v SA Agence et messageries de la presse, [1985]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61983CJ0243&from=EN>

<sup>184</sup> იხ. Jones A., Sufrin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 671-672.

ფრენშაიზინგის შეთანხმება მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, გარკვეული სავაჭრო ნიშნების, ნოუ-ჰაუს ლიცენზიით გადაცემას მეორე მხარისათვის, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში ფრენშაიზის მიმღები ეწოდება. როგორც წესი, ფრენშაიზის გამცემი მიმღებს აგრეთვე უზრუნველყოფს კომერციული და ტექნიკური სახის დახმარებით, ფრენშაიზინგის შეთანხმების მოქმედების განმავლობაში, სანაცვლოდ კი ფრენშაიზის მიმღები იხდის განსაზღვრულ გადასახადს ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისათვის. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება კონკურენციის სამართლისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული შეთანხმებები ხშირად ვერტიკალური შეზღუდვის არაერთ დებულებას მოიცავს პროდუქტის დისტრიბუციასთან დაკავშირებით.<sup>185</sup>

ელისონ ჯონსისა და ბრენდა სუფრინის აზრით, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება ზოგადად კონკურენციაზე დადებითი შედეგების მომტანია, იმდენად რამდენადაც იგი ეხმარება ახალ კონკურენტს ბაზარზე შესვლაში, ამით კი ამცირებს ბაზარზე საწარმოთა კონცენტრაციას და ზრდის კონკურენციას. ეს შეთანხმება ეხმარება ფრენშაიზის გამცემს, მისი რეპუტაციის ზრდასა და ქსელის გაფართოებაში, ხოლო ფრენშაიზის მიმღებს საშუალებას აძლევს შევიდეს ბაზარზე იმ საწარმოს მეშვეობით, რომელმაც უკვე წარმატებით გამოსცადა ამ ბიზნესის მოქმედება.

სახელმძღვანელოს ავტორები ფრენშაიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამოყოფენ სასამართლოს მნიშვნელოვან განმარტებას, რომლის მიხედვითაც ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში დასაშვებია ისეთ პირობათა მოქმედება, როგორებიცაა: (1) აკრძალვა, რომ ფრენშაიზის მიმღებმა არ გახსნას იგივე ტიპის მაღაზია კონტრაქტის მოქმედებისას ანდა შემდგომ გონივრულ ვადაში; (2) შეზღუდვა რომ ფრენშაიზის მიმღებმა არ გაასხვისოს ობიექტი ფრენშაიზის გამცემის თანხმობის გარეშე, თუ აღნიშნული ემსახურება ნოუ-ჰაუს დაცვისა და გამართლებულია ფრენშაიზის გამცემის მიერ გაწეული დახმარებით; იგივენაირად, გამართლებულია შეზღუდვები, რომ ფრენშაიზის მიმღებმა (3) ისარგებლოს ფრენშაიზის გამცემის მიერ რეკომენდირებული ბიზნეს მეთოდებით და გადაცემული ნოუ-ჰაუსით; (4) მოაწყოს სავაჭრო სივრცე ფრენშაიზის გამცემის ინსტრუქციების მიხედვით; (5) გამოითხოვოს ფრენშაიზის გამცემის ნება ფრენშაიზის ხელშეკრულების სხვაზე გადაცემამდე; (6) გაყიდოს მხოლოდ და მხოლოდ ფრენშაიზის გამცემისგან მიღებული პროდუქტი (7) და მოიპოვოს ფრენშაიზის გამცემის ნება თითოეული რეკლამისათვის<sup>186</sup>

ხოლო რიჩარდ ვიშის აზრით, მიუხედავად ამ განმარტებისა, თუკი ეს ხელშეკრულება ხელს უწყობს ბაზრის დანაწილებას ან ფასის ფიქსაციას, იგი შესაძლოა მაინც მოექცეს 101(1) მუხლის აკრძალვის ფარგლებში.<sup>187</sup>

<sup>185</sup> იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 96.

<sup>186</sup> იხ. Jones A., Sufrin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4th Ed., Oxford University Press, 2011, 675.

<sup>187</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 646.

### 1.13. სავაჭრო სივრცეში ფართის გამოყოფის შეთანხმება

გარდა ზემოთ განხილული ვერტიკალური შეთანხმებებისა, ეკონომიკური აგენტები შესაძლოა შეთანხმდნენ გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ სავაჭრო სივრცეში ფართის გამოყოფაზე, რომელიც ასევე შესაძლოა მოიცავდეს დისტრიბუტორის სარეკლამო კამპანიებზე საწარმოს წვდომასა და სხვა ბენეფიტებსაც. ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულმა შეთანხმებამ შესაძლოა ავნოს კონკურენციას და შექმნას ბაზრის დახურვის ეფექტი. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მცირე საწარმოთა თავისუფალ წვდომას ბაზარზე. ამდენად, თუკი სავაჭრო სივრცეში ფართის გამოყოფის შეთანხმებას ნეგატიური ეფექტი ექნება ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე, საფრთხის გასაწესებლად, ასეთი შეთანხმება შესაძლოა მოექცეს კონკურენციის კანონმდებლობის რეგულირების ფარგლებში.<sup>188</sup>

### 1.14. განსაზღვრული პროდუქციის მენეჯმენტის შეთანხმებები

ვერტიკალურ დონეზე მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ განსაზღვრული პროდუქციის მენეჯმენტზე, სადაც დისტრიბუტორი რომელიმე პროდუქციის მწარმოებელს მიაწოდებს თავის მიერ წარმოებულ და ზოგჯერ კონკურენტი საწარმოს პროდუქციის მარკეტინგის საკითხსაც. ამ შეთანხმებით მწარმოებელი შესაძლოა უფლებამოსილი გახდეს სივრცეში პროდუქტის განლაგების დაგეგმარებასა და ამ პროდუქტის რეკლამაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნულ შეთანხმებას კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტი აქვს, რამდენადაც შეთანხმებაში მონაწილე მწარმოებელმა შესაძლოა ნებისმიერი სახით შეზღუდოს ან მოახდინოს მისი კონკურენტი ეკონომიკური აგენტის დისკრიმინაცია, დისტრიბუტორი კომპანიის მარკეტინგზე შესაბამისი ზეგავლენის მოხდენით. აღნიშნულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ანტიკონკურენციული ეფექტი აშკარაა და ეს შეთანხმება შესაძლოა მოექცეს 101(1) მუხლის რეგულირების ფარგლებში.<sup>189</sup>

## V თავი

### „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი

#### შესავალი

<sup>188</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვერტიკალურ შეზღუდვებზე, [2015] §203-205. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519(04)&from=EN)

იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 95.

<sup>189</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვერტიკალურ შეზღუდვებზე, [2015] §209-210. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519(04)&from=EN)

იხ. მენაბდიშვილი სოლომონ, კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 96.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში უკანასკნელი ცვლილება 2014 წლის 21 მარტს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე ცოტა ხნით ადრე განხორციელდა. მე-7 მუხლის თავდაპირველი, 2012 წლის რედაქცია თავისი შინაარსით მოიცავდა საკმაოდ დიდი მნიშვნელობის ხარვეზებს. მაგალითად, ნაცვლად ტერმინისა „რომლის მიზანია ან შედეგია“ იგი იყენებდა ფრაზას „რომელიც მიზანმიმართულად და არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას“. ამასთან, არაზუსტი იყო აკრძალულ ქმედებათა ზოგიერთი ფორმულირება და გარდა ამისა, მუხლი საერთოდ არ შეიცავდა აკრძალვას ბაზრის ან მიწოდების წყაროს განაწილების შესახებ.<sup>190</sup> ამდენად, 2014 წლის საკანონმდებლო რედაქციაში ჩამოყალიბებული მე-7 მუხლის ფორმულირება წინა რედაქციასთან შედარებით ბევრად სრულყოფილი და ზუსტია, თუმცა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით, მასში თვალშისაცემი ხარვეზები მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობით შეინიშნება.

#### 1.1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი და მისი შესაბამისობა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან

2014 წლის საბოლოო რედაქციით ჩამოყალიბებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა.

მუხლის თანამედროვე რედაქციის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ტერმინი „ხელშეკრულების“ გამოყენება, ნაცვლად „გარიგების“ ან „შეთანხმებისა“. საქმე იმაშია, რომ ხელშეკრულების ცნება ბევრად ვიწროა გარიგებასა და შეთანხმებასთან შედარებით და ამდენად, უშუალოდ ცნება „გარიგება“ თავის თავში მოიცავს ხელშეკრულების ცნებასაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.<sup>191</sup> ხოლო ხელშეკრულება, თავის თავში მოიაზრებს მხოლოდ ორმხრივ ან მრავალმხრივ გარიგებას.<sup>192</sup>

<sup>190</sup> იხ. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, [2012] § 7  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4>

<sup>191</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>

<sup>192</sup> იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 50, 290.  
[http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_I\\_Book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf)

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელშეკრულება იმ ფორმით როგორც ეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონშია გათვალისწინებული, ქმნის ფორმალურობის ეფექტს და აქცენტს მხოლოდ მხარეთა შორის ორმხრივ მავალდებულებელი და მბოჭავი ურთიერთობის არსებობაზე აკეთებს. მაშინ როდესაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ტექსტი „შეთანხმებას“ ბევრად ვრცელ დეფინიციას აძლევს და მასში მხარეთა ნებისმიერ კოორდინირებულ ქცევას მოიაზრებს, მათ შორის უბრალო ინფორმაციის გაცვლასაც კი, რაზედაც მხარეებმა შესაძლოა საკუთარი სამომავლო ნაბიჯები და გეგმები დააფუძნონ.

მესამე და უმთავრესი ხარვეზი რაც კანონის ამ რედაქციას აქვს, არის მე-7 მუხლში ჩამოთვლილი შეზღუდვის სახეებისათვის ამომწურავი სახის მიცემა. ჩამონათვალის წინ აღნიშნული ფრაზა „კერძოდ:“ ამ ჩამონათვალს დასრულებულ სახეს აძლევს, ვინაიდან ნორმის შინაარსობრივი ანალიზი სწორედ ამ ფრაზის გამოყენების გამო ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ნორმა ზღუდავს მხოლოდ მასში ჩამოთვლილ ქცვის სახის შეთანხმებას და შეთანხმებათა სახეები არ სცდება უშუალოდ კანონის ტექსტს, რაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით ასე არ არის. აღნიშნულ დებულებაში გამოყენებულია ფრაზა „განსაკუთრებით კი“, რომელიც მხოლოდ ხაზს უსვამს მასში ჩამოთვლილი შეზღუდვების სერიოზულობას, თუმცა ამით არ შემოსაზღვრავს და არ გამორიცხავს პრაქტიკაში არსებული სხვა ტიპის შეზღუდვების არსებობასაც. ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს იზიარებს და თავის ნაშრომში აკრიტიკებს სოლომონ მენაბდიშვილიც.<sup>193</sup>

თუმცა, გარდა ჩამოთვლილი ხარვეზებისა, აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ტექსტში სრულიად გამორჩენილია „ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ცნება“. თუკი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის პირველი პუნქტი ზღუდავს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებულ ანტიკონკურენციულ გადაწყვეტილებას, აქ ტერმინი გადაწყვეტილება ებმის ეკონომიკურ აგენტებს და ეკონომიკურ აგენტთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად მოიაზრება, რაც ლოგიკურად მცდარია, ვინაიდან ანტიკონკურენციული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებისათვის არის შესაძლებელი.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზებისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს და ხაზი გაესვას იმ ღირსებებს რაც კანონის ამ რედაქციის მე-7 მუხლს გააჩნია. პირველ რიგში, აღსანიშნავია რომ კანონი სწორად იყენებს იმ ტერმინებს რომელიც ამ მუხლის ტექსტში გვხვდება. ამასთან, დადებით შეფასებას იმსახურებს მე-7 მუხლში ჩამოთვლილ შეზღუდვათა სახეების ფორმულირებაც. განსაკუთრებით ეს ეხება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, რომელიც ზღუდავს ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნის მიხედვით

<sup>193</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 40-42.

განაწილებას. საქმე იმაშია, რომ ამ დებულების ტექსტი თავის თავშივე იძლევა განმარტებას ბაზრის შესაძლო განაწილების კრიტერიუმების შესახებ და ამდენად ბევრად უფრო სრულყოფილია, ვიდრე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმებაში მოცემული მისი ანალოგიური დებულება.

## VI თავი

### კარტელური გარიგებების გათავისუფლება კანონის აკრძალვისაგან

#### შესავალი

გარდა იმ აკრძალვებისა, რასაც კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებათა მიმართ ევროკავშირისა და ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს, რიგ შემთხვევებში, ორივე მათგანი ადგენს ამ შეთანხმებათა აკრძალვისაგან გათავისუფლების საგამონაკლისო წესებსაც. მარტივად რომ ვთქვათ, ევროკავშირში მოქმედი რიგი დებულებები, ისევე როგორც კონკურენციის შესახებ ქართული კანონმდებლობა, ითვალისწინებს ერთგვარ დაცვის მექანიზმებს ზოგიერთი ისეთი შეთანხმებისათვის, რომელიც ზღუდავს კონკურენციასა და იწვევს გარკვეულ უარყოფით შედეგებს.

ევროკავშირის კანონმდებლობაში, ისევე როგორც ქართულ კანონმდებლობაში, შეთანხმების აკრძალვისაგან გათავისუფლების შემდეგი შესაძლებლობები შესაძლოა გამოიყოს: პირველი, ეს არის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლში გათვალისწინებული ოთხი კუმულატიური წინაპირობა, და მისი ანალოგი დებულება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელ წინაპირობათა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შეთანხმება შესაძლოა გათავისუფლდეს აკრძალვისაგან; მეორე, ეს არის აკრძალვიდან ჯგუფური გათავისუფლების შესაძლებლობა; და მესამე, ე.წ. De minimis წესი, რა დროსაც ნეგატიური ეფექტის სიმცირის გამო შესაძლოა ზოგიერთი შეთანხმება გათავისუფლდეს შესაბამისი აკრძალვისაგან.

#### 1.1. კარტელურ გარიგებათა აკრძალვისაგან გათავისუფლება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლის მიხედვით

ევროკავშირის სამართალი ადგენს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინებითაც ის შეთანხმებები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ 101(1) მუხლის მოთხოვნებს და ამდენად ექვემდებარებიან ბათილობას 101(2) მუხლის მიხედვით, შესაძლოა გათავისუფლდნენ ყოველგვარი აკრძალვისაგან, თუკი ეს შეთანხმებები დააკმაყოფილებენ 101(3) მუხლში გათვალისწინებულ წინაპირობებს. მარტივად რომ ვთქვათ, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლი შეიცავს აკრძალვისაგან გათავისუფლების გაწერილ კრიტერიუმებს,

რომელთა დაკმაყოფილებისასაც შეთანხმებები თავისუფლებიან იმავე მუხლში გათვალისწინებული აკრძალვისაგან. ამასთან, აღსანიშნავია რომ როგორც N1/2003 რეგულაციის მეორე მუხლი განმარტავს, ეკონომიკური აგენტი, ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია, რომელსაც სურს ისარგებლოს 101(3) მუხლის გათავისუფლებით და ამტკიცებს მასში გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილებას, პასუხისმგებელია შესაბამის მტკიცების ტვირთზეც. ამდენად, 101(3) მუხლში გათვალისწინებულ წინაპირობათა დაკმაყოფილების მტკიცების ტვირთი უშუალოდ შეთანხმების მხარეებზე გადადის, ვინაიდან ევროკავშირის კომისია თავის თავზე არ იღებს ვალდებულებას, იკვლიოს აღნიშნული გარემოებების არსებობა.<sup>194</sup>

რომ გავეცნოთ უშუალოდ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მესამე პუნქტის შინაარსს, იგი ადგენს, რომ ამავე მუხლის პირველ პუნქტში გაწერილი დებულებები, შესაძლოა არ იქნეს გამოყენებული ისეთი შეთანხმების, გადაწყვეტილების ანდა შეთანხმებული პრაქტიკის არსებობისას, რომელიც პირველ რიგში ხელს უწყობს წარმოებისა და დისტრიბუციის განვითარებას ან ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, და საშუალებას აძლევს მომხმარებელს ისარგებლოს თანმდევი სარგებლით, და ამავდროულად არ აკისრებს ამ საწარმოებს მიზანთან შეუსაბამო შეზღუდვების განხორციელებასა და არ იწვევს კონკურენციის აღმოფხვრას ბაზრის არსებითად მნიშვნელოვან ნაწილზე.<sup>195</sup> ამ ნორმის სიტყვასიტყვითი ანალიზიდან შეგვიძლია გამოვყოთ ის ოთხი კონკრეტული წინაპირობა, რისი დაკმაყოფილების ვალდებულებაც ეკონომიკურ აგენტებს, ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებს ევალებათ, იმისათვის რომ ისარგებლონ 101(3) მუხლის გათავისუფლებით. ამასთან, როგორც მუხლის შინაარსიდან ირკვევა, ამ წინაპირობათა შესრულება უნდა მოხდეს არა სათითაოდ, ან მხოლოდ რამდენიმეს დაკმაყოფილების შემთხვევაში, არამედ სახეზე უნდა იყოს შეთანხმების მხარეთა მიერ ოთხივე გათვალისწინებულ წინაპირობათა ერთობლივი დაკმაყოფილება.

გარდა ამ მუხლში აღნიშნული ოთხი კრიტერიუმისა, რიჩარდ ვიშის მოსაზრებით, შესაძლებელია ამ კრიტერიუმებს უფრო ფართო განმარტებაც მიეცეს და კომისიამ შეთანხმებათა გასათავისუფლებლად ანგარიში გაუწიოს ევროკავშირის პოლიტიკით დაცული რომელიმე მნიშვნელოვანი სიკეთის გაუმჯობესებას. ეს კი შეიძლება იყოს ბუნების დაცვა, კულტურის განვითარება, დასაქმების შესაძლებლობის გაუმჯობესება, რეგიონის განვითარება და ა.შ.<sup>196</sup> ამ მოსაზრების განსამტკიცებლად რიჩარდ ვიშს მაგალითად მოჰყავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სადაც შეთანხმების აკრძალვისაგან გასათავისუფლებლად იგი დაეყრდნო და რელევანტურ ფაქტორად მიიჩნია

<sup>194</sup> იხ. ევროკავშირის რეგულაცია N1/2003, §2.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003R0001&from=EN>

<sup>195</sup> იხ. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება, §101(3)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:12012E/TXT&from=EN>

<sup>196</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 157.

დასაქმების შესაძლებლობის ზრდა.<sup>197</sup> იმავე პრინციპით იხელმძღვანელა კომისიამ ფორდისა და ფოლკსვაგენის საქმეზეც, სადაც მან მიიჩნია რომ პორტუგალიის ერთ-ერთ რეგიონში, რომელიც ფაქტობრივად ევროკავშირში ყველაზე ღარიბ რეგიონად ითვლებოდა, შეთანხმების აკრძალვისაგან გასათავისუფლებლად რელევანტური ფაქტორი სწორედ რომ უცხოური ინვესტიციის მოზიდვა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა იყო.<sup>198</sup>

რაც შეეხება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლის გამოყენებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი გამოიყენება შეთანხმებათა აკრძალვისაგან გასათავისუფლებლად. ამდენად, ლოგიკურია, რომ მისი შემოწმებისა და მასში გათვალისწინებული ოთხი წინაპირობის დაკმაყოფილების საჭიროება მხოლოდ მას შემდეგ დგება, რაც დადგინდება, რომ შეთანხმება, გადაწყვეტილება ანდა შეთანხმებული პრაქტიკა არღვევს 101(1) მუხლში დადგენილ დებულებას. მარტივად რომ ვთქვათ, პირველ რიგში აუცილებელია იმის შემოწმება, აქვს თუ არა შეთანხმებას კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათი და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდეს სახეზეა თუ არა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლში გათვალისწინებული ოთხი კუმულატიური წინაპირობა.

აქვე რომ განვიხილოთ თუ კონკრეტულად რომელ შეთანხმებებს შესაძლოა მოერგოს აკრძალვიდან გათავისუფლების ოთხი წინაპირობა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლი ამას არ აკონკრეტებს და მუხლის მოქმედებას ნებისმიერ შეთანხმებაზე, გადაწყვეტილებასა და შეთანხმებულ პრაქტიკაზე ავრცელებს. თუმცა, შეთანხმების 101(3) მუხლის გამოყენებაზე შექმნილი კომისიის სახელმძღვანელო 21-ე მუხლში ავითარებს ერთგვარ პრეზუმფციას, რომლის მიხედვითაც ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კონკურენციის შეზღუდვას, თან სდევთ ნეგატიური ეფექტის დიდი პოტენციალი და ამიტომ მათ მიერ გამოწვეული ნამდვილი ეფექტების დემონსტრირება საჭირო აღარ არის.<sup>199</sup> თუ დავეყრდნობით ამ პრეზუმფციას, გამოდის რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები აპრიორი ვერ ისარგებლებენ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლში გაწერილი გათავისუფლების ფუნქციით. მაგრამ ამისდა მიუხედავად, სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული ამ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მოსაზრება განავითარა ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლომ GlaxoSmithKline-ის საქმეზე, რომელმაც დაადგინა, რომ „ნებისმიერ

<sup>197</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 26/76, METRO v COMMISSION, [1977] <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61976CJ0026&from=EN>

<sup>198</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 93/49/EEC, Ford/Volkswagen, [1993] <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31993D0049&from=EN>

<sup>199</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო შეთანხმების 101(3) მუხლის გამოყენებაზე, §21 [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0427\(07\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0427(07)&from=EN)

შეთანხმებას, რომელიც ზღუდავს კონკურენციას მიზნით ანდა შედეგით, პრინციპში შეუძლია ისარგებლოს ამ გამონაკლისით.<sup>200</sup>

## 1.2. კარტელურ გარიგებათა აკრძალვისაგან გათავისუფლება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი წარმოადგენს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლის მსგავსი შინაარსის მატარებელ დებულებას, რომელიც იგივენაირად გვთავაზობს ოთხ კუმულატიურ კრიტერიუმს, შეთანხმების აკრძალვისაგან გასათავისუფლებლად. კერძოდ, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული იმ ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას, თუ ისინი: ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებენ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან; და ბ) ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევენ, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.“<sup>201</sup>

აღნიშნული მუხლის შინაარსი ზუსტად ეხმაურება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101(3) მუხლს და მათ შორის ოთხი კუმულატიური პირობის განსაზღვრებასა და შინაარსსაც, გარდა მცირე განსხვავებებისა რასაც რამოდენიმე ფრაზა ქმნის. ასე მაგალითად, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია იწყება ფრაზით „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით“, რაც შესაძლოა შევადაროთ ევროკავშირის პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი პრინციპების გათვალისწინებას შეთანხმებათა გათავისუფლებისთვის, გარდა ჩამოთვლილი ოთხი კუმულატიური პირობისა. ამასთან, მსგავსად მე-7 მუხლისა, აქაც მცდარია ტერმინი „ხელშეკრულების“ გამოყენება ნაცვლად „შეთანხმების“ ან „გარიგებისა“. გარდა ამისა, მე-9 მუხლის ტექსტი იყენებს ფრაზას „უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას“, რაც შინაარსობრივად სწორია, თუმცა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ტექსტში გამოყენებული ფრაზა „უზრუნველყოფს მომხმარებელს თანმდევი ბენეფიტის სამართლიანი წილით“, მეტად რელიევანტურად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ეს ტექსტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს,

<sup>200</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T168/01, GlaxoSmithKline Services Unlimited v Commission of the European Communities, [2006] § 233. <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?jsessionid=9ea7d0f130d5d8f207c5d6a34d27852fac1%206d540b02fe34KaxiLc3eQc40LaxqMbN4ObN8Ne0?text=&docid=64827&pageIndex=0&doclang=en&m%20ode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=155431>

<sup>201</sup> იხ. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, §9. <https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=4>

რომ სარგებელი რომელსაც მოხმარებელი მიიღებს უნდა იყოს სამართლიანი შეზღუდვის იმ ნეგატიური შედეგების საკომპენსაციოდ, რაც თან ახლავს კონკრეტულ შეთანხმებას.

და ბოლოს, მე-9 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დასაბუთება ევალუბათ შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს“, რაც პრინციპში ზუსტი ანალოგია ევროკავშირის N1/2003 რეგულაციის დებულებისა, რომლის მიხედვითაც მტკიცების ტვირთი, გათავისუფლების წინაპირობად დადგენილი ოთხი კუმულატიური კრიტერიუმის დაკმაყოფილების თაობაზე, უშუალოდ შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტს, ანდა გადაწყვეტილების მიმღებ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას აწევს.<sup>202</sup>

### 1.3. შეთანხმებათა ჯგუფური გათავისუფლება ევროკავშირში

როგორც რიჩარდ ვიში და დევიდ ბეილი თავიანთ სახელმძღვანელოში განმარტავენ, ევროკავშირში მოქმედი რეგულაცია N1/2003-ის წყალობით, ეკონომიკურ აგენტებს დღეს უკვე საშუალება ეძლევათ გარდა ინდივიდუალური გამონაკლისებისა, რასაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მესამე პუნქტი ითვალისწინებს, ისარგებლონ აკრძალვიდან ერთობლივი გათავისუფლებით.<sup>203</sup> საქმე იმაშია, რომ ევროკავშირში მოქმედი ზოგიერთი სახელმძღვანელოსა და რეგულაციის მიხედვით გაწერილია ის კონკრეტული შემთხვევები და შეთანხმებათა ტიპები, რაშიც ეკონომიკურ აგენტთა მიერ ჩართულობისა და მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, თუკი ისინი აკმაყოფილებენ შესაბამის სახელმძღვანელოებსა და რეგულაციებში გაწერილ კონკრეტულ კრიტერიუმებს, მათ შეუძლიათ ისარგებლონ აკრძალვისაგან გათავისუფლებით. ამდენად, ჯგუფური გათავისუფლების შემთხვევაში, მათი შეთანხმება აღარ დაექვემდებარება ბათილობას, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ხოლო შესაბამის ეკონომიკურ აგენტებზე აღარ გავრცელდება გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

აღნიშნული რეგულაციებისა და სახელმძღვანელოების ანალიზისას, თვალსაჩინოა რამოდენიმე კრიტერიუმი, რაც როგორც წესი საერთოა ყოველი შეთანხმების აკრძალვიდან გათავისუფლების წინაპირობებისათვის. ასეთი კრიტერიუმებია მაგალითად საბაზრო ძალაუფლებისათვის დადგენილი პროცენტული ბარიერები. აგრეთვე, ვადა, რა ვადაშიც მოქმედებს აკრძალვისაგან გათავისუფლება და სხვა.

მოკლედ მიმოვიხილოთ ის შეთანხმებები, რომელთა მიმართებითაც ევროკავშირში მოქმედებს აკრძალვიდან ჯგუფური გათავისუფლების სარგებელი.

<sup>202</sup> იქვე.

<sup>203</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 169.

### 1.3.1. კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება

პირველ რიგში ამგვარი გათავისუფლებით მოქმედებს ე.წ. კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება, რომლის წინაპირობები და აკრძალვებიც დარეგულირებულია N1217/2010 რეგულაციით. აღნიშნული შეთანხმება შინაარსობრივად მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა მიერ მიღწეულ ისეთ შეთანხმებას, როდესაც მათ სურთ გააერთიანონ საკუთარი ძალები და რესურსები, პროდუქტსა და ტექნოლოგიაზე კვლევისა და განვითარების წარმოებისათვის, შესაბამის ინდუსტრიაში პროგრესის მისაღწევად, ხოლო საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების ფარგლებში ისინი მოკლებულნი არიან ამგვარ შესაძლებლობას, განახორციელონ საწარმოო კვლევები ანდა მათ სპეციალურ საწარმოო პრაქტიკაში შეძლონ და მიაღწიონ საჭირო პროგრესსა და გაუმჯობესებას. ამასთან, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ N1217/2010 რეგულაცია მხარეებს არ ანიჭებს სრულ თავისუფლებას ამგვარი გარიგებების დადებაზე. ვინაიდან შედეგობრივად კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმება მაინც ზღუდავს გარკვეული სახით კონკურენციას და თან ახლავს გარკვეული უარყოფითი ეფექტები, ეს რეგულაცია აღნიშნულ გარიგებებს მხოლოდ შვიდი წლის ვადით ათავისუფლებს აკრძალვისაგან. ამასთან, იგი ადგენს გარკვეულ საპროცენტო ბარიერებსაც, რასაც არ უნდა სცდებოდეს იმ ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილი რომლებიც ჩართულები არიან ამგვარ გარიგებაში.<sup>204</sup>

### 1.3.2. სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმება

ევროკავშირში აკრძალვიდან ჯგუფური გათავისუფლების წესი მოქმედებს ე.წ. სპეციალიზაციათა შესახებ შეთანხმების შემთხვევაშიც, ხოლო ამ კატეგორიის შეთანხმებების წინაპირობები და აკრძალვებიც დარეგულირებულია ევროკავშირის N1218/2010 რეგულაციით. აღნიშნული შეთანხმება შინაარსობრივად მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა მიერ მიღწეულ ისეთ შეთანხმებას, რომლის მიზანიც საწარმოთა წარმოებაზე გარკვეული მანიპულაციების განხორციელებაა, რაც საბოლოო ჯამში გარკვეული დადებითი ეფექტების მომტანია ეკონომიკური პროგრესისათვის. N1218/2010 რეგულაციის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ახდენს სპეციალიზაციის შეთანხმების კლასიფიკაციას სამ კატეგორიად. ესენია: უნილატერალური შეთანხმება, ურთიერთწარმოების შეთანხმება და გაერთიანებული წარმოების შეთანხმება. ხოლო შემდგომი პუნქტები ემსახურება თითოეულ კატეგორიათა განმარტებას. ასე მაგალითად, უნილატერალური შეთანხმების შემთხვევაში მხოლოდ ერთი მხარე ზღუდავს საკუთარ წარმოებას, ურთიერთწარმოების შეთანხმების შემთხვევაში მონაცვლეობით ზღუდავენ საკუთარ წარმოებას, ხოლო შეზღუდვის შედეგად უწარმოებელ პროდუქციას იძენენ

<sup>204</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის რეგულაცია N1217/2010 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების თაობაზე გარკვეული კატეგორიის კვლევისა და განვითარების (R&D) შესახებ შეთანხმებათა მიმართ  
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32010R1217&from=EN>

შეთანხმების მეორე მხარისაგან. რაც შეეხება გაერთიანებული წარმოების შეთანხმებას, აქ მხარეები გაერთიანებული ძალებითა და რესურსებით აწარმოებენ კონკრეტული რაოდენობისა და ტიპის პროდუქციას. მსგავსად კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებისა, N1218/2010 რეგულაციაც ადგენს გარკვეულ საპროცენტო ბარიერებს, რასაც არ უნდა სცდებოდეს იმ ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილი რომლებიც ჩართულები არიან ამგვარ გარიგებაში, იმისათვის რომ მათ მოიპოვონ აკრძალვიდან ჯგუფური გათავისუფლება.<sup>205</sup>

### 1.3.3. ერთობლივი შესყიდვის შესახებ შეთანხმება

გარდა ზემოთ განხილული ამ ორი ტიპის შეთანხმებისა, ევროკავშირში ჯგუფური გათავისუფლების უფლებით სარგებლობის უფლებამოსილება ეძლევათ ეკონომიკურ აგენტებსაც, რომლებიც მონაწილეობენ გაერთიანებული შესყიდვის შეთანხმებაში. ამ კატეგორიის შეთანხმებების წინაპირობები და განმარტება მოცემულია ევროკავშირის სახელმძღვანელოში სახელწოდებით „ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებებთან მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენებაზე“. აღნიშნული სახელმძღვანელოს მეხუთე თავში მოცემულია გაერთიანებული შესყიდვის განმარტება და შინაარსი, აგრეთვე კომისიის მიერ მისი შემოწმების სტანდარტები. მოცემული სახელმძღვანელოს 194-ე მუხლი აღნიშნულ გარიგებას განმარტავს, როგორც „გაერთიანებულად კონტროლირებადი კომპანიის, ან ისეთი კომპანიის მიერ განხორციელებულ გაერთიანებულ შესყიდვას, რომელშიც ბევრი სხვა კომპანია ფლობს არაკონტროლირებად აქციებს, კონტრაქტუალური ურთიერთობის, ანდა სხვა ნებისმიერი ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოშობილი საფუძვლით.“<sup>206</sup> ამავე მუხლის მიხედვით, როგორც წესი ამგვარ შეთანხმებას დადებითი ეფექტები ახლავს თან, ასე მაგალითად, როგორც წესი, მისი მიზანია გააძლიეროს შესყიდვის ძალაუფლება, რასაც რიგ შემთხვევებში თან სდევს ფასების შემცირება, ანდა პროდუქციისა და მომსახურების მახასიათებლების გაუმჯობესებაც კი. თუმცა, გარდა პოზიტიური ეფექტებისა, ამ ტიპის შეთანხმებამ შესაძლოა გარკვეულწილად კონკურენციის შეზღუდვაც გამოიწვიოს და სწორედ ეს თანმდევი რისკი აქცევს მას ევროკავშირის კომისიის რეგულირების ფარგლებში. სახელმძღვანელოს 195-ე მუხლის თანახმად, გაერთიანებული შესყიდვის ურთიერთობები შესაძლოა აერთიანებდეს ორივე ტიპის შეთანხმებას, მათ შორის ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურსაც. ასეთ შემთხვევებში ამ მუხლის მიხედვით, ორსაფეხუროვანი კვლევის ჩატარებაა საჭირო, სადაც პირველ რიგში მოწმდება ჰორიზონტალური

<sup>205</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის რეგულაცია N1218/2010 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების თაობაზე გარკვეული კატეგორიის სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებთან მიმართ

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2010:335:0043:0047:EN:PDF>

<sup>206</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენებაზე, §194 [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN)

შეთანხმებების შესაბამისობა დადგენილ კონკურენციის ნორმებთან, ხოლო თუ ამ მხრივ დარღვევას არ ექნება ადგილი, შემდგომში უკვე ვერტიკალურ შეთანხმებებში არსებული შეზღუდვები უნდა შემოწმდეს.<sup>207</sup> მსგავსად ზემოთ განხილული ორი ტიპის შეთანხმებისა, აღნიშნული სახელმძღვანელოც ადგენს გარკვეულ საპროცენტო ბარიერებს, იმისათვის, რომ მოხდეს ეკონომიკურ აგენტთა აკრძალვიდან გათავისუფლება.

#### 1.3.4. კომერციალიზაციის შესახებ შეთანხმება

კომისიის ამავე სახელმძღვანელოში განხილულია ეკონომიკურ აგენტთა მიერ, კომერციალიზაციაზე მიღწეული შეთანხმებების რაობა და მათი აკრძალვიდან ჯგუფური გათავისუფლების წესი. სახელმძღვანელოს 225-ე მუხლში მოცემული განმარტების მიხედვით, ამგვარი შეთანხმებები წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეულ შეთანხმებას მათი ჩანაცვლებადი პროდუქციის გაყიდვების, ამ პროდუქციის დისტრიბუციის ანდა მის მარკეტინგზე მუშაობის საკითხში, რაც ცხადია რიგ შემთხვევებში კონკურენციის შეზღუდვის რისკს ატარებს და შედეგად, იპყრობს კიდევ ევროკავშირის კომისიის ყურადღებას. ამავე მუხლის მიხედვით, ეკონომიკური აგენტები შესაძლოა თანამშრომლობდნენ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სფეროში, ანდა პირიქით, მათი თანამშრომლობა ლიმიტირებული იყოს მხოლოდ ერთი ან რამოდენიმე კონკრეტული სფეროთი.<sup>208</sup> სახელმძღვანელო, ყველა სხვა შემთხვევის მსგავსად, მოიცავს ეკონომიკურ აგენტთათვის დადგენილ საბაზრო ძალაუფლების საპროცენტო ბარიერებსაც, შესაბამისი გათავისუფლების მისაღებად.<sup>209</sup>

#### 1.3.5. სტანდარტიზაციის შესახებ შეთანხმება

და ბოლოს, ამავე სახელმძღვანელოს 257-ე მუხლში მოცემულია ევროკავშირის რეგულირება პროდუქციისა და სერვისების მახასიათებელთა სტანდარტიზაციაზე. ამავე მუხლის თანახმად, აღნიშნული სტანდარტიზაციის მდგენელები შესაძლოა უკავშირდებოდეს კონკრეტული პროდუქტის ანდა სერვისის ტექნიკურ მახასიათებლებს ანდა მისი ხარისხის სტანდარტებს.<sup>210</sup> ამავე სახელმძღვანელოს 263-ე მუხლის მიხედვით, როგორც წესი, ამ შეთანხმებას შესაძენვეი დადებითი შედეგების გამოწვევა შეუძლია.<sup>211</sup> მაგრამ, ამისდა მიუხედავად, რიგ შემთხვევებში ამ შეთანხმებებს კონკურენციის შეზღუდვის რისკი მაინც ახლავთ და ამრიგად,

<sup>207</sup> იქვე, §195.

<sup>208</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენებაზე, §225 [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN)

<sup>209</sup> იქვე, §240

<sup>210</sup> იქვე, §257

<sup>211</sup> იქვე, §263

ევროკავშირის კომისიის ყურადღების ცენტრში მაინც ექცევიან. ამასთან, სახელმძღვანელოს 296-ე მუხლის ბოლო წინადადება განმარტავს, რომ საბაზრო ძალაუფლება ამ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი ფაქტორი კონკურენციის შეზღუდვის საკითხში, მაგრამ მაღალი საბაზრო ძალაუფლების ფლობა შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტის მიერ, პროპორციულად ზრდის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის რისკებს.<sup>212</sup>

#### 1.4. შეთანხმებათა ჯგუფური გათავისუფლება საქართველოში

სასიხარულო და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კონკურენციის შეზღუდვის ეფექტის მქონე ზოგიერთი შეთანხმების აკრძალვიდან ჯგუფური გათავისუფლების შესაძლებლობას შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს ქართული კონკურენციის სამართალიც ანიჭებს. აკრძალვიდან ერთობლივი გათავისუფლების წესი გაწერილია მთავრობის N526 დადგენილებაში, რომელიც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზეა შემუშავებული. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მთავრობის დადგენილებაში გათვალისწინებული შეთანხმებები, რომელში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებსაც ენიჭებათ ერთობლივი გათავისუფლებით სარგებლობის უფლება, არ არის იდენტური იმ ევროკავშირის რეგულაციებსა და სახელმძღვანელოში გათვალისწინებული შეთანხმებებისა, რომლებიც სარგებლობენ გათავისუფლების უფლებით.<sup>213</sup>

N526 დადგენილების პირველი მუხლის მეორე პუნქტი განმარტავს ამ დადგენილების მიზანს, კერძოდ ადგენს, რომ ეს დადგენილება მიზნად ისახავს იმგვარ შეთანხმებათა გათავისუფლებას რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას.<sup>214</sup>

პირველ რიგში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი შეთანხმებები ექვემდებარება, აღნიშნული დადგენილების მიხედვით, აკრძალვიდან ჯგუფურ გათავისუფლებას. კერძოდ, დადგენილების მეოთხე მუხლი იმეორებს „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის ოთხ კუმულატიურ პირობას აკრძალვიდან გათავისუფლებისათვის, და დამატებით მიუთითებს ამავე დადგენილების მეხუთე მუხლის დაკმაყოფილებაზეც, როგორც კიდევ ერთ წინაპირობაზე.<sup>215</sup>

<sup>212</sup> იქვე, §296

<sup>213</sup> იხ. საქართველოს მთავრობის N526 დადგენილება „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ [2014] <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=199>

<sup>214</sup> იქვე, §1.

<sup>215</sup> იქვე, §4.

დადგენილების მეხუთე მუხლი, აკრძალვიდან გამონაკლისს უქვემდებარებს იმ ვერტიკალურ შეთანხმებებს, რომლებიც გულისხმობს: შეთანხმებას დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის ან შეთანხმებას ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის; ასევე ამ მუხლის მიხედვით, გამონაკლისს ექვემდებარება ის ჰორიზონტალური ან/და ვერტიკალური შეთანხმებებიც, რომლებიც გულისხმობს: ტექნოლოგიური ტრანსფერის, სპეციალიზაციის ანდა საერთო კვლევების წარმოების შესახებ შეთანხმებას.<sup>216</sup>

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დადგენილების მესამე მუხლი განსაზღვრავს ისეთ მძიმე სახის შეზღუდვებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეთანხმებები ვერ ისარგებლებენ, ამ დადგენილებით. აღნიშნულ მძიმე შეზღუდვებად მუხლი ასახელებს ფასის ფიქსაციას, ეკონომიკურ აგენტთა მიერ ბაზრის განაწილებას და აგენტთა მიერ ტენდერებზე განხორციელებულ მანიპულაციებს. ამდენად, თუკი შეთანხმება მოიცავს ჩამოთვლილი შეზღუდვებიდან რომელიმეს, ასეთ შემთხვევაში, მონაწილე ეკონომიკურ აგენტებზე არ გავრცელდება მთავრობის ეს დადგენილება და შესაბამისად, ისინი ვერ ისარგებლებენ აკრძალვიდან ერთობლივი გათავისუფლებით.<sup>217</sup>

#### 1.4.1. ხელშეკრულება დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის

ხელშეკრულება დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტთა შორის, დადგენილების მიხედვით ვერტიკალურ შეთანხმებათა სახედ არის მიჩნეული. ამგვარი შეთანხმებები მიეკუთვნებიან აკრძალვიდან გამონაკლისებს თუკი აკმაყოფილებენ ამ დადგენილებაში გათვალისწინებულ წინაპირობებს. გამონაკლისით სარგებლობა ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მხარეები წარმოადგენენ დისტრიბუტორებს და ამავდროულად, თითოეული მათგანის წლიური ბრუნვა (ურთიერთდაკავშირებულ პირებთან ერთად) უკანასკნელი ფინანსური წელწადის განმავლობაში არ აღემატება 15 მილიონ ლარს და ასევე, შეთანხმების მხარეები არ წარმოადგენენ კონკურენტ საწარმოებს. აქვე, დადგენილება აკონკრეტებს, რომ გამონაკლისით სარგებლობა შეუძლიათ ეკონომიკურ აგენტებს, თუ ხელშეკრულების ერთ მხარეს წარმოადგენს მწარმოებელი, რომელიც ვაჭრობის უფლების დელეგირებას ახდენს ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე და ამავდროულად აშკარაა, რომ ეს უკანასკნელნი ვაჭრობის უფლების განხორციელებით მოქმედებენ მწარმოებლის ინტერესებისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დადგენილების მე-7 მუხლი მოიცავს ამგვარ შეთანხმებათა აკრძალვიდან გათავისუფლების გამომრიცხავი გარემოებების ჩამონათვალს.<sup>218</sup>

<sup>216</sup> იქვე, §5.

<sup>217</sup> იქვე, §3.

<sup>218</sup> იხ. საქართველოს მთავრობის N526 დადგენილება „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ [2014], §6-9.

#### 1.4.2. ვერტიკალური ხელშეკრულებები ავტოსატრანსპორტო სფეროში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის

დადგენილების მე-10 მუხლის მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება “არც იმ ვერტიკალურ შეთანხმებებზე, რომლებიც უკავშირდება ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ავტოსატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების ყიდვას, გაყიდვას და შემდგომში რეალიზაციას, ასევე, ავტოსატრანსპორტის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას, თუ ეს შეთანხმებები აკმაყოფილებენ ამ დადგენილებაში განსაზღვრულ წინაპირობებს.”<sup>219</sup> ამასთან, დადგენილების მე-11 მუხლი მოიცავს დამატებით გამომრიცხავ გამორებებსაც, რა შემთხვევაშიც ითვლება, რომ აღნიშნული შეთანხმება ვეღარ ისარგებლებს დადგენილებით გათვალისწინებული გათავისუფლებით.

#### 1.4.3. ხელშეკრულებები ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ

დადგენილების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებად განიხილება ორ ეკონომიკურ აგენტს შორის დადებული ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე მეორეს გადასცემს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სალიცენზიო უფლებებს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა თვითონ აწარმოოს ამ სალიცენზიო უფლებებთან დაკავშირებული პროდუქცია.“ ხოლო, ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით აღნიშნული სალიცენზიო უფლება შესაძლოა მოიაზრებდეს როგორც პატენტებს ან რეგისტრირებულ დიზაინს, ისე ტოპოგრაფიებს ანდა ნოუ ჰაუსს.<sup>220</sup> ამასთან, დადგენილების მე-14 მუხლი მოიცავს დამატებით გამომრიცხავ გამორებებსაც, რა შემთხვევაშიც ითვლება, რომ აღნიშნული შეთანხმება ვეღარ ისარგებლებს დადგენილებით გათვალისწინებული გათავისუფლებით.<sup>221</sup>

#### 1.4.4. ხელშეკრულებები სპეციალიზაციის შესახებ

დადგენილება მოიცავს როგორც ცალმხრივი ისე თანმხვედრი სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმების რეგულირებას.<sup>222</sup> ამდენად, იგი მსგავსია ევროკავშირის სახელმძღვანელოში განხილული სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებისა, იმ განსხვავებით, რომ N526 დადგენილება არ მოიცავს მესამე, ერთობლივი სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებას. ძირითადი აზრი აღნიშნული შეთანხმებისა

---

<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=199>

<sup>219</sup> იქვე, §10.

<sup>220</sup> იხ. საქართველოს მთავრობის N526 დადგენილება „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ [2014], §12.

<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=199>

<sup>221</sup> იქვე, §14.

<sup>222</sup> იქვე, §16.

ის არის, რომ ერთი მხარე შეთანხმებით კისრულობს ვალდებულებას არ აწარმოოს რაიმე სახის პროდუქცია და ნაცვლად წარმოებისა შეისყიდოს იგი აღნიშნული შეთანხმების მეორე მხარისაგან.<sup>223</sup> აგრეთვე, იმისათვის რომ ეს შეთანხმებები გათავისუფლდნენ აკრძალვისაგან, გარდა დადგენილი წინაპირობებისა, აუცილებელია ისინი აკმაყოფილებდნენ მე-17 მუხლში გაწერილ ორ წინაპირობას. კერძოდ, ხელშეკრულების მხარეები მათ შორის არსებული სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმების ფარგლებში თანახმა უნდა იყვნენ წარმოადგენდნენ პროდუქციის მხოლოდ მიმწოდებლებს, ანდა მიმღებს და გარდა ამისა, მხარეები თანახმა უნდა იყვნენ მოახდინონ სპეციალიზაციის საგნის მხოლოდ ერთობლივი რეალიზაცია.<sup>224</sup> დადგენილების მე-19 მუხლი მოიცავს ეკონომიკურ აგენტთათვის განსაზღვრულ, საბაზრო ძალაუფლების პროცენტულ ბარიერსაც.<sup>225</sup>

#### 1.4.5. ხელშეკრულებები საერთო კვლევების წარმოების შესახებ

დადგენილების მე-20 მუხლის მიხედვით, ეს შეთანხმება გულისხმობს ეკონომიკურ აგენტთა თანამშრომლობას, საერთო კვლევების წარმოებაზე, რაც მიზნად შესაძლოა ისახავდეს ბაზრის ანალიზს, ახალი პროდუქციის შექმნას ანდა მომავალი სპეციალიზაციის ხელშეკრულების მომზადებას, და მოიცავდეს როგორც ლიცენზიების, პატენტების, ნოუ ჰაუსს, საავტორო უფლებების ანდა სასაქონლო ნიშნების, ისე სხვა არამატერიალური ან მატერიალური აქტივების ურთიერთხელმისაწვდომობასა და გაზიარებას.<sup>226</sup> ამ შეთანხმებათა აკრძალვიდან გასათავისუფლებლად, აუცილებელია ოთხ კუმულატიურ პირობასთან ერთად, ამ დადგენილების 20-22 მუხლებში გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება. რაც შეეხება საბაზრო წილის ბარიერებსა და ამ შეთანხმების გათავისუფლების ვადას, დადგენილება საბაზრო წილის ბარიერად აქ 25 პროცენტს განსაზღვრავს, ხოლო შეთანხმების გათავისუფლების ვადა შვიდი წელია მისი ძალაში შესვლის ან პროდუქციის ბაზარზე განთავსების დღიდან. ამასთან, დადგენილება უშვებს აღნიშნული ბარიერის გადაცილებას, მხარეთა საერთო საბაზრო წილის მიერ, თუმცა არაუმეტეს 30 პროცენტისა. ხოლო, თუ მათი საერთო საბაზრო წილი 30 პროცენტს მაინც გადასცილდა, ამ შეთანხმების გათავისუფლება ძალაში იქნება ამ გარემოების აღმოჩენიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.<sup>227</sup>

### 1.5. De minimis წესი ევროკავშირის სამართალში

<sup>223</sup> იქვე.

<sup>224</sup> იქვე, §17.

<sup>225</sup> იქვე, §19.

<sup>226</sup> იხ. საქართველოს მთავრობის N526 დადგენილება „კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ [2014], §20.

<http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=199>

<sup>227</sup> იქვე, §22.

ზოგიერთი ისეთი შეთანხმება, რომელიც მართალია არღვევს კონკურენციის სამართლის ნორმებს და ექცევა 101-ე მუხლის აკრძალვის ქვეშ, წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობასა და კონკურენციაზე მისი მინიმალური ზეგავლენის გათვალისწინებით, შესაძლოა გათავისუფლდეს 101-ე მუხლის აკრძალვისაგან.<sup>228</sup> სწორედ ამგვარ მიდგომას ეწოდება კონკურენციის სამართალში De minimis წესი. ეს დოქტრინა პირველად ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებაში იყო ფორმულირებული, გერმანული სარეცხის მანქანების მწარმოებლის საქმეზე, სადაც სასამართლომ განმარტა რომ შეთანხმება მოექცევა 101(1) მუხლის აკრძალვის გარეთ, მაშინ როდესაც მას უმნიშვნელო ნეგატიური ეფექტი აქვს ბაზარზე. მხედველობაში მიიღება ისიც თუ რამდენად სუსტი პოზიცია უჭირავს ეკონომიკურ აგენტს ბაზარზე.<sup>229</sup>

ევროკავშირის კომისიამ შეიმუშავა სახელმძღვანელო ისეთ შემთხვევებზე, როდესაც შეთანხმებას უმნიშვნელო ნეგატიური ეფექტი აქვს კონკურენციაზე.<sup>230</sup> აგრეთვე, კომისიის მიერ 2001 წელს შექმნილ ცნობაში<sup>231</sup> განმარტებულია სხვადასხვა შემთხვევებთან მიმართებით არსებული მოსაზრებები De minimis წესის ზუსტი გამოყენებისათვის. საქმე იმაშია, რომ De minimis წესი ყველა შემთხვევაში ზუსტად არ ემორჩილება კონკურენციაზე მავნე შედეგების რაოდენობრივ მაჩვენებელს. ზოგიერთ შემთხვევაში, შეთანხმება შესაძლოა მაინც დაექვემდებაროს 101(1) მუხლის აკრძალვას, მაშინაც კი თუ მისი ზეგავლენა მინიმალურია და პირიქით, შეთანხმება რომლის ზეგავლენის ხარისხი სცდება დადგენილ ბარიერს, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს როგორც კონკურენციაზე მინიმალური ზეგავლენის მქონედ.

კომისიის აღნიშნულ ცნობაში, ამ მხრივ მნიშვნელოვანი დებულებებია გაწერილი. ასე მაგალითად ცნობის პირველი თავის მეორე პარაგრაფი ადგენს კონკრეტულ ბარიერებს იმისათვის, რომ განისაზღვროს აქვს თუ არა კონკურენციაზე უმნიშვნელო ეფექტი მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებას. იგი აღნიშნავს, რომ უმნიშვნელო ეფექტის დეფინიცია საშუალებას აძლევს შეთანხმებებს არ მოექცეს 101(1) მუხლის აკრძალვაში, მიუხედავად იმისა, ცდება თუ არა იგი საბაზრო ძალაუფლების დადგენილ ბარიერს. მიუხედავად ბარიერს გადაცილებისა, ზოგიერთ შეთანხმებას შესაძლოა მაინც მინიმალური ზეგავლენა ჰქონდეს კონკურენციაზე და ამდენად იგი არ მოექცეს 101(1) მუხლის ფარგლებს შიგნით.<sup>232</sup>

<sup>228</sup> მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმებები რომლებიც გათავისუფლდებიან 101(1) მუხლის აკრძალვისაგან, შესაძლოა არღვევდნენ რომელიმე წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობას

<sup>229</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 5/69, Völk v Vervaecke, 1969, §5/7. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61969CJ0005&from=EN>

<sup>230</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვაჭრობაზე ზეგავლენის კონცეფციაზე, შეთანხმების 81 და 82 მუხლებთან მიმართებით, [2004] [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0427\(06\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52004XC0427(06)&from=EN)

<sup>231</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა მეორეხარისხოვან შეთანხმებებზე რომლებიც შესამჩნევად არ ზღუდავენ კონკურენციას, ევროკავშირის დამაარსებელი შეთანხმების 81(1) მუხლის მიხედვით, 2001. <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2001:368:0013:0015:EN:PDF>

<sup>232</sup> დებულება მოიცავს შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილებებს იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - C-215/96 და C-216/96, etc Bagnasco [1999] § 34-35.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნული ცნობა ცალსახად უქმნის ე.წ. „უსაფრთხო თავშესაფარს“ იმ შეთანხმებებს, რომლებიც ექცევიან ბარიერებს ქვევით, თუმცა მეორე მხრივ, არც ამ ბარიერს ზემოთ მოქცეულ შეთანხმებებს უქმნის გარდაუვალ საფრთხეს.

რეკომენდაციაში აღნიშნულია ისიც, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის არსებული შეთანხმების მიერ წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე ზეგავლენის მოხდენა ნაკლებად არის მოსალოდნელი. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებად რეკომენდაცია მოიაზრებს საწარმოებს, რომელთა მიერ დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 250 ადამიანს და რომელთა წლიური შემოსავალი არ აჭარბებს ორმოცდაათ მილიონ, ხოლო წლიური ბალანსი ორმოცდასამ მილიონ ევროს.<sup>233</sup>

კომისიის ცნობა მეორეხარისხოვან შეთანხმებებზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს დათქმას რომ კომისია არ წამოიწყებს პროცედურებს იმ შეთანხმებათა მიმართ, რომლებიც დაცულია ამ დებულებებით და შესაბამისად არ მოახდენს არც მასში მონაწილე საწარმოების დაჯარიმებას.<sup>234</sup>

ცნობის მეხუთე ნაწილი მისი რეგულირების ქვეშ აქცევს არა მარტო ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებებს, არამედ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებულ პრაქტიკასაც.<sup>235</sup>

ცნობის მეორე ნაწილის მეშვიდე პარაგრაფი მოიცავს ცნობაში გათვალისწინებულ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დებულებას. ამ დებულებაში კომისია ადასტურებს, რომ საწარმოებს შორის არსებული შეთანხმება, რომელიც აზიანებს წევრ სახელმწიფოთა შორის არსებულ ვაჭრობას, არ მიიჩნევა საზიანოდ, 101(1) მუხლის მიხედვით:

(ა) თუ საქმე ეხება ისეთ კონკურენტ ან პოტენციურ კონკურენტ საწარმოთა<sup>236</sup> შორის არსებულ შეთანხმებებს, რომელ საწარმოთა აგრეგატული საბაზრო წილი არ

---

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61996CJ0215&from=EN>

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-7/93, Langnese-I glo GmbH v Commission [1995] §98.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?jsessionid=C902CF1BD3102ACC19FEC2D517EE26DC?text=&docid=103288&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=7249919>

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-374/94, T-375/94, T-384/94 და T-388/94, etc European Night Services v Commission [1998] §102–103.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=44079&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=7250692>

იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვერტიკალურ შეზღუდვებზე [2010]

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52010XC0519(04)&from=EN)

<sup>233</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის 2003 წლის რეკომენდაცია 2003/361/EC [2003] §2.

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:124:0036:0041:EN:PDF>

<sup>234</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა მეორეხარისხოვან შეთანხმებებზე რომლებიც შესაძლებელია არ ზღუდავენ კონკურენტობას, ევროკავშირის დამაარსებელი შეთანხმების 81(1) მუხლის მიხედვით, [2001] §I(4).

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2001:368:0013:0015:EN:PDF>

<sup>235</sup> იქვე, §I(5).

აჭარბებს იმ ბაზრის 10 პროცენტს, რომელზეც გავლენა აქვთ მათ შეთანხმებას.  
(შეთანხმება კონკურენტ საწარმოთა შორის)

(ბ) თუ საქმე არ ეხება კონკურენტ ან პოტენციურ კონკურენტ საწარმოთა შორის არსებულ შეთანხმებებს, ხოლო თითოეული მხარის დამოუკიდებელი საბაზრო წილი არ აჭარბებს იმ ბაზრის 15 პროცენტს, რომელზეც გავლენა აქვს მათ შეთანხმებას. (შეთანხმება არაკონკურენტ საწარმოთა შორის)

ამასთან, თუკი შეუძლებელია დადგენა, კონკურენტ საწარმოთა შორის არის დადებული შეთანხმება თუ არაკონკურენტ საწარმოთა შორის, ამ შემთხვევისათვის გამოიყენება 10 პროცენტის ბარიერი.<sup>237</sup>

შესაბამისად, დადგენილ ბარიერებს შორის შესამჩნევი განსხვავების საფუძველზე რიჩარდ ვიში მიიჩნევს, რომ არაკონკურენტ საწარმოთა შორის არსებულ შეთანხმებათა (ვერტიკალური შეთანხმება) მიმართ, ევროკავშირის კომისიას შედარებით უფრო ღმობიერი და ლოიალური დამოკიდებულება აქვს, ვიდრე კონკურენტ საწარმოთა შორის არსებული შეთანხმებების (ჰორიზონტალური შეთანხმება) მიმართ.<sup>238</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირის კომისია უშვებს დადგენილი პროცენტებისათვის საშეღავათო პერიოდის არსებობასაც, ორი კალენდარული წლის ვადით. უფრო ზუსტად, ადგენს, რომ ეკონომიკურ აგენტთათვის დადგენილი 10, 15 და 5 პროცენტის ბაზრის წილის გაზრდა არ უნდა მოხდეს ორ პროცენტზე მეტი რაოდენობით, შემდგომი ორი კალენდარული წლის მსვლელობისას.<sup>239</sup> ბაზრის წილის განსაზღვრის შესახებ კომისიის სახელმძღვანელო დებულებების გაცნობა შესაძლებელია კომისიის მიერ გამოცემულ ცნობაში.<sup>240</sup>

ამასთან, რამდენადაც რამოდენიმე ვერტიკალური შეთანხმების ერთობლივმა ეფექტმა შესაძლოა მიგვიყვანოს შესაბამისი ბაზრის დახურვამდე, კომისიის ეს ცნობა მოიცავს აღნიშნული საკითხის რეგულირებასაც.<sup>241</sup>

---

<sup>236</sup> საწარმოთა შორის იგულისხმება “ურთიერთდაკავშირებული საწარმოებიც”, როგორებიცაა, მშობელი კომპანიები და სუბსიდიარები.

<sup>237</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა მეორეხარისხოვან შეთანხმებებზე რომლებიც შესამჩნევად არ ზღუდავენ კონკურენციას, ევროკავშირის დამაარსებელი შეთანხმების 81(1) მუხლის მიხედვით, [2001] §II(7).

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2001:368:0013:0015:EN:PDF>

<sup>238</sup> იხ. Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 142.

<sup>239</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა [30.08.2014] §11.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=OJ:C:2014:291:FULL&from=EN>

<sup>240</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შესახებ ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის, [09.12.1997] §IV.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C:1997:372:FULL&from=EN>

<sup>241</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა მეორეხარისხოვან შეთანხმებებზე რომლებიც შესამჩნევად არ ზღუდავენ კონკურენციას, ევროკავშირის დამაარსებელი შეთანხმების 81(1) მუხლის მიხედვით, [2001] §II(8).

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2001:368:0013:0015:EN:PDF>

განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს ევროკავშირის კომისიის ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ სახელმძღვანელოს 44-ე პარაგრაფი, რომელიც ადგენს, რომ თუკი ჰორიზონტალური შეთანხმების მონაწილე მხარეების საერთო წილი ბაზარზე მაღალია, თუმცა ერთერთი მათგანის წილი უმნიშვნელოა და იგი არ ფლობს მნიშვნელოვან რესურსებს, მაშინ მათ შორის არსებული შეთანხმება არ ჩაითვლება კონკურენციაზე შემზღუდველი ეფექტის მქონედ.<sup>242</sup>

De minimis წესთან დაკავშირებით რიჩარდ ვიში ასევე მიმოიხილავს ევროკავშირის სამართლის დამოკიდებულებას მძიმე კატეგორიის შეზღუდვებთან მიმართებით. მისი აზრით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში<sup>243</sup> გაკეთებული განმარტებების თანახმად, 101(1) მუხლის დარღვევად მიიჩნია მხოლოდ ისეთი მძიმე კატეგორიის შეზღუდვები, რომლებსაც არსებითად მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდათ არსებულ კონკურენციაზე ანდა სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე. ამდენად, მან 101(1) მუხლის ავტომატურ დარღვევად არ მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტი რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმება მძიმე კატეგორიის შეთანხმებად მიიჩნეოდა. გარკვეულ პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს ევროკავშირის კომისია, მის მიერ გამოცემული ცნობის მეთოთხმეტე პარაგრაფში, სადაც იგი „უსაფრთხო თავშესაფრის“ კონცეფციის გამოყენებას შეუსაბამოდ მიიჩნევს მძიმე კატეგორიის შეზღუდვებთან მიმართებით.<sup>244</sup> სწორედ ამ საწინააღმდეგო შეხედულებებიდან გამომდინარე, რომლებსაც ავითარებს ერთი მხრივ სასამართლო, ხოლო მეორე მხრივ კომისია, შეიძლება ითქვას, მაინც არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომისია არ წამოიწყებს პროცედურებს თუკი მისთვის ცნობილი გახდება მძიმე კატეგორიის შეზღუდვის არსებობის შესახებ. ისევე, როგორც ეს მოხდა ბერძნულ ბორანებთან<sup>245</sup> დაკავშირებით და კომისიამ დააჯარიმა კომპანიები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს და ამდენად არ შეიძლებოდა მათ არსებითად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონოდათ კონკურენციაზე ან სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე, მხოლოდ იმ

<sup>242</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო შეთანხმების 101-ე მუხლის მოქმედებაზე ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებებთან მიმართებით, §44.

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011XC0114(04)&from=EN)

<sup>243</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 5/69, Völk v Vervaecke, [1969]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61969CJ0005&from=EN>

იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - C-260/07, Pedro IV Servicios SL v Total España SA, [2009] § 82.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62007CJ0260&from=EN>

<sup>244</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის მიერ გამოცემული De minimis ცნობა [30.08.2014] §14.

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52014XC0830\(01\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52014XC0830(01)&from=EN)

იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 2001/711/EC, Volkswagen [2001] §79.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32001D0711&from=BG>

იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვერტიკალურ შეზღუდვებზე [2010] §10.

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2010:130:0001:0046:EN:PDF>

<sup>245</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 1999/271/EC, Greek Ferry Services Cartel [1999]

[http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec\\_docs/34466/34466\\_15\\_4.pdf](http://ec.europa.eu/competition/antitrust/cases/dec_docs/34466/34466_15_4.pdf)

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-59/99, Ventouris Group Enterprises v Commission [2003] §167-170.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61999TJ0059&from=EN>

საფუძვლით, რომ ისინი წარმოადგენდნენ ფასის ფიქსაციის შეთანხმების მხარეებს, რაც თავის მხრივ კონკურენციის სერიოზულ შეზღუდვად არის მიჩნეული. რა თქმა უნდა, კომისია თავის მხრივ შებოჭილია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებით, თუმცა მათ შორის ეს აზრთა შორის კონფლიქტი მაინც გამოკვეთილად არსებობს.

რაც შეეხება ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს, იგი იზიარებს მართლმსაჯულების სასამართლოს მოსაზრებას, რამდენადაც იგი განმარტავს, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები მხოლოდ მაშინ არღვევენ 101(1) მუხლს, როდესაც მათ შესამჩნევი ეფექტი აქვთ არსებულ კონკურენციაზე ან წევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე.<sup>246</sup> ამდენად პირველი ინსტანციის სასამართლოც გადამწყვეტ კრიტერიუმად არა შეზღუდვის ხასიათს, არამედ ეფექტის შესამჩნევობას მიიჩნევს. მიუხედავად სასამართლოთა ერთმანეთთან თანხმობისა, ევროკავშირის კომისიის შეხედულებასაც არ უნდა იყოს ლოგიკურად გაუგებარი, რამდენადაც მას არ სურს მსგავსი მიდგომით ერთგვარად „მწვანე შუქი“ აუნთოს მძიმე კატეგორიის შეზღუდვებს, მიუხედავად იმისა დიდია თუ არა ცალკეულ შემთხვევაში მათგან გამოწვეული ზიანი. მაგრამ, საბოლოოდ ევროკავშირის ამ რგოლებს შორის არსებული კონფლიქტის მიუხედავად, იმდენად რამდენადაც აღნიშნული სასამართლოები ზემდგომ ორგანოებს წარმოადგენენ კომისიისათვის, ნაკლებად ლოგიკური იქნება თუ კომისია მაინც დაიწყებს მოკვლევას იმ ეკონომიკური აგენტების მიმართ, რომელთა წილი ბაზარზე ნაკლებია კომისიის მიერ ცნობაში აღნიშნულ რიცხვობრივ ბარიერებზე.

აქვე რიჩარდ ვიში აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, De Minimis წესის გამოყენების საკითხი მხოლოდ დაბალი საბაზრო წილის ფლობაზე არ უნდა გადიოდეს. ამ მსჯელობის განსამტკიცებლად, მან დააჯარიმა სპირტიანი სასმელების კომპანია,<sup>247</sup> მიუხედავად მისი მცირე საბაზრო წილისა, ეს კი ზოგადად სასმლის არსებულ ბაზარზე მისი მნიშვნელოვანი პოზიციით დაასაბუთა. იგივენაირად, სასამართლომ დააჯარიმა ფრანგული

---

<sup>246</sup> იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - T-199/08, Ziegler SA v Commission [2011] §41-45.

<http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=85097&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=7651727>

იხ. ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - T-49/02, T-50/02 და T-51/02, Brasserie Nationale v Commission [2005] §140.

<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=58221&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=7652166>

<sup>247</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 30/78, Distillers Co Ltd v Commission, [1980]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61978CJ0030&from=EN>

იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 19/77, Miller International v Commission [1978]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61977CJ0019&from=EN>

იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - 107/82, AEG- Telefunken v Commission [1983] §58.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61982CJ0107&from=EN>

კომპანიები<sup>248</sup> შეთანხმებული ქმედების საქმეზე, სადაც მათი საბაზრო წილი საკმაოდ მცირე იყო, თუმცა რაოდენობრივად აჭარბებდა მათი უმრავლესი კონკურენტისას.

ყოველი ამ მსჯელობის გათვალისწინებით, დასკვნის სახით იმის თქმა შეგვიძლია, რომ მიუხედავად კომპანიათა მაღალი საბაზრო წილისა, კომისიასა და ევროკავშირის სასამართლოებს შეუძლიათ კონკურენციის არსებით შეზღუდვად არ მიიჩნიონ ქმედება, რომელიც თავისი ხარისხით უმნიშვნელოა და პირიქით, მიუხედავად კომპანიათა მცირე საბაზრო წილისა, მათ შეუძლიათ მოახდინონ საწარმოთა დაჯარიმება, თუკი მათი ნეგატიური ეფექტი შესამჩნევია.<sup>249</sup> ამდენად, De Minimis ტესტი მხარეთა მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგების ანალიზზე გადის.<sup>250</sup>

## 1.6. De Minimis წესი საქართველოში

De Minimis წესის ანალოგი ქართული კონკურენციის კანონმდებლობაში, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლშია გათვალისწინებული. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულების ცნებას. ამ მუხლის შინაარსის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული კონკურენციის კანონმდებლობა შეთანხმებათა მე-7 მუხლის აკრძალვისაგან გათავისუფლებისათვის შეფასებას ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით ახდენს. ეს კრიტერიუმებია ეკონომიკურ აგენტთა წილი შესაბამის ბაზარზე და შეზღუდვის ტიპი, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკურ აგენტთა მოქმედებაში. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა იმ პროცენტულ ბარიერზე, რომელსაც არ უნდა სცდებოდეს თითოეული მათგანის წილი შესაბამის ეკონომიკურ ბაზარზე, იმისათვის რომ მათი შეთანხმება გათავისუფლდეს კანონის მე-7 მუხლში მოცემული აკრძალვისაგან.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, თუკი მხარეთა

---

<sup>248</sup> იხ. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - 100/80, 101/80, 102/80 და 103/80, Musique Diffusion Française v Commission, [1983]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61980CJ0100&from=HR>

იხ. ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე - 92/33/EEC, Yves Saint Laurent Parfums [1992]

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31992D0033&from=EN>

<sup>249</sup> მაგალითისთვის იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე - C-180/98, C-181/98, C-182/98, C-183/98 და C-184/98, Pavel Pavlov v Stichting Pensioenfonds Medische Specialisten, [2000] §90-97.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61998CJ0180&from=HR>

<sup>250</sup> იხ. Hojnik J., De Minimis Rule within the EU Internal Market Freedoms: Towards a More Mature and Legitimate Market? European Journal of Legal Studies, Volume 6, Issue 1(Spring/Summer 2013), 44.

[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2834285](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2834285)

ერთობლივი წილი 10 პროცენტს არ აღემატება, ჰორიზონტალური შეთანხმების შემთხვევაში და თუკი თითოეული მხარის საბაზრო წილი 15 პროცენტს არ აღემატება, ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევაში. ხოლო თუ ხელშეკრულება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხელშეკრულების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი კლასიფიკაცია, იგი აკრძალვისგან გათავისუფლდება მაშინ, თუ თითოეული მხარის საბაზრო წილი არ აღემატება 10 პროცენტს.<sup>251</sup> ამდენად, “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონი შეთანხმებათა აკრძალვიდან გათავისუფლებისათვის, ეკონომიკურ აგენტებს, იდენტურ საპროცენტო ბარიერებს უდგენს, რაც გათვალისწინებულია ჰორიზონტალური, ვერტიკალური, ანდა კომბინირებული ტიპის შეთანხმებებისათვის, ევროკავშირის შესაბამის ცნობაში.<sup>252</sup>

რაც შეეხება მე-8 მუხლის მეორე პუნქტს, იგი გამორიცხავს ისეთ შეთანხმებათა გათავისუფლებას მე-7 მუხლის აკრძალვიდან, რომელთაც თან ახლავს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული შეზღუდვები. შესაბამისად, ამ დანაწესიდან გამომდინარე, მე-8 მუხლის გათავისუფლებით ვერ ისარგებლებს შეთანხმება რომელიც იწვევს შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას, ფიქსაციას, აგრეთვე ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას ანდა გულისხმობს ტენდერში მანიპულაციურ მონაწილეობას. შესაბამისად, მაშინაც კი თუ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესაბამისი წილი ბაზარზე დაბალია და არ აჭარბებს მე-8 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ ბარიერს, მხარეები ვერ ისარგებლებენ აკრძალვისაგან გათავისუფლებით, თუკი მათ შორის არსებულ შეთანხმებას შედეგად მოჰყვა ზემოთ ჩამოთვლილი სამი მძიმე კატეგორიის შეზღუდვიდან ერთ-ერთი მაინც.

## VII თავი

### შემწყალელობის პროგრამა

#### შესავალი

იმდენად რამდენადაც კარტელურ გარიგებათა პრაქტიკაში აღმოჩენა და გამოაშკარავება, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესისა და გარიგებაში მონაწილე მხარეთა კარგად შემუშავებული გეგმების წყალობით, ძალიან რთული და ხშირად თითქმის შეუძლებელია, ამგვარ გარიგებებთან საბრძოლველად კონკურენციის შესაბამისმა ორგანოებმა შექმნეს და შეიმუშავეს საკმაოდ ქმედითი

<sup>251</sup> იხ. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, §8.

<https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=4>

<sup>252</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა მეორეხარისხოვან შეთანხმებებზე რომლებიც შესამჩნევად არ ზღუდავენ კონკურენციას, ევროკავშირის დამაარსებელი შეთანხმების 81(1) მუხლის მიხედვით [2001], §7.

<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2001:368:0013:0015:EN:PDF>

მექანიზმი, რომელიც შემწყალებლობის პროგრამის სახელით არის ცნობილი. შემწყალებლობის პროგრამა თავისი არსით ყველაზე უფრო პრაქტიკული მიგნებაა კარტელურ გარიგებათა გამოვლენისა და პრევენციის საკითხში. მისი წარმოშობის ისტორია აშშ-ის ანტიტრასტული სამართლიდან იწყება და იგი სათავეს 1978 წლიდან იღებს.<sup>253</sup> მას შემდგომ, შემწყალებლობის პროგრამა, 1996 წელს, ევროპის გაერთიანებამაც შეიმუშავა<sup>254</sup> და დღესდღეობით იგი კონკურენციის ქართულ კანონმდებლობაშიც არის გათვალისწინებული.

შემწყალებლობის პროგრამა გულისხმობს კარტელის წევრი რომელიმე ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის ორგანოში კარტელის არსებობის აღიარებას, ორგანოსთან თანამშრომლობასა და შესაბამისი ინფორმაციისა თუ საჭირო მტკიცებულებების მიწოდებას, მისი პასუხისმგებლობისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების პირობით. ამგვარი პროგრამის არსებობა, ფლორენს თეფოთის აზრით, მიზნად ისახავს კონკურენციის საწინააღმდეგო გარიგებებისათვის ძირის გამოთხრას, კარტელში მონაწილეთა წახალისების გზით, დააბეზღონ ანტიკონკურენციულ გარიგებაში მონაწილე სხვა მხარეები და გასცენ ამგვარი გარიგების დეტალები.<sup>255</sup> ჩემი აზრით, გარდა მოქმედი გარიგებებისათვის სიმყარის გამოცლისა და ამ გზით, მასში მონაწილე მხარეთათვის გარიგებისადმი უნდობლობის პროვოცირებისა, რაც საბოლოო ჯამში აჩქარებს და ასტიმულირებს თითოეულ მხარეს, რომ პირველებმა გასცენ სარისკო გარიგება, იგი აგრეთვე პრევენციულ როლსაც ასრულებს შემდგომში კარტელურ გარიგებათა დადებისათვის. აღნიშნული კი იქიდან გამომდინარეობს, რომ იმ რისკების გათვალისწინებით რაც შემწყალებლობის პროგრამას ახლავს, კარტელურ გარიგებებში შესვლამდე ეკონომიკური აგენტები სავარაუდოდ ბევრად მეტი სიფრთხილით მოეკიდებიან მეორე მხარისადმი ნდობის საკითხს და ზოგადად, კარტელურ გარიგებაში მონაწილეობის მიღების საკითხსაც, რადგან გააზრებული ექნებათ მისი გამოვლენის ის სიმარტივე, რასაც აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს.

რაც შეეხება იმ ბენეფიტებს, რითი სარგებლობაც შემწყალებლობის პროგრამით მოსარგებლეს შეუძლია, ევროკავშირში ეს ბენეფიტები განმარტებულია როგორც „იმუნიტეტი, ანდა იმ ჯარიმის შემცირება, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში კარტელში მონაწილეობისათვის ამ მხარეს დაეკისრებოდა“<sup>256</sup>, ამდენად ევროკავშირის

---

<sup>253</sup> იხ. Leslie C.R., Antitrust Leniency Programmes, The Competition Law Review, Volume 7, Issue 2, 2011 July, 175.

<http://new.clarf.org/CompLRev/Issues/Vol7Issue2EditorialLeslie.pdf>

<sup>254</sup> იხ. Connor J.M., Cartel Fine Severity and the European Commission: 2007-2011, European Competition Law Review, 2013, 6.

[https://www.researchgate.net/publication/256057876\\_Cartel\\_Fine\\_Severity\\_and\\_the\\_European\\_Commission\\_20\\_07-2011](https://www.researchgate.net/publication/256057876_Cartel_Fine_Severity_and_the_European_Commission_20_07-2011)

<sup>255</sup> იხ. Thépot F., Leniency and Individual Liability: Opening the Black Box of Cartel, The Competition Law Review, Volume 7, Issue 2, 2011 July, 222.

<sup>256</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა - კარტელების საქმესთან დაკავშირებული ჯარიმების იმუნიტეტისა და ჯარიმების შემცირების შესახებ [08.12.2006]

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC1208\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC1208(04)&from=EN)

სამართალში შემწყალებლობის პროგრამის ბენეფიტები ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას უკავშირება. ხოლო აშშ-ის შემთხვევაში აღნიშნული ბენეფიტები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმუნიტეტს, ან მის თანაზომიერად შემცირებას უკავშირდება.<sup>257</sup> ამასთან, თანამშრომლობის პროგრამის ბენეფიტების ჭრილში, აშშ-სა და ევროკავშირთან მიმართებით მიმართებით, საუბარი არ არის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე. ამდენად, იგულისხმება, რომ ამ პროგრამით მოსარგებლე საწარმოები არ თავისუფლდებიან ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან კონკურენციის სამართლის მიდგომები უპირველესად მომხმარებლის უფლებათა დაცვაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

შემწყალებლობის პროგრამაზე საუბრისას, ფლორენს თეფოთი ორი ტიპის პროგრამას გამოყოფს, ესენია კორპორატიული შემწყალებლობის და ინდივიდუალური შემწყალებლობის პროგრამები.<sup>258</sup> მათგან პირველი უზრუნველყოფს ორივეს, როგორც ინდივიდუალურ გათავისუფლებას, ისე უშუალოდ კომპანიის გათავისუფლებასაც შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან.<sup>259</sup> რაც შეეხება მეორე სახეს, იგი მოიაზრებს შესაბამის საწარმოებში დასაქმებული პირების, იმ პირების მიერ ვისაც უშუალო შეხება აქვთ კარტელთან, კარტელში მონაწილეობის აღიარებას ინდივიდუალურად, საწარმოსაგან დამოუკიდებლად, რაც ათავისუფლებს მას მისი ინდივიდუალური ტიპის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ჩვეულებრივ შემთხვევაში კარტელის აღმოჩენისას დაეკისრებოდა.<sup>260</sup>

### 1.1. შემწყალებლობის პროგრამა ევროკავშირში

ევროკავშირში შემწყალებლობის პროგრამასთან მიმართებით ამჟამად მოქმედებს კომისიის ცნობა, სახელწოდებით „კარტელების საქმესთან დაკავშირებული ჯარიმების იმუნიტეტისა და ჯარიმების შემცირების შესახებ“,<sup>261</sup> რომელიც საკმაოდ დახვეწილად არეგულირებს შემწყალებლობის პროგრამის მოქმედებას კარტელურ გარიგებებთან მიმართებით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცნობის მე-8 მუხლის მიხედვით, ჯარიმისაგან გათავისუფლებით შესაძლოა ისარგებლოს ეკონომიკურმა აგენტმა, რომელიც პირველი გამჟღავნებს საკუთარ მონაწილეობას კარტელურ გარიგებაში და მიაწვდის კომისიას ისეთ ინფორმაციას, რომელიც საშუალებას მისცემს მას, რომ წამოიწყოს შემოწმება ამ კარტელთან დაკავშირებით

<sup>257</sup> იხ. Leslie C.R., Antitrust Leniency Programmes, The Competition Law Review, Volume 7, Issue 2, 2011 July, 175.

<sup>258</sup> იხ. Thépot F., Leniency and Individual Liability: Opening the Black Box of Cartel, The Competition Law Review, Volume 7, Issue 2, 2011 July, 221.

<sup>259</sup> იქვე, 236.

<sup>260</sup> იქვე, 234.

<sup>261</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის ცნობა - კარტელების საქმესთან დაკავშირებული ჯარიმების იმუნიტეტისა და ჯარიმების შემცირების შესახებ [08.12.2006]  
[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC1208\(04\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC1208(04)&from=EN)

და ასევე, აღმოაჩინოს 101-ე მუხლის დარღვევა აღნიშნული კარტელის საქმეზე.<sup>262</sup> ამასთან, ცნობის მე-10 მუხლის მიხედვით, ეს იმუნიტეტი არ იქნება გამოყენებული, თუკი მისი გაცხადების მომენტისათვის, კომისია უკვე ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას.<sup>263</sup>

გარდა ეკონომიკურ აგენტთა ჯარიმისაგან სრული გათავისუფლებისა, აღნიშნული ცნობის თანახმად, კარტელურ გარიგებაში მონაწილე სუბიექტებს შეუძლიათ ისარგებლონ ჯარიმის შემცირებით. აღნიშნული ეხება ისეთ ეკონომიკურ აგენტებს, რომელთაც პირველად არ უცნობებიათ კომისიისათვის კარტელის არსებობის შესახებ, თუმცა მათ მიაწოდეს კომისიას მნიშვნელოვანი ინფორმაციები ან/და მტკიცებულებები და ამდენად სრულყოფს წინა საწარმოს მიერ გაცხადებული ინფორმაცია. ცნობის 26-ე მუხლი ასევე განსაზღვრავს მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის შეღავათებს, დროში მეორე და შემდგომი ეკონომიკური აგენტებისათვის, რომლებიც ამგვარად ითანამშრომლებენ კომისიასთან. ამ მუხლის მიხედვით, პირველი საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას, მიიღებს ჯარიმის შემცირებას 30-50 პროცენტით. მეორე ასეთი საწარმო - 20-30 პროცენტით, ხოლო მესამე საწარმო მიიღებს ამგვარი ჯარიმის შემცირებას - 20 პროცენტამდე.<sup>264</sup> ამასთან, ეკონომიკური აგენტი, რომელმაც ჩაითრია სხვა საწარმოები კარტელში, ვერ მოიპოვებენ იმუნიტეტს აღნიშნული ცნობის მიხედვით, თუმცა მათ მაინც უნარჩუნდებათ უფლება, მიიღონ ფასების შემცირების შეღავათი, თუკი ისინი დააკმაყოფილებენ ყველა სხვა ცნობით გათვალისწინებულ პირობას.<sup>265</sup>

## 1.2. თანამშრომლობის პროგრამა საქართველოში

შემწყნარებლობის პროგრამის ანალოგი ქართულ კონკურენციის კანონმდებლობაში თანამშრომლობის პროგრამის სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნული პროგრამა გაწერილია “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის 33<sup>1</sup> მუხლში, რომელიც განსაზღვრავს, შესაძლებლობას, რომ პირი შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს ამ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი: (ა) აღიარებს მონაწილეობას ამ კანონის მე-7 მუხლის “ა”; “გ” და “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებში, რაც მოიცავს ფასის ან სხვა სავაჭრო პირობის ფიქსაციას, ბაზრის ან მიწოდების წყაროს განაწილებასა და სახელმწიფო ტენდერში მანიპულაციურ მონაწილეობას, ამასთან თუ იგი (ბ) ზეპირად ან წერილობით მიაწვდის სააგენტოს მისთვის ცნობილ ინფორმაციას და მტკიცებულებებს, სანამ ეს ინფორმაცია სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება

<sup>262</sup> იქვე, §8

<sup>263</sup> იქვე, §10

<sup>264</sup> იქვე, § 26

<sup>265</sup> იქვე, § 13

ცნობილი და (გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან.<sup>266</sup>

ამ მუხლთან ერთად, თანამშრომლობის პროგრამას არეგულირებს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის ბრძანებით N30/09-2 დამტკიცებული “თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესი”.<sup>267</sup> აღსანიშნავია, რომ კანონის 33<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტიცა და აღნიშნული ბრძანებაც ერთობლივად ადგენს, ამ შეღავათების გავრცელების დაუშვებლობას კარტელური გარიგებების ერთდერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზეც, რომელმაც სხვა პირებს შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.<sup>268</sup>

საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნული ბრძანება შეღავათის სარგებლობისათვის აუცილებელ პირობად ადგენს, საქმის მოკვლევის პროცესში სააგენტოსთან უწყვეტად და შეუზღუდავად თანამშრომლობას, რაც თავის თავში მოიცავს: კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობის შეწყვეტას, ან გაგრძელებას მხოლოდ სააგენტოს თანხმობითა და მის მიერ მითითებული ვადით; ვალდებულებას არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები; არ გაამჟღავნოს ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე და ასევე, სააგენტოსათვის დახმარების გაწევას საქმის მოკვლევის პროცესში.<sup>269</sup>

მსგავსად ევროკავშირის მოდელისა, ბრძანება ითვალისწინებს იმ ეკონომიკური აგენტის სრულად გათავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან, რომელიც პირველი აღიარებს კონკურენციის ორგანოს წინაშე კარტელში მონაწილეობას და მიაწვდის მას ისეთ ინფორმაციას, რომელიც აქამდე მისთვის ცნობილი არ ყოფილა. თუმცა, განსხვავებით ევროკავშირის მოდელისაგან, აღნიშნული ბრძანება საშეღავათო პირობების სამ კატეგორიას მოიცავს. პირველი კატეგორია როგორც უკვე აღინიშნა სრულად, 100 პროცენტით ათავისუფლებს იმ ეკონომიკურ აგენტს ჯარიმისაგან, რომელიც პირველი ითანამშრომლებს კონკურენციის ორგანოსთან. მეორე კატეგორია გულისხმობს ჯარიმის 20-50 პროცენტით, ხოლო მესამე კატეგორია კი - ჯარიმის 20 პროცენტამდე შემცირებას. აღნიშნული კი ევროკავშირის სამართლის მიერ დადგენილ პროცენტებთან შედარებით ნაკლებია და ამდენად, ქართული მოდელის შედარებით მკაცრ მიდგომას უზრუნველყოფს. მეორე და მესამე კატეგორიის შეღავათები, აქაც, იმ ეკონომიკურ აგენტათვის არის

<sup>266</sup> იხ. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, §33<sup>1</sup>  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4>

<sup>267</sup> იხ. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №30/09-2 თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესი [30.09.2014]  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2523181?publication=0>

<sup>268</sup> იქვე, § 5

<sup>269</sup> იქვე, §6

გათვალისწინებული, რომელიც არ იქნება პირველი, თუმცა დამატებით, მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის კონკურენციის ორგანოს.<sup>270</sup>

ყოველივე ამ მონაცემთა გათვალისწინებით, ევროკავშირის შემწყალებლობის პროგრამისა და ქართული თანამშრომლობის პროგრამის შედარების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ქართული მოდელი აღნიშნული პროგრამისა, შედარებით მკაცრ მიდგომას უზრუნველყოფს, გამომდინარე პირველ რიგში იმ დაბალი საპროცენტო შეღავათებისა, რომელიც დაწესებულია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების წასახალისებლად, და ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც უკვე აღინიშნა, თანამშრომლობის პროგრამა მე-7 მუხლის ჩამონათვალიდან მხოლოდ სამი ტიპის შეთანხმებაზე ვრცელდება, ამდენად საშეღავათო პირობების გარეთ ტოვებს დანარჩენი სამი ტიპის გარიგებას. მიმაჩნია, რომ ვინაიდან თანამშრომლობის პროგრამა, კონკურენციის ორგანოსათვის ერთადერთ ყველაზე უფრო მოქმედ მექანიზმს წარმოადგენს კარტელურ გარიგებათა აღმოსაჩენად, უმჯობესი იქნება თუ მოხდება მისი შედარებით შერბილება, (ყველა ტიპის გარიგებაზე გავრცელება და მეორე და მესამე კატეგორიის შეღავათებზე საშეღავათო პროცენტების ზრდა) რაც ხელს შეუწყობს კარტელში ჩართულ ეკონომიკურ აგენტთა მეტად წახალისებას, სააშკარაოზე გამოიტანონ ისეთი ტიპის გარიგებებიც, რომლებზეც ამჟამად დადგენილი საშეღავათო პირობები არ ვრცელდება ან/და გაუმხილონ კომისიას მეტი ინფორმაცია და ამით ხელი შეუწყონ უკვე გამოაშკარავებული კარტელის საქმეზე კონკურენციის ორგანოს მოკვლევას. აღნიშნული მეტად მოქმედს გახდის კონკურენციის არსებულ კანონმდებლობას და მისცემს მას პრაქტიკაში რეალურად განხორციელების საშუალებას.

## VIII თავი

### კარტელურ გარიგებაში მონაწილეობისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობა

#### შესავალი

კარტელურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის, ევროკავშირის და ზოგადად, სახელმწიფოთა ნაციონალური კანონმდებლობები სხვადასხვა ტიპის პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ. მათ შორის, კარტელურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს როგორც ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი ან/და ინდივიდუალურად განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობები, ისე სხვა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებიც.

#### 1.1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ევროკავშირის სამართლის მიხედვით

<sup>270</sup> იქვე, §4

თუ გადავხედავთ ევროკავშირის სამართალში კარტელურ გარიგებებთან მიმართებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის სახეებს, აშკარაა რომ იგი, განსხვავებით აშშ-ის სამართლისაგან, უპირატესობას ადმინისტრაციულ ჯარიმას ანიჭებს. უშუალოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ევროკავშირის კონკურენციის სამართალში გათვალისწინებული არ არის, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ N1/2003 რეგულაციის მე-8 მუხლი შეიცავს დებულებას, რომლის თანახმადაც, წევრი სახელმწიფოები არ უნდა იქნენ შეზღუდულნი, შეიმუშავონ და გამოიყენონ შედარებით მკაცრი რეგულაციები საკუთარ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ წევრი სახელმწიფოები არ არიან შემოსაზღვრულები მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმის დაწესების ფარგლებით და მათ შესაძლებლობა აქვთ დაადგინონ როგორც უფრო მკაცრი ადმინისტრაციული ჯარიმა, ისე სხვა ნებისმიერი ტიპის პასუხისმგებლობის სახე.<sup>271</sup> აღნიშნული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის პრაქტიკა კი არცთუ ისე იშვიათია წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ კანონმდებლობაში, რის მაგალითადაც შეგვიძლია გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა სახელმწიფოები მოვიყვანოთ. ასე მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია კოლუზიური ტენდერის საქმეებზე, დიდ ბრიტანეთში - ფასის ფიქსაციის შეთანხმების აღმოჩენის შემთხვევაში, ხოლო საფრანგეთში არსებობს შესაძლებლობა, შესაბამის პირებს ინდივიდუალურად დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები.<sup>272</sup>

## 1.2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ევროკავშირის სამართლის მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, N1/2003 რეგულაცია ადგენს ევროკავშირში კარტელური გარიგებებისათვის გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ზოგადი თვალსაზრისით უნდა ატარებდეს ორ მნიშვნელოვან ფუნქციას. ემანუელ ქომბეს აზრით, ის მიზანი, რასაც ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრება ემსახურება, პირველ რიგში კარტელური გარიგებით მიყენებული ზიანის კომპენსაციაა.<sup>273</sup> გარდა ნეგატიური ეფექტების განეიტრალებისა, მეორე ფუნქცია რაც ადმინისტრაციულმა პასუხისმგებლობამ უნდა უზრუნველყოს, განმეორებითი სამართალდარღვევის თვალსაზრისით, საკმარისი შემაკავებლობაა. ანუ ჯარიმამ უნდა შეასრულოს ერთგვარი პრევენციული ფუნქცია, სამომავლოდ კარტელურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.<sup>274</sup>

<sup>271</sup> იხ. ევროკავშირის რეგულაცია N1/2003, [04.01.2003] §8.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003R0001&from=EN>

<sup>272</sup> იხ. Thépot F., Leniency and Individual Liability: Opening the Black Box of Cartel, The Competition Law Review, Volume 7, Issue 2, 2011 July, 223.

<sup>273</sup> იხ. Combe E., Monnier C., Fines Against Hard Core Cartels in Europe: The Myth of Overenforcement, The Antitrust Bulletin, Vol. 56, # 2/Summer 2011, 238.

<sup>274</sup> იხ. Veljanovski C., Cartel Fines in Europe, Law Practice and Deterrence, World Competition 30 (1), 2007, 73 <http://www.casecon.com/data/pdfs/Cartel%20Fines%20in%20Europe.pdf>

რაც შეეხება ჯარიმის დაანგარიშებას, N1/2003 რეგულაციის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა წინა წლის ბრუნვის 10 პროცენტამდე,<sup>275</sup> რაც საბოლოო ჯამში, ხშირად, საკმაოდ მაღალ თანხას გულისხმობს, რისი გადახდაც მნიშვნელოვნად აზარალებს საწარმოებს და ამდენად, პრევენციულ ფუნქციას ჯარიმის ეს დადგენილი რაოდენობა ნამდვილად ასრულებს. აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირის კომისიამ ჯარიმის დაანგარიშების პროცედურის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის შეიმუშავა სარეკომენდაციო პრინციპები, რაშიც ჯარიმის გამოთვლისას გასათვალისწინებელი ფაქტორები და გარემოებებია გაწერილი.<sup>276</sup> აღნიშნული სარეკომენდაციო დოკუმენტის მე-12 - მე-18 მუხლები მოიცავს ჯარიმის ძირითადი ოდენობის გამოთვლის წესსა და პირობებს. ამ მუხლების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ჯარიმის გამოთვლისას კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება კონკურენციის სამართლის დარღვევის სიმძიმე, ამ დარღვევის მიმდინარეობის ხანგრძლივობა და შესაბამისი ჯარიმის მიერ შემაკავებელი ეფექტის უზრუნველყოფის ხარისხი.<sup>277</sup>

გარდა ჯარიმების ძირითადი ოდენობისა, სხვადასხვა გადაცდომებისათვის, რომელიც შესაძლოა ეკონომიკურმა აგენტმა ჩაიდინოს კარტელურ გარიგებებზე მოკვლევის წარმოებისას, N1/2003 რეგულაციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს წლიური ბრუნვის 1 პროცენტამდე ჯარიმის დაკისრებასაც. ასეთი შემთხვევა შესაძლოა უკავშირდებოდეს ინფორმაციისა და მტკიცებულებების მიუწოდებლობას, დაგვიანებით ან არასრული ოდენობით მიწოდებას და ა.შ.<sup>278</sup>

ამასთან, კომისიის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო პრინციპების 28-ე და 29-ე მუხლები მოიცავს მითითებებს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზეც, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯარიმის რაოდენობის განსაზღვრისას. ამგვარ დამამძიმებელ გარემოებებზე მიიჩნევა სამართალდარღვევის განმეორება ან გაგრძელება, სამართალდარღვევის ინიცირება ეკონომიკური აგენტის მიერ, კონკურენციის ორგანოს ხელშეშლა საქმეზე მოკვლევისას და ა.შ., ხოლო რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს, ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამართალდარღვევის ჩადენა გაუფრთხილებლობით, სამართალდარღვევაში მონაწილეობის შეწყვეტა, ეკონომიკური აგენტის თანამშრომლობა სააგენტოსთან, ასევე თუ სამართალდარღვევაში საწარმო მონაწილეობდა შეზღუდულად, ან ხელისუფლების ორგანოების წახალისებით.<sup>279</sup>

<sup>275</sup> იხ. ევროკავშირის რეგულაცია N1/2003, [04.01.2003], §23(2)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003R0001&from=EN>

<sup>276</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო, N1/2003 რეგულაციის 23(2)(ა) მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ჯარიმის შეფარდების მეთოდზე, [01.09.2006]

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC0901\(01\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC0901(01)&from=EN)

<sup>277</sup> იქვე, §12-18

<sup>278</sup> იხ. ევროკავშირის რეგულაცია N1/2003, [04.01.2003], §23(1)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003R0001&from=EN>

<sup>279</sup> იხ. ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო, N1/2003 რეგულაციის 23(2)(ა) მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ჯარიმის შეფარდების მეთოდზე, [01.09.2006] §28-29

[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC0901\(01\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC0901(01)&from=EN)

### 1.3. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ევროკავშირის სამართლის მიხედვით

ევროკავშირის სამართალი ითვალისწინებს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასაც კარტელურ საქმიანობაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიმართ. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია ევროკავშირის N2014/104/EU რეგულაციით. ამ რეგულაციის მე-12 მუხლი ადგენს როგორც რეალური ზიანის, ისე მიუღებელი შემოსავლისა და შესაბამისი პროცენტის დაკისრების შესაძლებლობას.<sup>280</sup> ამასთან რეგულაციის მე-13 მუხლში განსაზღვრულია იმ პირთა წრეც, ვისაც რეგულაცია უფლებას ანიჭებს მოითხოვოს სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ეს პირთა წრე მოიცავს „როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, მომხმარებლებს, ეკონომიკურ აგენტებსა და სახელმწიფო ორგანოებსაც კი, მიუხედავად მათსა და სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტს შორის პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობა-არარსებობისა.“<sup>281</sup>

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ეკონომიკურ აგენტთა პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურებაზე სოლიდარულად ადგენს. კერძოდ ეს მუხლი განმარტავს, რომ სამართალდარღვევაში მონაწილე თითოეული ეკონომიკური აგენტი პასუხისმგებელია „სოლიდარულად და ინდივიდუალურად“, ხოლო პირი, რომელსაც ამ ეკონომიკურ აგენტთა ქმედების შედეგად ზიანი მიადგა, უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის სრული ანაზღაურება კარტელში მონაწილე ნებისმიერი ეკონომიკური აგენტისგან, იქამდე, სანამ მისი ზიანი სრულად არ იქნება კომპენსირებული.<sup>282</sup>

აღნიშნული დირექტივა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ცდილობს ზიანის ანაზღაურების პროცესის გამარტივებას და მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას, კარტელური გარიგებით დაზარალებულ პირთათვის, რისთვისაც იგი ადგენს ევროკავშირის სასამართლოებისა და წევრი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საქმეზე.<sup>283</sup>

### 1.4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით

დღეის მდგომარეობით ქართული კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კარტელურ გარიგებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისათვის. თუმცა თუ გადავავლებთ

<sup>280</sup> იხ. დირექტივა N2014/104/EU, [26.11.2014], §12

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32014L0104&from=EN>

<sup>281</sup> იქვე, §13

<sup>282</sup> იქვე, §11(2)

<sup>283</sup> იქვე, §35

თვალს „კონკურენციის შესახებ“ კანონის წინამორბედ ნორმატიულ აქტებს, დავინახავთ, რომ აღნიშნული სახის პასუხისმგებლობა ქართულ კანონმდებლობაში 2012 წლამდე იყო გათვალისწინებული.

პირველ რიგში უნდა ვახსენოთ 1996 წლის 25 ივნისის საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“. აღნიშნული კანონის 27-ე მუხლის თანახმად, კანონის დამრღვევ პირს ეკისრებოდა „მატერიალური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“<sup>284</sup> შესაბამისად, ნორმა ცალსახად ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც ერთ-ერთ პასუხისმგებლობის სახეს, სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტებისათვის. ამის შემდგომ ეტაპზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველი ვერსიის 195-ე მუხლმა გაითვალისწინა მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან, კონკურენციის შეზღუდვა აქ დღევანდელისგან განსხვავებულად იყო ფორმულირებული. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად დასჯადი იყო „კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფის, ბაზარზე გავლენის შენარჩუნების, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევების ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენის ან შენარჩუნების გზით.“ ამასთან ამ მუხლის სამივე ნაწილი, სამართალდარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მოიცავდა თავისუფლების აღკვეთის განსხვავებულ ვადებს.<sup>285</sup>

მიუხედავად ამისა, აღნიშნული მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში 2012 წლის 8 მაისს გაუქმდა და დღევანდელი მდგომარეობით ქართული კანონმდებლობა კარტელურ გარიგებაში მონაწილეთათვის პასუხისმგებლობის სახედ, მხოლოდ ადმინისტრაციულ ჯარიმასა და სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს.

#### 1.5. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი, კარტელურ გარიგებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტისათვის პასუხისმგებლობის სახედ ჯარიმას განსაზღვრავს და ადგენს, რომ მე-7 მუხლის დარღვევისათვის, ანუ კარტელურ გარიგებაში მონაწილეობისათვის, ეკონომიკურ აგენტს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა „არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს“. <sup>286</sup> ამავე მუხლის მეორე პუნქტით, „დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში, კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია აღნიშნულ

<sup>284</sup> იხ. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, 1996, §27.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3>

<sup>285</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, §195.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=0>

<sup>286</sup> იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, 2014, §33(1)

<https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=4>

ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა მისი წლიური ბრუნვის 10 პროცენტამდე ოდენობით“.<sup>287</sup>

თუკი ამ მონაცემებს ევროკავშირის სამართალში დამკვიდრებულ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მოდელს შევადარებთ, ნათელია, რომ მიდგომა აქ საკმაოდ ლოიალურია, იმდენად რამდენადაც ძირითად შემთხვევაში კანონის 33-ე მუხლი ჯარიმას წლიური ბრუნვის 5 პროცენტამდე რაოდენობით შემოფარგლავს, ხოლო ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით, ეს რაოდენობა წლიური ბრუნვის 10 პროცენტამდე ბარიერით განისაზღვრება.<sup>288</sup> მართალია იგივე ბარიერი ქართულ კანონმდებლობაში - დარღვევის გაგრძელების ან განმეორების შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუმცა მიმაჩნია, რომ ძირითად შემთხვევაში არსებული ბარიერის გაზრდა პირდაპირპროპორციულად გაზრდიდა ადმინისტრაციული ჯარიმის პრევენციულ ფუნქციას, სამომავლოდ, კარტელური გარიგებების აღმოფხვრისათვის.

გარდა ამისა, ამავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, „ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე“, რაც ვფიქრობ სამართლიანია და ემსგავსება ევროკავშირის რეგულაციაში გათვალისწინებულ პრინციპებს.<sup>289</sup> თუმცა, ამასთანავე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ჯარიმის გამოთვლისას გასათვალისწინებელ იმ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, რაც ევროკავშირის სამართლის შემთხვევაშია გათვალისწინებული. ეს კი გაცილებით მოუქნელს და გაუმჭვირვალეს ხდის ეკონომიკური აგენტის მიმართ პასუხისმგებლობის განსაზღვრის მექანიზმს.

რაც შეეხება აღნიშნული კანონის ძველ, 2012 წლის რედაქციას, მასში 33-ე მუხლი დღევანდელისაგან განსხვავებულ მონაცემებს ითვალისწინებდა. ასე მაგალითად, იგი ადგენდა სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტისათვის წინა ფინანსური წლის განმავლობაში მიღებული მოგების 10 პროცენტამდე ოდენობის ჯარიმის დაკისრებას,<sup>290</sup> ხოლო მოგების არარსებობის შემთხვევაში, ჯარიმა განისაზღვრებოდა გასული ფინანსური წლის ფინანსური ბრუნვის 2 პროცენტამდე ოდენობით.<sup>291</sup> ამასთან, მიმაჩნია, რომ კანონის თანამედროვე ვერსია ბევრად ახლოს არის ევროკავშირის მიდგომებთან და ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ამას პირველი რედაქცია ითვალისწინებს.

---

<sup>287</sup> იქვე, §33(2)

<sup>288</sup> იხ. ევროკავშირის რეგულაცია N1/2003, [04.01.2003] §23(2)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003R0001&from=EN>

<sup>289</sup> იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, [2014] §33(3)

<https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=0>

<sup>290</sup> იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, [2012] §33(1)

<https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=0>

<sup>291</sup> იქვე, §33(2)

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონის თანამედროვე ვერსიის 32-ე მუხლი სააგენტოსათვის ამ კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ადგენს ეკონომიკური აგენტისათვის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას, რომელიც განსაზღვრულია ათასიდან სამი ათას ლარამდე ოდენობით.<sup>292</sup> აღნიშნული მუხლის გათვალისწინება, ვფიქრობ ზოგადი თვალსაზრისით პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ევროკავშირის რეგულაციაც განსაზღვრავს მსგავსი სახის ჯარიმას, კონკურენციის ორგანოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის. თუმცა, აქ პრობლემატურად მიმაჩნია ჯარიმის ის რაოდენობა რაც ამ მუხლშია მოყვანილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით, ეს ჯარიმა შეადგენს წლიური ბრუნვის 1 პროცენტამდე ოდენობას,<sup>293</sup> რაც სამართლიანია იმდენად, რამდენადაც ჯარიმის საბოლოო ოდენობის დიფერენცირება ხდება საწარმოს სიდიდისა და ფინანსური შემოსავლის მიხედვით. ხოლო „კონკურენციის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის შემთხვევაში ეს თანხა პირდაპირ რიცხვობრივად დადგენილია. მართალია, კონკურენციის ორგანო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმის ოპტიმალური რაოდენობა ათასიდან - სამი ათას ლარამდე შუალედში, თუმცა მიმაჩნია რომ აღნიშნული საკმარისად ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას, ძალიან მაღალი ფინანსური ბრუნვის მქონე საწარმოებსა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის. ამდენად, მიზანშეწონილია აღნიშნული დანაწესი შეიცვალოს და ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტისათვის გათვალისწინებულ იქნეს პროცენტულად განსაზღვრული ოდენობის ჯარიმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული კონკურენციის კანონმდებლობა, განსხვავებით ევროკავშირის N1/2003 რეგულაციისაგან, არ ითვალისწინებს ე.წ. პერიოდული ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას. აღნიშნული რეგულაციის 24-ე მუხლი ევროკავშირის კომისიას საშუალებას აძლევს, განახორციელოს საქმეზე მოკვლევის პროცესი სრულყოფილად, რამდენადაც მას შეუძლია დააკისროს ეკონომიკურ აგენტს მისი საშუალო დღიური ბრუნვის 5 პროცენტამდე ოდენობის ჯარიმა ყოველდღიურად, რათა აიძულოს იგი შეწყვიტოს სამართალდარღვევა, მიაწოდოს კომისიას სრულყოფილი და ჭეშმარიტი ინფორმაცია და მტკიცებულებები, დაუშვას და დაემორჩილოს კომისიის ინსპექტირებას და ა.შ.<sup>294</sup> აღნიშნული ბერკეტის არ ქონა კი შეუძლებელს ხდის კონკურენციის სააგენტოს სრულყოფილ მუშაობას და ხელს უშლის მას, ეფექტურად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

საერთო ჯამში, მიმაჩნია რომ ადმინისტრაციული ჯარიმის გათვალისწინება კარტელურ გარიგებაში მონაწილე მხარეთათვის, დადებითად უნდა იყოს

<sup>292</sup> იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, [2014] §32.

<https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=4>

<sup>293</sup> იხ. ევროკავშირის რეგულაცია N1/2003, [04.01.2003], §23(1)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003R0001&from=EN>

<sup>294</sup> იხ. ევროკავშირის რეგულაცია N1/2003, [04.01.2003] §24(1)

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32003R0001&from=EN>

შეფასებული, განსხვავებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამის დასაბუთება თუნდაც იმ ფართოდ გავრცელებული არგუმენტითაც არის შესაძლებელი, რაც სოლომონ მენაბდიშვილის ნაშრომშიც არის მოხსენიებული და გულისხმობს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, კერძოდ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, სახელმწიფოს უწევს ფინანსური სახსრების გაღება სამართალდამრღვევი პირების პატიმრობაში ყოფნისათვის, ხოლო ადმინისტრაციული ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, სახელმწიფო კი არ განიცდის ფინანსურ ზარალს, არამედ პირიქით, ჯარიმის სახით იგი იღებს მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ანაზღაურებას.<sup>295</sup> რაც შეეხება პასუხისმგებლობის სახის პრევენციულ ფუნქციას, აქ, ჩემი აზრით, საუკეთესო გადაწყვეტილება ორივე, ადმინისტრაციული ჯარიმისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთად გათვალისწინება იქნებოდა. მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობა იდეალურად შეითავსებდა პრევენციულ ფუნქციას, დირექტორების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებისაგან თავის შეკავებისთვის. ამდენად, მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციული ჯარიმის გათვალისწინება ქართულ კანონმდებლობაში სწორი ნაბიჯია, თუმცა მასთან ერთად უმჯობესი იქნება თუკი გამოყენებული იქნება გარკვეული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებიც, ეკონომიკურ აგენტთა ქმედებაზე პასუხისმგებელი პირების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახით.

#### 1.6. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით

როგორც ევროკავშირის რეგულაციები, ისე ქართული კანონმდებლობა, შესაძლებელს ხდის კარტელურ საქმიანობაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებზე სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>2</sup>-ე მუხლი ადგენს, რომ „ეკონომიკურ აგენტს, ან სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება.“<sup>296</sup>

მოცემულ შემთხვევაში ნორმა არ შეიცავს პირდაპირ და კონკრეტულ მითითებას, თუ რა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს უფლებამოსილ პირს, შესაბამისი ეკონომიკური აგენტისაგან. რა ტიპის ზიანის ანაზღაურება იგულისხმება ამ მუხლის შინაარსში, არის ეს მხოლოდ რეალური ზიანი, მიუღებელი შემოსავალი, თუ მასში იგულისხმება შესაბამისი პროცენტებიც. ამასთან, იგულისხმება რომ

<sup>295</sup> იხ. მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016, 140.

<sup>296</sup> იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, [2014] §33<sup>2</sup>  
<https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=4>

ზიანის ანაზღაურების ამ ეკონომიკურ აგენტზე დაკისრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით უნდა მოხდეს.<sup>297</sup>

რაც შეეხება პირთა წრეს, რომელსაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, ეს წრე ამ დებულებაში საკმაოდ ბუნდოვანია, რადგანაც, ერთი მხრივ, ეკონომიკური აგენტი, რომელსაც კარტელური გარიგების შედეგად ზიანი მიადგება, უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის კომპენსაცია, ხოლო მეორე მხრივ ანალოგიური უფლება აქ „დაინტერესებულ პირსაც“ აქვს მინიჭებული, რაც საკმაოდ ზოგადი ცნებაა და აქედან გამომდინარე ამ დებულებას ბუნდოვანს ხდის.<sup>298</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით ეს პირთა წრე ფართოდაა განმარტებული და მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, მომხმარებლებს, ეკონომიკურ აგენტებსა და სახელმწიფო ორგანოებსაც კი, მიუხედავად მათსა და სამართალდამრღვევ ეკონომიკურ აგენტს შორის პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობა-არარსებობისა.<sup>299</sup> ხოლო ის, თუ რამდენად ემთხვევა კანონის 33<sup>2</sup>-ე მუხლში ნახსენები „დაინტერესებული პირის“ დეფინიცია ამ ზემოაღნიშნულ განმარტებას, გაუგებარია და დამატებით განსაზღვრას საჭიროებს.

#### 1.7. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევები

განხილული საკითხების ბოლოს, საინტერესოა მოკლედ მიმოვიხილოთ კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში არსებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით. კონკურენციის სააგენტოს მიერ გასაჯაროებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით,<sup>300</sup> 2014 წლიდან დღემდე განხორციელებული მოკვლევებიდან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევის საფუძველზე, კონკურენციის სააგენტომ გაასაჯაროვა მის მიერ შესწავლილი ხუთი სხვადასხვა საქმე. მათ შორის, კონკურენციის სააგენტომ შეისწავლა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი; საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ბაზარი; საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალაგროს“ გადაწყვეტილებები; საავტომობილო გაზის რეალიზატორი კომპანიების სავარაუდო შეთანხმების საკითხი და შეისწავლა საავტომობილო საწვავისა და საავიაციო ნავთის შესაბამისი ბაზრები. ჩამოთვლილი

<sup>297</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992. (კონსოლიდირებული ვერსია)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=101>

<sup>298</sup> იხ. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, [2014] §33<sup>2</sup>

<https://matsne.gov.ge/document/view/1659450?publication=4>

<sup>299</sup> იხ. დირექტივა N2014/104/EU, 2014, §13

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32014L0104&from=EN>

<sup>300</sup> იხ. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

<http://competition.ge/ge/page2.php?p=6&m=29>

შემთხვევებიდან, კონკურენციის სააგენტომ მე-7 მუხლის დებულებათა დარღვევა დაადგინა საავტომობილო საწვავის საკითხზე განხორციელებული მოკვლევის შემთხვევაში. ხოლო, სხვა დანარჩენ შემთხვევებში, კონკურენციის სააგენტოს მე-7 მუხლის რომელიმე ქვეპუნქტის დარღვევა არ დაუდგენია.

მოცემულ შემთხვევაში, მიმაჩნია რომ აღნიშნული შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ კონკურენციის სააგენტოს არ აქვს ქმედითი შესაძლებლობა, მოახდინოს საწარმოს ადგილზე შემოწმება და ამგვარად მოახდინოს საჭირო მტკიცებულებათა თუ ინფორმაციათა მოპოვება და შეგროვება. შედეგად, შესაძლოა მის მიერ მოკვლევისას შეგროვებული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი, ვინაიდან კარტელური გარიგება შინაარსობრივად ფარული გარიგებაა, როგორც წესი მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციაც დაფარულია და იგი შესაძლოა ინახებოდეს კონკურენციის ორგანოსათვის დაფარულ ნებისმიერ ადგილას.

რაც შეეხება საავტომობილო საწვავის საქმეს, აღნიშნულ საქმეზე კონკურენციის სააგენტომ მოკვლევა 2014 წლის 12 ნოემბერს დაიწყო, მოკვლევის შედეგად კი ეკონომიკურ აგენტთა მიერ "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტი გამოვლინდა.<sup>301</sup> შესაბამისად, დარღვევაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს დაეკისრათ ჯამში 55 მილიონამდე ლარის ოდენობის ჯარიმა. ხოლო მე-7 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის დარღვევისთვის 200 ლარიანი ჯარიმები დაეკისრათ ფრენშიაინგის/ქველიცენზიის ხელშეკრულებების შესაბამისად მომუშავე 23 სხვა ეკონომიკურ აგენტს.<sup>302</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლო წესით. ხოლო, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი კონკურენციის სააგენტოს თავდაპირველი გადაწყვეტილება, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ხოლო კონკურენციის ორგანოს დაევალა საქმის გარემოებათა ხელახალი გამოკვლევა, კონკურენციის სააგენტომ განმეორებით შეისწავლა საავტომობილო საწვავის ბაზარზე შესაძლო კარტელური გარიგების მოქმედების საკითხი. განმეორებითი მოკვლევის შედეგად, კონკურენციის სააგენტომ დაადგინა შესაბამის ეკონომიკურ აგენტთა მიერ მე-7 მუხლის მხოლოდ და მხოლოდ „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის, ხოლო ფრენშიაინგის/ქველიცენზიის ხელშეკრულებების შესაბამისად მოქმედი ეკონომიკური აგენტების შემთხვევაში კვლავ დაადგინა - „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი. ამდენად, კონკურენციის სააგენტოს მიერ ეკონომიკურ აგენტებზე

<sup>301</sup> იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N81 [14.07.2015]  
<http://competition.ge/images/upload/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%2081.pdf>

<sup>302</sup> იხ. ინფორმაცია საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) სასაქონლო ბაზრის მოკვლევის შედეგებთან დაკავშირებით  
<http://competition.ge/images/upload/%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93.pdf>

დაკისრებულმა ჯარიმამ, განმეორებითი მოკვლევის შედეგების საფუძველზე, ჯამში მიახლოებით მხოლოდ სამი მილიონი ლარი შეადგინა.<sup>303</sup>

---

<sup>303</sup> იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N04/117 [10.05.2018]  
<http://competition.ge/images/upload/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98.pdf>

## დასკვნა

განხილული საკითხების გათვალისწინებით, შეგვიძლია დანამდვილებით აღვნიშნოთ, რომ კარტელურ გარიგებათა რეგულირების საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობის არის კონკურენციის სამართლის, ეკონომიკური სისტემისა და ტექნიკური პროგრესისთვისაც კი, ვინაიდან ამგვარი პრაქტიკა არათუ მხოლოდ აზიანებს, არამედ ძირს უთხრის ეკონომიკის თავისუფალ განვითარებას, აზიანებს მომხმარებლებსა და ბიზნეს საწარმოებს, და მივყავართ უკიდურესად ნეგატიურ შედეგებამდე, რამაც შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებს. აღნიშნულ საკითხს დამატებითი დატვირთვა აქვს ევროკავშირის სამართლის თვალსაზრისით, ვინაიდან იგი აზიანებს ევროკავშირის ამოსავალ პრინციპს, წევრ სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ინტეგრაციას და მიჯნავს სახელმწიფოთა შიდა ტერიტორიულ, გეოგრაფიულ ბაზრებს.

კარტელურ გარიგებათა წინამორბედად და პირველწყაროდ აშშ-ის კონგრესის მიერ 1890 წელს მიღებული შერმანის აქტი ითვლება, რომელმაც დასაბამი დაუდო ანტიტრასტულ რეგულაციებსა და საწარმოთა შორის შესაძლო ფარულ კოორდინაციასთან ბრძოლას. ამის შემდგომ კარტელურ გარიგებებთან ბრძოლა ევროპის კონტინენტზეც გაგრძელდა და ევროკავშირის შეთანხმებებშიც აისახა, რომლის დასაბამად 1951 წელს პარიზში ხელმოწერილი ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შეთანხმება უნდა მივიჩნიოთ, სადაც პირველად იქნა გათვალისწინებული კონკურენციული საკითხების მარეგულირებელი ნორმები. რაც შეეხება საქართველოს, კარტელურ გარიგებათა რეგულირების საწყისებს ქართულ კანონმდებლობაში 1996 წლიდან ვხვდებით, თუმცა აღნიშნული საკითხების მოწესრიგება და ევროკავშირის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა დღემდე დიდ პრობლემად რჩება, მითუმეტეს თუ გავიხსენებთ 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილ ასოცირების შეთანხმებას, რომელმაც დღის წესრიგში უფრო მკვეთრად დააყენა აღნიშნულ საკითხთა დახვეწა და წესრიგში მოყვანა.

კარტელური გარიგება მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარეც მარტივად გასაგებია, რომ კონკურენტებს შორის დროებით დაზავებას, კონკურენციის შეჩერებასა და კოორდინირებულ ქმედებას გულისხმობს. დღესდღეობით პრაქტიკაში დამკვიდრებული კარტელური გარიგების ცნება მოიცავს შეთანხმებას, ან შეთანხმებულ პრაქტიკას ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის მიზანიც არის კონკურენტული ქმედების კოორდინირება და კონკურენციის პარამეტრზე იმგვარი ზეგავლენის მოხდენა, რაც გულისხმობს გასაყიდი ან/და შესასყიდი ფასის ან სხვა სავაჭრო პირობის ფიქსაციას, წარმოებისა და გაყიდვის კვოტის, ბაზრის განაწილებას, ტერიტორიული ან სხვა ნებისმიერი ნიშნით, ტენდერში მანიპულაციურ მონაწილეობას და სხვა ნებისმიერ ანტიკონკურენციულ ქმედებას. აღნიშნულ ქმედებათა ჩამონათვალი ამომწურავი არ

არის, და შეიძლება მასში ნებისმიერი ქმედება თუ შეთანხმება მოექცეს, მათ შორის საწარმოთა შორის მხოლოდ ინფორმაციის გაცვლაც კი, რომელსაც თან ახლავს ანტიკონკურენციული შედეგები და ეფექტები. რაც შეეხება კარტელურ გარიგებათა მიერ მიყენებული ზიანის ადრესატებს, უპირველეს ყოვლისა, ნათელია რომ კონკურენციის სამართალი მომხმარებლისა და მისი ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული სამართალია, თუმცა გარდა მომხმარებლებისა, იგი მნიშვნელოვნად იცავს სახელმწიფოს ინტერესებსაც. ბუნებრივ პირობებში კონკურენციისას, საწარმოები ორიენტირებულნი არიან პროგრესზე, ყველაზე უფრო დაბალი ფასის გათვალისწინებაზე, ხარისხის, ტექნოლოგიისა და წარმოების მიმართულების გაუმჯობესებაზე, ინოვაციაზე, რათა მოიპოვონ მომხმარებელთა სიმპათია და ამით გაიმყარონ შესაბამის ბაზარზე პოზიცია. თუმცა, კარტელური გარიგების შემთხვევაში, საწარმოთა შორის კონკურენცია აღმოფხვრილია. საწარმოები აღარ არიან ორიენტირებულნი პროგრესზე. ამის სანაცვლოდ, ისინი ახორციელებენ შეთანხმებულ ქმედებას ბაზარზე და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, იოლად აღწევენ ფინანსურ სარგებელს. შედეგად, მთლიანი ეკონომიკური სარგებელი შეთანხმების მხარეებზე გადადის, ხოლო ამის სანაცვლოდ, მომხმარებელს ეზღუდება წვდომა პროდუქციის ხარისხიანობაზე, პროდუქციის ფართო არჩევანზე, იაფ ფასზე, შედეგად შესაძლოა პრობლემური გახდეს ახალი საწარმოების მიერ ბაზარზე შესვლა, დაიხუროს ბაზარი, შესაძლოა მივიდეთ კონკურენტი საწარმოების გაკოტრებამდე და ლიკვიდაციამდე, ბაზრის კონცენტრაციის ზრდამდე, ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების შეჩერებამდე, შესაძლოა შეჩერდეს ინოვაციური მეთოდებისაკენ სწრაფვაც, რაც ჯამში მომხმარებელთა უფლებების შეზღუდვის გარდა, მნიშვნელოვნად აზიანებს სხვა საწარმოებს, მთლიანად ბაზარსა და არღვევს სახელმწიფო ეკონომიკურ სისტემას. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კარტელური გარიგება დადებითი შედეგების გამომწვევიც შესაძლოა იყოს და ნაცვლად ნეგატიური ეფექტებისა, მან შეიძლება წახალისოს ტექნიკური პროგრესი, გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი ანდა იაფი ფასი შესთავაზოს მომხმარებელს. ამდენად, კარტელური გარიგების თითოეული შემთხვევა საჭიროებს სათანადო გამოკვლევასა და შესწავლას, მისი ნეგატიური თუ დადებითი ეფექტების დასადგენად.

რაც შეეხება ნაშრომის მთავარ მიზანს, დავადგინოთ რამდენად შესაბამისობაშია ქართული კანონმდებლობა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში გათვალისწინებულ 204-ე მუხლთან, რომელიც კონკურენციის სამართლის სრულყოფას და ევროკავშირის მოდელთან შესაბამისობაში მოყვანას გვავალდებულებს, ნაშრომში აღნიშნული ყველა ხარვეზის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ კონკურენციის კანონმდებლობაში, კვლავ საკმაოდ რაოდენობით ხარვეზებს ვხვდებით, რომელთა გამოსწორებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკურენციის სამართლის სწორად განვითარებისათვის.

დავიწყოთ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შეფასებით, რომელიც არეგულირებს უშუალოდ კარტელურ გარიგებებს. პირველ რიგში, ამ მუხლის ხარვეზს წარმოადგენს ტერმინი „ხელშეკრულების“ გამოყენება ნაცვლად

„შეთანხმებისა“ ან გარიგებისა, რაც მაშინვე ხვდება თვალს და შესაძლოა მისი ამ დებულებაში გამოყენება ორი მიმართულებით იყოს არასწორი. პირველ რიგში ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ „ხელშეკრულების“ ცნება ბევრად ვიწროა გარიგებასა და შეთანხმებასთან შედარებით. კერძოდ, იგი თავის თავში მოიაზრებს მხოლოდ ორმხრივ ან მრავალმხრივ გარიგებას, მაშინ როდესაც თავად „გარიგება“ განიმარტება, როგორც ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ და ამდენად, იგი თავის თავში მოიცავს ხელშეკრულებასაც. ამასთანავე, ხელშეკრულება იმ ფორმით როგორც ეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონშია გათვალისწინებული, ქმნის ფორმალურობის ეფექტს და აქცენტს მხოლოდ მხარეთა შორის ორმხრივ მავალდებულებელი და მბოჭავი, ოფიციალური ურთიერთობის არსებობაზე აკეთებს. მაშინ როდესაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ტექსტი „შეთანხმებას“ ვრცელ დეფინიციას აძლევს და მასში მხარეთა ნებისმიერ კოორდინირებულ ქცევას მოიაზრებს, მათ შორის უბრალო ინფორმაციის გაცვლასაც კი, რაზედაც მხარეებმა შესაძლოა საკუთარი სამომავლო ნაბიჯები და გეგმები დააფუძნონ.

ხარვეზს წარმოადგენს კანონმდებლობაში „ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის“ ტერმინის გამოტოვებაც, რასაც საბოლოო ჯამში იმ შედეგამდე მივყავართ, სადაც არ არის დაკონკრეტებული იმ სუბიექტთა წრე, რომლის მიერ მიღებულ ანტიკონკურენციულ გადაწყვეტილებაზეც შესაძლოა გავრცელდეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოქმედება.

და უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ხარვეზს წარმოადგენს მე-7 მუხლში აღნიშნულ კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებათა ჩამონათვალისათვის ამომწურავი სახის მიცემა, სადაც დებულება აღნიშნული ექვსი პუნქტით შემოსაზღვრავს კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებათა სიას, მაშინ როდესაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების ტექსტში აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, რაც იძლევა მუხლის პრაქტიკაში მოქმედებისა და გავრცელების ფართო არეალს.

მნიშვნელოვანი ხარვეზები შეინიშნება „კონკურენციის შესახებ“ კანონში პასუხისმგებლობის განსაზღვრის კუთხითაც. დავიწყოთ იქიდან, რომ განსხვავებით ევროკავშირის რეგულაციისაგან, რომელიც პასუხისმგებლობის სახედ საწარმოსათვის, გასული ფინანსური წლის ბრუნვის 10 პროცენტამდე ოდენობით დაანგარიშებულ ადმინისტრაციულ ჯარიმას განსაზღვრავს, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი ბევრად ლოიალურია ჯარიმის ოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით და კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების მონაწილე მხარეებს მხოლოდ გასული ფინანსური წლის ბრუნვის 5 პროცენტამდე ოდენობით დაანგარიშებულ ჯარიმას აკისრებს. აღსანიშნავია, რომ ამგვარად დაანგარიშებული ჯარიმა, ობიექტურ შესაძლებლობას მოკლებულია, შეასრულოს პრევენციული ანდა მიყენებული ზიანის მაკომპენსირებელი ფუნქცია.

კრიტიკას იმსახურებს აღნიშნული კანონის 32-ე მუხლიც, რომელიც კონკურენციის ორგანოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის ათასიდან სამი ათას ლარამდე ოდენობის თანხით დაჯარიმებას განსაზღვრავს, მაშინ როდესაც ევროკავშირის რეგულაცია, იმავე შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტს, გასული ფინანსური წლის ბრუნვის 1 პროცენტამდე ოდენობით დაანგარიშებულ ჯარიმას აკისრებს. ერთი მხრივ, 32-ე მუხლში გათვალისწინებული ჯარიმის ეს ოდენობა, ვერ უზრუნველყოფს ვერც ეკონომიკური აგენტის სათანადო იძულებას, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია კონკურენციის სააგენტოს, ხოლო მეორე მხრივ, პირდაპირ ფულად თანხაში გამოთვლილი ჯარიმის ეს რაოდენობა, ვერც სამართლიან ბალანსს ადგენს უზარმაზარ კორპორაციებსა და მცირე ან საშუალო ზომის საწარმოებს შორის.

ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ ქართულ კონკურენციის კანონმდებლობა, განსხვავებით ევროკავშირის N1/2003 რეგულაციისაგან, არ ითვალისწინებს ე.წ. პერიოდული ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას. აღნიშნული ევროკავშირის კომისიას საშუალებას აძლევს, განახორციელოს საქმეზე მოკვლევის პროცესი სრულყოფილად, რამდენადაც მას შეუძლია დააკისროს ეკონომიკურ აგენტს მისი საშუალო დღიური ბრუნვის 5 პროცენტამდე ოდენობის ჯარიმა ყოველდღიურად, რათა აიძულოს იგი შეწყვიტოს სამართალდარღვევა, მიაწოდოს კომისიას ინფორმაცია და მტკიცებულებები, დაუშვას კომისიის ინსპექტირება და ა.შ. აღნიშნული ბერკეტის არ ქონა, შეუძლებელს ხდის კონკურენციის სააგენტოს სრულყოფილ მუშაობას და ხელს უშლის მას, ეფექტურად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს არც ჯარიმის გამოთვლისას გასათვალისწინებელ შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, რაც ასევე მოუქნელს ხდის ეკონომიკური აგენტის მიმართ პასუხისმგებლობის განსაზღვრის მექანიზმს.

და ბოლოს, აუცილებელია კვლავ აღინიშნოს, რომ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებით, გაუგებარია კანონის 33<sup>2</sup>-ე მუხლში გამოყენებული ტერმინის, „დაინტერესებული პირის“ დეფინიცია, რამდენადაც მასში არ არის დაკონკრეტებული მოიცავს თუ არა იგი მომხმარებლის, ფიზიკური თუ იურიდიული პირის ანდა ადმინისტრაციული ორგანოს ცნებას. ამდენად, მნიშვნელოვანია სამომავლოდ ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, დაზუსტდეს ის პირთა წრე, რომელთაც კანონი ანიჭებს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას და შესაბამისად, მოხდეს „დაინტერესებული პირის“ ცნების დაკონკრეტება და მის ადგილას უფრო ზუსტი, არაორაზროვანი დეფინიციის გათვალისწინება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით იმის თქმა შეგვიძლია, რომ მოქმედ კონკურენციის კანონმდებლობაში, კარტელურ გარიგებათა რეგულირების კუთხით, საკმაოდ დიდი რაოდენობის შეცდომა თუ ხარვეზია

დაშვებული. ხოლო მათი გამოსწორებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით, არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებაა საჭირო.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულ ენაზე:

მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ., ევროკავშირის კერძო სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბ., 2018.

ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017.

### უცხოურ ენაზე:

Gellhorn E., Kovacic W.E., Antitrust law and economics in a nutshell, 4<sup>th</sup> ed., St.Paul, Minn.:West Pub. Co., 1994;

Papadopoulos A.S., The international dimension of EU competition law and policy, Antitrust and competition law, Cambridge University Press, 2010;

Gerber D.J., Law and competition in the twentieth century: protecting Prometheus, Oxford University Press, 2000;

Goyder J. Albers-Llorens A., EC Competition Law, 5<sup>th</sup> edition, Oxford University Press, 2003;

Dunne N., Competition Law and Economic Regulation, Making and Managing Markets, Cambridge University Press, 2015;

Jones A., Sufrin B., EU Competition Law Text, Cases, and Materials, 4<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2011;

Colino S.M., Competition law of the EU and UK, 7<sup>th</sup> edition, Oxford University Press, 2011;

Harding C., Joshua J., Regulating Cartels in Europe, 2<sup>nd</sup> Ed., Oxford University Press, 2010;

Whish R., Bailey D., Competition Law, 7<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2012;

Ezrachi A., EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford Hart Publishing, 2012;

Slot P., Johnson A., An Introduction to Competition Law, Hart Publishing, 2006;

Odudu. O., The Boundaries of EC Competition Law: The Scope Of Article 81, Oxford University Press, 2006;

Deringer A., *The Competition Law of the European Economic Community on the EEC rules of competition (Articles 85 to 90) Including the Implementing Regulations and Directives*, Commerce Clearing House, 1968;

Bishop S., Walker M., *The Economics of EC Competition Law: Concepts, Application and Measurement*, 3rd Ed., Sweet & Maxwell, 2010;

### **სამეცნიერო სტატიები:**

მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბ., 2016;

ლაფაჩი ქ., კუტივაძე ნ., კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო, 2015;

ბენაშვილი გ., ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელობა, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017;

მაგრაქველიძე დ., გრიგოლაია ნ., სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია საქართველოში, კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, 2017;

Hojnik J., *De Minimis Rule within the EU Internal Market Freedoms: Towards a More Mature and Legitimate Market?* European Journal of Legal Studies, Volume 6, Issue 1(Spring/Summer 2013);

Calvani T., Calvani T.H., *Cartel Sanctions and Deterrence*, The Antitrust Bulletin, Vol. 56, # 2/Summer 2011;

Thépot F., *Leniency and Individual Liability: Opening the Black Box of Cartel*, The Competition Law Review, Volume 7, Issue 2, 2011 July, 222;

Leslie C.R., *Antitrust Leniency Programmes*, The Competition Law Review, Volume 7, Issue 2, 2011 July;

Combe E., Monnier C., *Fines Against Hard Core Cartels in Europe: The Myth of Overenforcement*, The Antitrust Bulletin, Vol. 56, # 2/Summer 2011;

Veljanovski C., *Cartel Fines in Europe, Law Practice and Deterrence*, World Competition 30 (1), 2007;

Connor J.M., *Cartel Fine Severity and the European Commission: 2007-2011*, European Competition Law Review, 2013;

Bailey D., *Publicly Distancing Oneself from a Cartel*, World Competition 31(2), 2008.

ევროკავშირის კომისიისა და ევროპის სასამართლოთა გადაწყვეტილებები:

T-9 9/04

C-41/90

C-180/98, C-181/98, C-182/98, C-183/98 და C-184/98

C-309/99

T-25/95, T-26/95, T-30/95, T-31/95, T-32/95, T-34/95, T-35/95, T-36/95, T-37/95, T-38/95, T-39/95, T-42/95, T-43/95, T-44/95, T-45/95, T-46/95, T-48/95, T-50/95, T-51/95, T-52/95, T-53/95, T-54/95, T-55/95, T-56/95, T-57/95, T-58/95, T-59/95, T-60/95, T-61/95, T-62/95, T-63/95, T-64/95, T-65/95, T-68/95, T-69/95, T-70/95, T-71/95, T-87/95, T-88/95, T-103/95 და T-104/95.

T-4 1/96

86 / 398 / EEC

82/896/EEC

86/399/EEC

T53/03

T-202/98, T-204/98 და T-207/98

T-2 5/95

C-8/08

48-69

Re Aniline Dyes Cartel, [1969]

40/73, 41/73, 42-73, 43-73, 44-73, 45-73, 46-73, 47-73, 48-73, 50-73, 54-73, 55-73, 56-73, 111-73, 113-73 და 114/73

C-199/92 P

85 / 202 / EEC

56/65

C-209/07

C-8 /08

C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P და C-519/06 P

29/83 ද්‍රව්‍ය 30/83

C-2 77/87

T- 148/89

C-551/03 P

C-403/04 P

C-551/03 P

C-209/07

T-49/02, T-50/02 ද්‍රව්‍ය T-51/02

T-199/08

T-374/94, T-375/94, T-384/94 ද්‍රව්‍ය T-388/94

T-17/93

74/292/EEC

83/546/EEC

T-68/89

8/72

74/292/EEC

43/82 ද්‍රව්‍ය 63/82

41/69

100/80, 101/80, 102/80 ද්‍රව්‍ය 103/80

92/444/EEC

74/634/EEC

75/77/EEC

85/202/EEC

85/206/EEC

85 /76/EEC

1999/210/EC

T-9 9/04

T- 29/05

T- 308/94

T- 377/06

85 /74/EEC

79/90/EEC

89/93/EEC

2002/759/EC

T-49/02 , T-50/02 და T-51/02

T-201/04

COMP/E-1/38.823

COMP/39.125

COMP/39188

C-234/89

56/65

26/76

31/80

75/84

T-19/92

243/83

26/76

93/49/EEC

T168/01

5/69

215/96 და C-216/96

T-7/93

T-374/94, T-375/94, T-384/94 და T-388/94

C-260/07

2001/711/EC

1999/271/EC

T-59/99

T-199/08

T-49/02, T-50/02 და T-51/02

30/78

19/77

107/82

100/80, 101/80, 102/80 და 103/80

92/33/EEC

C-180/98, C-181/98 , C-182/98, C-183/98 და C-184/98

C-41/90

Supreme Court, U.S. No. 06–480

**გენერალური ადვოკატის მოსაზრება ევროპის სასამართლოს საქმეებზე:**

C-123/83

C-8 /08

**ნორმატიული მასალა:**

ასოციირების შესახებ შეთანხმების სრული ტექსტი

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების დამაარსებელი შეთანხმება

ევროპის ატომური ენერჯის კომისიის შეთანხმება

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პროტოკოლი

ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ჰორიზონტალური თანამშრომლობის შეთანხმებების მიმართ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის გამოყენების შესახებ

ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო შეთანხმების 81(3) მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით

ევროკავშირის კომისიის მე-18 მოხსენება კონკურენციის პოლიტიკაზე

იხ. ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინთა ლექსიკონი

ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვერტიკალურ შეზღუდვებზე

ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო შეთანხმების 101(3) მუხლის გამოყენებაზე

ევროკავშირის რეგულაცია N1/2003

ევროკავშირის კომისიის რეგულაცია N1217/2010 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების თაობაზე გარკვეული კატეგორიის კვლევისა და განვითარების შესახებ შეთანხმებათა მიმართ

ევროკავშირის კომისიის რეგულაცია N1218/2010 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების თაობაზე გარკვეული კატეგორიის სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებათა მიმართ

ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო ვაჭრობაზე ზეგავლენის კონცეფციაზე, შეთანხმების 81 და 82 მუხლებთან მიმართებით

ევროკავშირის კომისიის ცნობა მეორეხარისხოვან შეთანხმებებზე რომლებიც შესამჩნევად არ ზღუდავენ კონკურენციას, ევროკავშირის დამაარსებელი შეთანხმების 81(1) მუხლის მიხედვით

ევროკავშირის კომისიის 2003 წლის რეკომენდაცია 2003/361/EC

ევროკავშირის კომისიის ცნობა [30.08.2014]

ევროკავშირის კომისიის ცნობა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შესახებ ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის, [09.12.1997]

ევროკავშირის კომისიის მიერ გამოცემული De minimis ცნობა [30.08.2014]

ევროკავშირის კომისიის ცნობა - კარტელების საქმესთან დაკავშირებული ჯარიმების იმუნიტეტისა და ჯარიმების შემცირების შესახებ.

ევროკავშირის კომისიის სახელმძღვანელო, N1/2003 რეგულაციის 23(2)(ა) მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ჯარიმის შეფარდების მეთოდზე, [01.09.2006]

ევროკავშირის დირექტივა N2014/104/EU, [26.11.2014],

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“

საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ [2012]

საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ [2014]

საქართველოს მთავრობის N526 დადგენილება „კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №30/09-2 თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N81 [14.07.2015]

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N04/117 [10.05.2018]

**ინტერნეტის რესურსები:**

[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

[www.dcfta.gov.ge](http://www.dcfta.gov.ge)

[www.moa.gov.ge](http://www.moa.gov.ge)

[www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge)

[www.competition.ge](http://www.competition.ge)

[www.lawlibrary.info.ge](http://www.lawlibrary.info.ge)

[www.eur-lex.europa.eu](http://www.eur-lex.europa.eu)

[www.curia.europa.eu](http://www.curia.europa.eu)

[www.consilium.europa.eu](http://www.consilium.europa.eu)

[www.ec.europa.eu](http://www.ec.europa.eu)

[www.efta.int](http://www.efta.int)

[www.eucomplaw.com](http://www.eucomplaw.com)

[www.casecon.com](http://www.casecon.com)

[www.researchgate.net](http://www.researchgate.net)

[www.supreme.justia.com](http://www.supreme.justia.com)

[www.papers.ssrn.com](http://www.papers.ssrn.com)